გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№288 (347) 14-21 ოქტომბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი



**“სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა” — აკაკი შანიძე**

# “ფერადი რევოლუცია”? არა – საერთაშორისო თაღლითობა

მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოს გადაუარეს რევოლუციის ქარტეხილებმა, რაც ზოგი ქვეყნისთვის მხსნელი სტიქია აღმოჩნდა, ზოგისთვის კი დამღუპველი.

რევოლუცია მრავალ სფეროში შეიძლება მოხდეს – მეცნიერებაში, განათლებაში, ეკონომიკაში, ბუნებისმეტყველებაში... და თუ ამ დარგებში მომხდარი რევოლუცია მხოლოდ პროგრესული ნახტომების მომასწავლებელია, არის რევოლუციის ერთი სახეობა, რომელიც ერთდროულად შეიძლება პროგრესულიც აღმოჩნდეს და რეგრესულიც, უფრო სწორად – იმედისმომცემიც და ტრაგიკულიც.

ეს გახლავთ პოლიტიკური რევოლუცია, რომელსაც ფილოსოფოსები შემდეგ განმარტებას აძლევენ: **“რევოლუცია არის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობებში მოხდარი ძირფესვიანი გადატრიალება, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა გარდაქმნა, ძველი, დრომოჭმული წყობილების ძალით დამხობა და ახალი, პროგრესული წყობილების დამყარება, მოწინავე საზოგადოებრივი კლასის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობა”** და ა.შ. უკვე ამ განმარტებიდან ჟონავს სისხლი, ძალიან ბევრი სისხლი...

მსოფლიო რევოლუციების ქრონიკას, მეცნიერთა აზრით, სათავე დაუდო ძველ რომში სპარტაკის აჯანყებამ, რომელიც, მიუხედავად შთამბეჭდავი მასშტაბებისა, მაინც მოკლებული იყო ფორმაციის შეცვლის იდეას და გახლდათ ჩაგრულთა სტიქიური ჯანყი, რომელთა ძირითად მიზანს მონობიდან განთავისუფლება და ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვით დიდძალი ქონების დაგროვება წარმოადგენდა.

სოციალური რევოლუციის ნათელი მაგალითი საფრანგეთის რევოლუცია გახლავთ, რომელმაც დაამხო მეფის ძალაუფლება და რესპუბლიკა გამოაცხადა, მაგრამ წრესგადასული სიმკაცრე გამოავლინა იდეების მოწინააღმდეგეთა მიმართ და გილიოტინების ტყე გააჩინა ევროპის შუაგულში. და რომ არა ნაპოლეონი, რომელმაც ჩექმის ერთი წარტყმით ჩამოაცილა დირექტორია სახელმწიფო მართვის სათავეებს და თავი იმპერატორად გამოაცხადა, ამ გილიოტინათა **“წყალობით”** შეიძლებოდა საფრანგეთი საერთოდ მოსახლეობის გარეშე დარჩენილიყო. ტყუილად კი არ აწერია საფრანგეთის რევოლუციის მთავარი ჯალათის რობესპიერის საფლავს შემდეგი შინაარსის ეპიტაფია: **“გამვლელო, ნუ იდარდებ ჩემს ბედზე, მე რომ ცოცხალი ვყოფილიყავი, შენ იქნებოდი მკვდარი!”**

საფრანგეთის სისხლიან რევოლუციას მოჰყვა რევოლუციათა წყება რუსეთის იმპერიაში, რომლის გამარჯვების შემდეგ – 1917 წელს – უკიდეგანო რუსეთში სახელმწიფოს მართვის სადავეები ხელში ჩაიგდეს მუშათა და გლეხთა საბჭოებმა, გაიმარჯვეს უმძიმეს მრავალწლიან სამოქალაქო ომში და მალე იზეიმეს სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში, რომელიც რამდენიმე წელიწადში იქცა მსოფლიოს ერთ-ერთ უმძლავრეს სახელმწიფოდ და ჩაგრული ერების მონობისაგან თავდახსნის ფორპოსტად.

გერმანიაშიც გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, მაგრამ რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებული ვაიმარის რესპუბლიკა დღენაკლული გამოდგა და რამდენიმე კვირის შემდეგ შეწყვიტა არსებობა.

ამის შემდეგ რევოლუცია ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ სხვა ქვეყნების აგრესიული წრეების ხელში ერთგვარ პოლიტიკურ მექანიზმად გადაიქცა, რითაც ისინი სახელმწიფოს მართვის სადავეებიდან ჩამოაშორებდნენ ხოლმე მათთვის არასასურველ პოლიტიკურ ფიგურებს. ამგვარი რევოლუციური იდეების პრაქტიკულად განხორციელებას და თავსმოხვეულ სახელმწიფო გადატრიალებებს უდანაშაულო და პოლიტიკას მიუმხრობელი ადამიანების დიდძალი მსხვერპლი და ეკონომიკური ნგრევები მოჰყვა ჩინეთში, არგენტინაში, გრანადაში, ჩილეში, ავღანეთში, აფრიკის ქვეყნებში...

სპარტაკის აჯანყების შემდეგ რამდენიმეჯერ იცვალა ფერი და ზნე სახელმწიფო გადატრიალების რევოლუციურმა რეცეპტურამ და დღემდე მოაღწია უაღრესად ვუალირებული და მოდერნიზებული სახით. ეს გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამმართველოს კაზემატებში საგულდაგულოდ დამუშავებულ-დახვეწილი ე.წ. **“ფერადი რევოლუციები”**, რომელიც დღეს უკვე ლამის მთელ მსოფლიოს აზანზარებს და შიშის ელდას ჰგვრის!

ე.წ. **“ფერადმა რევოლუციამ”** სამ შემთხვევაში შეიძლება გაიმარჯვოს:

1. როცა არსებული ხელისუფლება თავად არის შეთქმულების მონაწილე, როგორც ეს საქართველოში მოხდა 2003 წელს. შევარდნაძის კორუმპირებულმა ხელისუფლებამ იმდენი ფული იშოვნა, რომ მას უკვე სახელმწიფოს საქმეებისათვის აღარ ეცალა, რადგან არამად ნაშოვნი ვეებერთელა სახსრები იყო საპატრონო და სხვადასხვა ბიზნესებში გადასანაწილებელი, რასაც დიდი დრო და ენერგია სჭირდებოდა. ამიტომ, მიიღო რა ხელშეუხებლობის გარანტია, შევარდნაძემ დიდ ფულად მიჰყიდა საქართველოს პრეზიდენტობა ამერიკელ სომეხ მილიარდერს კერკ კირკორიანს, რის შედეგადაც ქვეყნის სათავეში მოვიდა პირწავარდნილი სომეხი დაშნაკი მიხეილ სააკიანი. და რაც მან საქართველოს და ქართველ ხალხს დღეები დააწია, ეს უკვე სხვა სალაპარაკო თემაა (ასე **“გაამარჯვებინეს”** ამერიკელებმა ფერად რევოლუციებს საქართველოში, ყირგიზეთში, ალჟირში, ტუნისში...);

2. როცა არსებული ხელისუფლება იმდენად უნიათო და პოლიტიკური კრეტინიზმით გამსჭვალულია, რომ გადატრიალების საფრთხეს კი გრძნობს, მაგრამ პრაქტიკულად ვერაფერს აკეთებს მეამბოხეთა ასალაგმად (ასე **“გაამარჯვებინეს”** ამერიკელებმა ფერად რევოლუციებს ეგვიპტესა და უკრაინაში (ამ უკანასკნელში – ორჯერ));

3. როცა ხელისუფლებას ძალუძს მეამბოხეებთან გამკლავება, მაგრამ ამერიკელი სამხედროები ღიად ერევიან კონფლიქტში და **“დემოკრატიული ღირებულებების”** დაცვის მოტივით შეჰყავთ სამხედროები ამ ქვეყნის ხელისუფლების დასამხობად და ძალაუფლებას მათთვის სასურველ პირებს გადასცემენ. ამგვარი გადატრიალებები ძირითადად იმ ქვეყნებში ხდება, რომელსაც ნავთობის მდიდარი საბადოები გააჩნიათ (ასე **“გაამარჯვებინეს”** ამერიკელმა სამხედროებმა **”ფერად რევოლუციებს”** არგენტინაში, ჩილეში, გრანადაში, ლიბიაში, ერაყსა და ავღანეთში. აი, კუბაში კი აშკარად ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში).

დააკვირდით – როგორც უკვე ვთქვით, ყველა ეს ავადსახსენებელი რევოლუცია მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამმართველოს კაზემატებში საგულდაგულოდ დამუშავებულ-დახვეწილი პროგრამების შესაბამისად. ასე რომ, ამერიკელებს ყველა მოსალოდნელი შემთხვევა აქვთ გათვალისწინებული ნებისმიერი ქვეყნის რევოლუციურ რეცეპტურაში. ერთადერთი, რასაც ისინი ვერ ახერხებენ, ეს გახლავთ ხალხის ფართო მასების სიმპათიები და უპირობო მხარდაჭერა...

როგორც იცით, რევოლუციას სჭირდება სამი ძირითადი კომპონენტი: ფული, იარაღი და საზოგადოების ფართო მასების მხარდაჭერა. 1917 წლის რევოლუციონერებს ეს ყველაფერი ჰქონდათ, მაგრამ რევოლუციის შემდეგ მაინც ვერ აირიდეს თავიდან სამოქალაქო ომი, რასაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი მოჰყვა. რაც შეეხება ნაციონალებს, ისინი **“ნაღდ”** რევოლუციაში მაინც ვერ გაიმარჯვებენ, მიუხედავად იმისა, რომ თავზესაყრელად აქვთ ფული და იარაღი. მათ ვერც ამერიკელთა სამხედრო დახმარება უშველით, რადგან ქართველ ხალხს იმდენად აქვს მოძულებული სააკაშვილის დაშნაკ ზონდერთა თარეში, რომ ჩვენი საზოგადოება სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს ამ უჯიშოთა წინააღმდეგ! სწორედ საზოგადოების ფართო მასები უნდობლობის გამო ვერ მოახდენენ ევროამერიკელები ე.წ. **“ფერადი რევოლუციის”** რეალიზებას მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ევროამერიკელებისათვის არასასურველ პოლიტიკურ ზონად აღიარებულ ყაზახეთში, ბელორუსიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ირანში და რაც მთავარია – რუსეთში, სადაც პოლიტიკური სიტუაციების ასამღვრევად ამერიკელები მილიარდობით დოლარს ხარჯავენ.

აღარც საკუთარ შეცდომებზე ჭკუანასწავლი ქართველები ჩაერთვებიან ევროამერიკელების მიერ გამართულ პოლიტიკურ ვაკქანალიაში, რადგან ჩვენ უკვე ორჯერ დავაბიჯეთ ფოცხს ფეხი – 1991 წელს, როცა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილმა შევარდნაძისეულმა პუტჩმა ქვეყანა საშინლად არივ-დარია, ხალხი მხედრიონელი ბანდიტების საჯიჯგნად გასწირა და ტერიტორები დააკარგვინა, და 2003 წელს, როცა დორბლიანი და ფსიქიკურად გაუწონასწორებელი სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველო ერთ დიდ ციხედ გადააქცია და წინასწარ დასამარცხებლად განწირული ავანტურისტული ომი გამოუცხადა რუსეთს, ამასთან, ბარბაროსულად დაბომბა მძინარე ქალაქი ცხინვალი,... ამ დანაშაულებრივი ქმედებით **“ქართველ დაშნაკთა”** ნაცბანდამ საბოლოოდ გააფორმა იურიდიულად საქართველოს სახელმწიფოებრივი სივრციდან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასვლა, სხვა სიბოროტეებზე რომ არაფერი ვთქვათ!

ამრიგად, ევროამერიკელთა მიერ სხვადასხვა ქვეყნებში მოწყობილი **“ფერადი რევოლუციები”** ძირითადად მის უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლითაა შეღებილი და იგი საერთაშორისო თაღლითობა უფროა, ვიდრე ხალხის ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

რაც შეეხება აშკარად შეურაცხად მიხეილ სააკაშვილსა და მის **“ნაცზონდერებს”,** მათ მიერ მოქრთამული ზოგზოგი ევროამერიკელი მაღალჩინოსნების მხარდაჭერით ისინი კვლავ აპირებენ საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის ამღვრევას და ძალაუფლების დაბრუნებას. მართლაც ბრმა ან სულელი უნდა იყოს ადამიანი, იმ ხალხის მხარდაჭერის იმედი რომ ჰქონდეს, რომელსაც ნამდვილად სულს ხდიდა თავისი სისასტიკითა და გაუწონასწორებელი მოქმედებებით.

ვერა და ვერ მოინელეს სააკაშვილმა და მისმა დაშნაკმა ნაციონალებმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაწვნევი მარცხი, რადგან ამ წარუმატებლობით დაჰკარგეს არა მხოლოდ პოლიტიკური კაპიტალი, არამედ დიდი ფინანსური შემოსავლებიც, რომლითაც ქრთამავდნენ თავიანთ ევროამერიკელ მფარველებს. ამიტომაც ცდილობენ ბედის ჩარხის უკუღმა შემობრუნებას, რათა კვლავაც მოექცნენ საქართველოს მართვის სადავეებთან. არაფერს თაკილობენ საამისოდ – მათთვის ჩვეულ უტიფრობას, სიცრუეს, საბოტაჟს, ძალადობას და სხვა მრავალ ინსინუაციას, რათა ნიადაგი მოამზადონ მორიგი **“ფერადი”** რევოლუციისათვის, რომელიც საერთაშორისო თაღლითობის უტყუარ იარაღადაა ქცეული იმ ევრო-ამერიკელი ქორების ხელში, რომელთაც მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნიან ამა თუ იმ ქვეყნის სათავეში მდგარი პატრიოტულად განწყობილი მთავრობები.

მაგრამ, მიუხედავად ნაციონალთა სიბილწისა და ვერაგული გეგმებისა, ეს წერილი მაინც ნორმალური ადამიანებისათვის სასიამოვნო ინფორმაციით უნდა დავასრულო.

**“ნაციონალური მოძრაობის”** მთავარ ოფისში დიდი გლოვა აქვთ გამოცხადებული. მიხეილ სააკაშვილს **აშშ**-ს საკონსულომ ამერიკაში სამუშაო ვიზა არ მისცა. ამ ინფორმაციის უტყუარობა მალე გაირკვევა, მაგრამ ის ფაქტი, რომ პარტიის ოფისში დიდი პანიკაა, ნიშნავს, რომ ვიზასთან დაკავშირებული ინფორმაცია სარწმუნო უნდა იყოს და ამიტომაცაა, რომ **“ნაცებს”** დანა კბილს არ უხსნის. ჩვენთვის უცნობია, ეს ინფორმაცია პარტიის ლიდერებს თავად სააკაშვილმა დაუდასტურა თუ არა. სააკაშვილისთვის ამერიკის სამუშაო ვიზის არმიცემას, ერთი ფაქტი კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის. მაისში, საქართველოს ექსპრეზიდენტს სამსახურზე უარი უთხრა ტაფტის უნივერსიტეტმა. ამერიკული პოლიტიკური ელიტა სააკაშვილს კარგა ხანია, ცუდი თვალით უყურებს. თეთრ სახლში კი მიხეილ სააკაშვილს, ფაქტობრივად, მხარდამჭერი აღარ დარჩა. ბარაკ ობამას გუნდი აშკარად არ სწყალობს სააკაშვილს. ამერიკის მხარდაჭერის გარეშე კი სააკაშვილი და მისი ნაცბანდა ცარიელ ადგილებად იქცევიან.

თუ დადასტურდა, რომ მიხეილ სააკაშვილს სამუშაოსაც არ აძლევენ ამერიკაში, ცხადია, ის ამერიკის ხელისუფლებამ საბოლოოდ გაწირა. ამას რა მოჰყვება, შეგვიძლია ვივარაუდოთ. ამერიკის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი **“ნაცმოძრაობის”** დაშლის პროცესი დაჩქარდება და ვეღარც გიგა ბოკერიას დაანონსებული კანონიერი გზებით მოაწყობენ რევოლუციას, რადგან ამ ყველაფერში, მათ, უპირველესად, სწორედ ამერიკის პოლიტიკური წრეების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. მიხეილ სააკაშვილს კი, უარესად წაუვა საქმე. მას დიდი იმედი აქვს, რომ, თუ მის მიმართ სისხლის სამართლის დევნა გამწვავდა და ინტერპოლით დაუწყებენ ძებნას, პოლიტიკურ თავშესაფარს ამერიკაში მიიღებს და ამას არც **“ნაციონალები”** მალავენ. საქმე კი, სავარაუდოდ, იქითკენ მიდის, რომ შეიძლება მიხეილ სააკაშვილსაც უარი უთხრან პოლიტიკურ თავშესაფარზე ამერიკაში. ჩანს, რომ მისმა ლობისტებმა ყველანაირი გავლენა დაკარგეს და ვეღარაფრით ეხმარებიან თუ სამუშაო ვიზაზე უარი უთხრეს. თუ მიშა გაწირა ამერიკის ხელისუფლებამ, უკვე ნათელი ხდება, რომ არც ერთ **“ნაციონალს”** არ გადაუსვამს თავზე ხელს და პოლიტიკურ თავშესაფარს, სავარაუდოდ, არ მისცემს.

ჩვენ კი მაინც სიფრთხილე გვმართებს, რათა დროულად გავუჭეჭყოთ თავი **“ნაციონალურ”** ჰიდრას, თუ იგი ძალისმიერი მეთოდებით შეეცდება ქვეყნის ბედის ჩარხის უკუღმა დატრიალებას!

**როლანდ ჯალაღანია,**
**“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი**

# სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

ჭვედირი ეწოდება ფართო ვაკე-სახნავებს ჯუმის ორივე ნაპირას. მარცხენა ნაპირი სოფ. ცაცხვის შემადგენლობაშია, მარჯვენა კი – სოფ. ჩხოუშს ეკუთვნის (ორივე ზუგდიდის მუნიციპალიტეტშია). ტერიტორიის ერთი ნაწილი საზიაროა სოფელ დიდი ნეძის კახათთან, რაც ჩხოუშიისა და ჯუმის მარცხენა ნაპირას, ცაიშის დასავლეთით მდებარეობს.

ნასაჯოგუ ეწოდება ტყეს ცაიშში, ურთის მთაზე. ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერ მასალათა ფონდში დაცული ერთი საბუთის თანახმად, რაც 1832 წლით თარიღდება, **„ნასაჯოგუ“** სადაო ყოფილა ცაიშელსა და კობახიძეს შორის (ტუღუში 2001).

საეპისკოპოსოს საზღვრებზე მსჯელობა მოცემულია მკვლევარ გიორგი კალანდიას ნაშრომში. მისი ვარაუდით, აღმოსავლეთი საზღვარი შესაძლებელია მდ. აბაშაზე, ან ცოტა დასავლეთით – ტეხურზე გადიოდა. სამხრეთი საზღვარი რიონის ქვემო წელს მიუყვებოდა სუჯუნიდან (**„იქ, სადაც მდინარე აბაშა უერთდება მდინარე რიონს“**) შავ ზღვამდე. ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი კი XVII ს-ში ალბათ ოდიშის პოლიტიკურ საზღვარს ემთხვეოდა და სვანეთ-ლეჩხუმ-ოდიშის საზღვრამდე, კერძოდ, ცაგერის საეპისკოპოსოს დასაწყისამდე ვრცელდებოდა. რაც შეეხება ჩრდილოეთ საზღვარს, გ. კალანდიას მსჯელობით, ვინაიდან ვახუშტი სვანეთის აღწერისას არ ასახელებს ამ კუთხის ეპისკოპოსებს, ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ერთი სიგელის თანახმად ცაიშელი ეპისკოპოსი დანიელი ლაფსყელდაშის მთავარანგელოზის მაკურთხებლადაა დასახელებული (ქსძ III, 1973: 173). სადადეშქელიანო სვანეთსაც XVII საუკუნისათვის, ან უფრო ადრე, ცაიშის ეპისკოპოსის კუთვნილებად, მის სამწყსოდ მიიჩნევს (კალანდია 2004: 59; ტუღუში **„ძ. მ.“**, №62, 1983: 36; მისივე 2001: 9-10, 19-20). ამ მოსაზრების სასარგებლოდ გ. კალანდია მიიჩნევს XVII ს-ის უცხოურ წყაროს, რომლის მიხედვით სადადეშქელიანო სვანეთი (ზემო სვანეთი) ცაიშელი ეპისკოპოსის სამწყსოს წარმოადგენდა (იქვე: 59). მკვლევარი არ მიუთითებს, თუ XVII ს-ით დათარიღებულ რომელ უცხოურ წყაროს ეყრდნობა ცაიშის საეპისკოპოსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე მსჯელობისას, მაგრამ, აშკარაა, რომ აქ იგულისხმება პატრიარქ მაკარიოსის შემდეგი ცნობა: **„სვანებს ჰყავთ ორი ეპისკოპოსი – ცაგერელი (скурилийски) და ცაიშელი (Джаисели), რომლებიც მხოლოდღა ფორმალურად ითვლებიან მათ მწყემსებად“** (Жузе 1905: 42).

არც ერთი წერილობითი წყაროთი, ტოპონიმიკური თუ სხვა სახის მონაცემებით არ დასტურდება, რომ ცაიშის საეპისკოპოსოს აღმოსავლეთი საზღვარი დროის რაღაც მონაკვეთშიც კი, მდ. აბაშამდე აღწევდა. რაც შეეხება ვახუშტის ცნობას, რომ ცაიშის ეპისკოპოსი იყო **„მწყემსი ამ წყლის სამხრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონ(ა)-ზღვადმდე“,** უნაგირაში აბაშა-ტეხურის წყალგამყოფი ქედის სწორედ ის ნაწილი უნდა იგულისხმებოდეს, რაც ნაქალაქევის ხიდს ქვემოთ, ტეხურის მარჯვენა მხარესაა აღმართული. უნაგირას აღმოსავლეთი მხარე ნაქალაქევს ზემოთ, ვიდრე ცხენისწყლამდე, ვახუშტის ცნობით, ჭყონდიდის საეპისკოპოსოს შემადგენლობაშია (**„აწცა არს მწყემსი უნაგირას აღმოსავლეთისა ცხენისწყლამდე“**).

ცაიშის ეპარქიის საზღვრებზე მსჯელობისას პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ როდის დაარსდა ვახუშტისთან მოხსენიებული წალენჯიხის საეპისკოპოსო. იგივე ითქმის ხობის საეპისკოპოსოზე, რასაც მეცნიერი არ მოიხსენიებს. ამ ორი საეპისკოპოსოს დაარსების თარიღის მიახლოებითი განსაზღვრა დაგვეხმარება იმის გარკვევაში, უნდა ვიგულისხმოთ თუ არა წალენჯიხისა და ხობის საეპისკოპოსოების დაარსებამდე მათი ტერიტორია ცაიშის ეპარქიის ტერიტორიულ შემადგენლობაში.

ვახუშტის აღწერით, საცაიშლოს დასავლეთი საზღვარი XVII ს-ის შემდგომ, სავარაუდოდ, ენგურს მიუყვებოდა, ჩრდილოეთით კი ეგრისის ქედის სამხრეთი კალთების ტერიტორიასაც ფლობდა. სამხრეთით ხობის საეპისკოპოსო (**„სახობო“**) ესაზღვრებოდა, ხოლო ამ უკანასკნელის დაარსებამდე (ხობის საეპისკოპოსოს არსებობაზე პირველი ცნობა XIV ს-ით თარიღდება) საცაიშლოს ტერიტორია რიონის მარჯვენა ნაპირამდე ვრცელდებოდა. XII-XIV სს-ში სვანეთიც ცაიშელის სამფლობელოს წარმოადგენდა. XVII ს. 40-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ლევან II დადიანის თაოსნობით დაფუძნდა წალენჯიხის საეპისკოპოსო, ცაიშელის სამწყსოს ჩრდილოეთმა საზღვარმა ეგრისის ქედიდან სამხრეთით გადმოინაცვლა. ვახუშტის ცნობით, წალენჯიხელი ფლობდა ტერიტორიას **„ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორის ადგილთა, კავკასიდამ ზღუამდე“** (ვახუშტი IV, 1973: 778) მემატიანე **„კავკასში“** გულისხმობს სწორედ ეგრისის ქედს, საიდანაც **„ჭანის მდინარე“** (ჭანისწყალი) მოედინება.

წალენჯიხის ეპარქიის საზღვრები. წალენჯიხის ეპისკოპოსის სამწყსო, ვახუშტის მიხედვით, **„ჭანის მდინარის“** ანუ თანამედროვე ჭანისწყლის//წენწყარის ხეობიდან დასავლეთით, **„დადის მდინარემდე“** (დადისწყლამდე) ვრცელდებოდა: **„ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდამ ზღუამდე“** (ვახუშტი IV, 1973: 778). დამოწმებული ცნობიდან ირკვევა, რომ XVIII ს. I ნახევარში წალენჯიხის საეპისკოპოსო მოიცავდა ჭანისწყლის შუა და ზემო წელს, რაც ჩრდილოეთით, სავარაუდოდ, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთამდე, ოხაჩქუეს მთამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით, როგორც ფიქრობენ, ენგურის ქვემო დინების მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორიასაც მოიცავდა. წალენჯიხის საეპისკოპოსოს შექმნა საცაიშლოს ტერიტორიის გაყოფის ხარჯზე მომხდარა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წალენჯიხის კათედრა XVII ს-მდე არ არსებობდა, შესაბამისად, მისი ტერიტორია ცაიშელის სამწყსოში შედიოდა.

ამასთანავე, ვახუშტი დადისწყალს ბედიის საეპისკოპოსოს საზღვრად მიიჩნევს (იქვე: 780). მაშასადამე, **„ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისი“** ტერიტორია წალენჯიხელის მფლობელობაშია, ხოლო **„დადისწყლისა და მოქვისწყლის შუათისა“** ტერიტორიას ბედიელი ეპისკოპოსი განკარგავს. ამ ორი საეკლესიო ერთეულის გამყოფი საზღვარი სწორედ დადისწყალზე გადიოდა.

თ. ბერაძის აზრით, წალენჯიხელის სამწყსო ტეხურის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავდა და, როგორც ვახუშტის ცნობიდან ირკვევა, ენგურის მარჯვენა მხარეს, შავ ზღვამდე აღწევდა (ბერაძე **„მაცნე“,** №3, 1971: 45). მას სამხრეთით ესაზღვრებოდა ცაიშელის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით – ბედიელის სამწყსო.

პაპუნა გაბისონია ფიქრობს, რომ ბატონიშვილის მიერ მოხაზული წალენჯიხის საეპისკოპოსოს საზღვრები დაზუსტებას საჭიროებს. შავ ზღვამდე საზღვრები იმ გარემოების გამო ვერ მიაღწევდა, რომ ამ ეპარქიას სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ცაიშის საეპისკოპოსო ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთი მიჯნა მდ. ენგური უნდა ყოფილიყო. ენგურსგაღმა უკვე ბედიელის სამწყსო იწყებოდა. პ. გაბისონია წალენჯიხის საეპისკოპოსოს სასაზღვრო მიჯნად აღმოსავლეთით ხობისწყალს მიიჩნევს, ხოლო ჩრდილოეთი საზღვარი, მისი აზრით, სამეგრელოს ქედზე გადიოდა (გაბისონია 2009: 7).

ბედიის ეპარქიის საზღვრები. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით ისტორიული ეგრისის პოლიტიკურ ცენტრად მიჩნეული ბედია X საუკუნიდან საეპისკოპოსოს ცენტრს წარმოადგენდა. ბედიის ეპარქიის მღვდელმთავარი ბედიელად იწოდებოდა. **„მატიანე ქართლისა“**-ს ავტორის ცნობით, ბედიის საეპისკოპოსოს დაარსება იქაური ეპარქიის – გუდაყვის (ზიგანევის) გაუქმების შედეგია: ბაგრატ III-მ (975-1014 წწ.) იგი **„შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვსა საეპისკოპოსო...“** („ქ. ცხ.“ I, 1955: 281).

ბედიასთან მიმართებაში გამოყენებული ტერმინი **„მოცვლა“,** პროფ. ბუბა კუდავას მოსაზრებით, კარგად ასახავს ბერძნული გავლენისაგან თავისუფალი, ახალი და ქართული კათედრების შექმნის მეტად რთულ და მრავალმხრივ პროცესს (კუდავა 2002: 63).

მაშასადამე, ბედიის საეპისკოპოსო სამწყსოს, ტერიტორიის, ქონებისა და პატივის თვალსაზრისით ძიღანევის (გუდაყვის) კათედრის სრულ მემკვიდრედ გვევლინება. ეს აქტი (ძიღანევის/გუდაყვას **„მოცვლა“** ბედიით) განხორციელდა დაახლ. X ს-ის მიწურულს (ინგოროყვა 1954: 249). მემატიანის ცნობით, მეფეს ეპარქიისათვის მრავალი სოფელი შეუწირავს **„ყოველთა ?ევთა და ადგილთა“** (**„ქ. ცხ.“** I, 1955: 281), მაგრამ კონკრეტულად თუ რომელი სოფლები, ამის შესახებ წყაროში არაფერია ნათქვამი.

ვახუშტი ბატონიშვილი ბედიელის სამწყსოს მოქვისწყალსა და დადისწყალს შორის ათავსებს (ვახუშტი IV, 1973: 780).

არქანჯელო ლამბერტი შენიშნავს, რომ ბედიის ღვთისმშობლის ეკლესია აშენებულია გორაკზე. მისი ეპისკოპოსი ბედიელად იწოდება. მის მიერვე შედგენილ რუკაზე მდ. ოქუმის/ტარსურას (ოცჰუმს) ორ მდგენელსშუა, საჩინოს (შაცცინო) ჩრდილოეთით გამოსახულ ეკლესიის სილუეტს აქვს წარწერა: **„ბედიის ეპარქია“** (ბედიას ეპ.). ამდენად, ოქუმის ხეობის სოფლები ბედიელის მფლობელობაში ყოფილა.

ბედიის საეპისკოპოსოს საეკლესიო მიწისმფლობელობისა და სამამულო სისტემის შესახებ, სამწუხაროდ, ისტორიულ საბუთებში მეტისმეტად მწირი ცნობებია დაცული. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ბედიის გულანის ერთ-ერთი მინაწერი, სადაც ვკითხულობთ: **„ბედიელი მიტროპოლიტი მხეიძე ნიკოლოზ. შემოგწირე... უჟამიში ბუკუჩავა: მისი ცოლ-შვიილითა: და: ყმითა: და რისაც მქონებელი იყოს... ამას გარეთ ტყეიშს დაკარგული ამოვიღე ხვიჩაშათი, მისის ცოლშვილითა, ერთი ცოლქმარი კაცი გუდავას ბიძღუა ბაიდია შემომიწირავს სულის დასაოხად...“** (Жордания I, 1903: 206-207; კალანდია 2004: 91). გულანში მოხსენიებული ნიკოლოზ მხეიძის ბედიელობას ისტორიკოსი გიორგი კალანდია ათარიღებს XVII ს-ის I ნახევრით (იქვე: 91, 97). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ბედიის ეპარქიაში შედიოდა გუდავაც. თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით ასე ეწოდება სოფელს გალის მუნიციპალიტეტის აჩიგვარის თემში, ოქუმწყარის მარცხენა ნაპირას. გალს 20 კმ აშორებს, შავ ზღვას – 11 კმ. ესაზღვრება აჩიგვარის თემის სოფ. ტოგონი. სოფლის სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტებია გუდა, გუდაყვა, ხოლო აფხაზები გუდაას ეძახიან. ისტორიულად გუდაყვად იწოდებოდა ვრცელი ზღვისპირა ტერიტორია ოქუმწყარის ორივე მხარეს, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთით აჩიგვარამდე ვრცელდებოდა. გუდავა მოიცავდა გინძე ეწერად სახელდებულ ვრცელ ზღვისპირა ვაკე-საძოვარსაც ოქუმწყარსა და გაგიდაწყარს შუა. ამდენად, ვახუშტის ცნობა, რომ ბედიელის სამწყსო მოქვისწყალსა და დადისწყალს შორის იყო მოქცეული, რეალური ვითარების ამსახველად შეიძლება ჩაითვალოს.

ტერიტორიულად ბედიელის სამწყსოში შედიოდა ოქუმწყარის, ოხურ(ეი)წყარისა და ღალიძგის ხეობები, ილორის ცნობილი ეკლესია, აგრეთვე სოფლები: ოხურეი/ოხური (გვიანი შუა საუკუნეების საისტორიო წყაროების ხოირი), ფოქვეში, ფუწყური, რეკა, საჩინო, ღალიძგა (ახლანდ. ბესლახუბა), სუბეიში (ახლანდ. აჩიგვარა), ოქუმი, ბედია, ჩხორთოლი, ღუმურიში, მუხური, წარჩე და სხვ. ეპარქიის ტერიტორია, ჩრდილოეთით, სავარაუდოდ, მოქვისწყლისა და ღალიძგის სათავეებამდე, ხოჯალის მთისკალთებამდე ვრცელდებოდა, ხოლო შავი ზღვა წარმოადგენდა საზღვარს ერისწყლისა და მოქვისწყლის ზღვასთან შესართავს შორის.

მოქვის ეპარქიის საზღვრები. გიორგი II-ის ვაჟიშვილის, ეგრის-აფხაზეთის მეფე ლეონ III-ის (957-967 წწ.) სახელს უკავშირდება მოქვის ეკლესიის აშენება და **„საყდრად საეპისკოპოსოდ“** შექმნა („ქ. ცხ.“ I, 1955: 270).

ამ დროისათვის ეგრის-აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე არსებობდა სხვა ეპარქიებიც. თუმცა, მკვლევარ გ. მჭედლიძის საინტერესო დაკვირვებით, ჭყონდიდისა და მოქვის საეპისკოპოსოების აშენება ახალ ადგილებზე მოხდა: **„ისინი ძველებისაგან იზოლირებულები იყვნენ ტერიტორიით და კომპეტენციითაც“** (მჭედლიძე, კეზევაძე).

მოქვი დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპარქიას წარმოადგენდა. მის შესახებ ვახუშტის ცნობა ლაკონურია: **„...ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოქუს ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები. აღაშენა... მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა“** (ვახუშტი IV, 1973: 780-781).

როგორც ჩანს, მოქვზე მსჯელობისას მეცნიერს უსარგებლია **„მატიანე ქართლისაში“** დაცული შემდეგი ცნობით: **„შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თვისსა... ამან აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“** („ქ. ცხ.“ I, 1955: 270).

მოქვის ეპარქიის მიწათმფლობელობის, მოქველთა სამწყსოს ტერიტორიული სივრცის შესახებ ისტორიული წყაროები ფაქტიურად არ არსებობს. ამიტომ იძულებული ვართ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ვახუშტის ცნობით, რომელიც ეპარქიის ტერიტორიას XVIII ს-ის პირველი ნახევრისათვის კოდორ-მოქვისწყლის (**„მოქვის მდინარის“**) შუამდინარეთით შემოსაზღვრავს.

ვახუშტის ცნობის გაანალიზება, ეპოქის ისტორიული ფონის გათვალისწინებით, გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ მოქვის კათედრა, დრანდის მსგავსად, აფხაზთა მიერ არის აოხრებული, ეპისკოპოსები არ არიან და საეკლესიო წირვა-ლოცვაც არ აღევლინება.

დიდი მკვლევრის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ცნობების თანამედროვე რუკებისათვის მისადაგებით და ტოპოგრაფიულ რუკებზე პროექტირების გზით შესაძლებელია ჩვენი კვლევისთვის საინტერესო მოქვის ეპარქიის ტერიტორიისა და მასში შემავალი სოფლების მიახლოებით დადგენა. ამგვარად: მოქველის სამწყსოში მოქცეული იყო შავი ზღვის სანაპირო ხაზი მოქვისწყლის მარჯვენა ნაპირიდან მდ. კოდორამდე, საფიქრებელია, რომ ჩრდილოეთით სახმელეთო ხაზი ვრცელდებოდა კოდორის სათავემდე, დალის ხეობის თანჩათვლით. მიახლოებით შემოფარგლულ ამ ტერიტორიულ სივრცეში მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეების ისტორიული წყაროებით ცნობილი დასახლებული პუნქტები: სათამაშია (ახლანდ. ტამიში), მოქვი, კვიტაული/კვიტოული, აითარნე/ათარა, თხალარი/თხინა, ჯგერდა, ქიაჩი, მორცხულა, სკურჩა, ზეგანი (ღალიძგასა და მოქვს შორის, მთებში მდებარე სოფელი მოიხსენიება საეკლესიო საბუთებში) და სხვ.

დრანდის ეპარქიის საზღვრები: ეპარქიის ცენტრს დრანდა წარმოადგენდა. სოფელი ამ სახელწოდებით მდებარეობს ამჟამინდელ გულრიფშის მუნიციპალიტეტში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. პატარა კოდორის ნაპირას.

დრანდის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღის შესახებ წერილობით წყაროებში კონკრეტული ცნობები დაცული არ არის. ამ ხარვეზს ავსებს აღნიშნული საეკლესიო კათედრის იერარქთა შესახებ არსებული სხვა წყაროები, რითაც შესაძლებელია ჰიპოთეტური მოსაზრების გამოთქმა. ვგულისხმობთ ზემო სვანეთში, ლენჯერის თემის სოფელ ლაშთხვერში, მთავარანგელოზის ეკლესიაში დაცულ ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს– ხატს, რომლის შესრულების თარიღად აკად. გიორგი ჩუბინაშვილი XI ს-ის პირველ მესამედს მიიჩნევს (Чубинашвили 1959: 309-312).

ისტორიკოსი ბუბა კუდავა ფიქრობს, რომ დრანდის საეპისკოპოსო უნდა დაარსებულიყო ჭყონდიდის შემდეგ, ვინაიდან დასავლეთ საქართველოში ჭყონდიდის საეპისკოპოსოს განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინება ცხადყოფს **„აფხაზთა“** სამეფოში საეკლესიო პოლიტიკის ახალი ეტაპის დაწყებას სწორედ ჭყონდიდის კათედრის დაარსებით (იქვე: 64). ზემოაღნიშნული მონაცემები მკვლევარს საშუალებას აძლევს დაასკვნას, რომ დრანდის საეპისკოპოსო უნდა დაარსებულიყო X ს-ის II ნახევარში (იქვე: 65). ხატის დამკვეთად დრანდის ეპისკოპოს გრიგოლის დასახელება იმის უტყუარი მოწმობაა, რომ ამავე პერიოდისათვის (XI ს-ის პირველ მესამედი) უკვე არსებობდა დრანდის საეპისკოპოსო (იქვე: 64).

ოდიშის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: **„...დრანდას... ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა. არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამათ შინა (იგულისხმ. მოქვი და დრანდა) ეპისკოპოზნი“** (ვახუშტი IV, 1973: 780-781).

**იგორ კეკელია**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# მეორე მსოფლიო ომი



ბენიტო მუსოლინის აგრესიული საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო ბალკანეთის წინააღმდეგ. 1940 წლის 28 ოქტომბერს იტალია თავისი კოლონიის, ალბანეთის ტერიტორიიდან თავს დაესხა საბერძნეთს. მუსოლინიმ კავშირის დამყარება სცადა ბულგარეთთან, თუმცა ეს წინადადება უარყოფილ იქნა მეფე ბორის III-ის მიერ. საბერძნეთზე თავდასხმის გეგმას არ იცნობდა ჰიტლერიც, რომელიც ამ დროისათვის ბალკანეთზე ოპერაციის მომხრე არ იყო და ცდილობდა იტალიასთან ერთად ინგლისის ინვაზიის გეგმა განეხორციელებინა.

დუჩეს მიზანი იყო საბერძნეთი ბლიცკრიგით დაეპყრო, თუმცა ეს გეგმა არ შედგა. უკვე 3 ნოემბერს ბერძნებმა დაიწყეს კონტრშეტევა მთელ ფრონტზე და აიძულეს იტალიელები თავდაცვით პოზიციაზე გადასულიყვნენ, 14 ნოემბრისთვის კი უკვე თითქმის ალბანეთის საზღვრებამდე უკან დაახევინეს. მოკავშირის გარდაუვალი მარცხი რომ აეცილებინა ჰიტლერმა ბალკანეთზე შეტევის ბრძანება გასცა – დაიწყო ოპერაცია **„მარიტა“.**

1941 წლის დასაწყისში გერმანიამ სცადა მოლაპარაკების გზით გადაეჭრა კონფლიქტი. ჰიტლერმა იუგოსლავიას შესთავაზა შეერთებოდა ბერლინი-რომი-ტოკიოს პაქტს, თუმცა იგი ამ ეტაპზე უარყოფილ იქნა. გერმანიის მოკავშირეობაზე უარი განაცხადა საბერძნეთმაც, რომელიც წარმატებას წარმატებაზე აღწევდა იტალიის წინააღმდეგ ომში. 9 მარტის იტალიური არმიის შეტევა ბერძენთა პოზიციებზე ტოტალური კრახით დასრულდა. 27 მარტს იუგოსლავია დათანხმდა გერმანიის წინადადებას და მისი მოკავშირე გახდა, თუმცა ამას შედეგად მოყვა მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება, საპროტესტო დემონსტრაციები და პუტჩი პრინც-რეგენტ პაველის მთავრობის წინააღმდეგ. მოკავშირეობის ხელშეკრულება გაუქმებულ იქნა.

ყოველივე ამის შემდეგ გერმანიას მხოლოდ სამხედრო ინტერვენციის გზა დარჩა. 6 აპრილს ვერმახტმა გადალახა იუგოსლავიის საზღვრები. პარალელურად ლუფტვაფე-მ დაიწყო ბელგრადის ფართომასშტაბიანი დაბომბვა. დანარჩენი უკვე დროის საკითხი იყო. 10 აპრილს გერმანელებმა აიღეს ხორვატიის დედაქალაქი ზაგრები, 2 დღის შემდეგ 12 აპრილს ბელგრადმა იარაღი დაყარა ვერმახტის სატანკო არმიების წინაშე. 17 აპრილს ხელი მოეწერა იუგოსლავიის უსიტყვო კაპიტულაციას.

6 აპრილსვე დაიწყო ვერმახტის შეტევა საბერძნეთზე, სადაც წინააღმდეგობა გაცილებით დიდი იყო ვიდრე იუგოსლავიაში. განსაკუთრებით დიდი დანაკარგები ვერმახტმა ნახა მეტაქსას ხაზთან, რომელიც მთიან რეგიონში მდებარეობდა და ისინი ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ. 9 აპრილს გერმანელებმა აიღეს სალონიკი, რამაც აღმოსავლეთ მაკედონიაში სტაციონირებულ ბერძნულ სამხედრო შენაერთებს გზა მოუჭრა და მეტაქსას ხაზს გარღვევის საფრთხე დაემუქრა. ალბანეთის ფრონტიდან გადმოსროლილი ბერძნული ჯარები გერმანულ და იტალიურ ტანკებს და საჰაერო დაბომბვებს შეეწირნენ. 21 აპრილს 223.000 ბერძენმა ჯარისკაცმა იარაღი დაყარა.

საბერძნეთში სტაციონირებულმა ბრიტანულმა ჯარებმა თავდაცვითი ხაზი ააგეს თერმოპილესთან, რომელიც 24 აპრილს გადათელილ იქნა ვერმახტის მიერ. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ბრიტანეთის მხედართმთავრობამ სასწრაფოდ ევაკუაციის ოპერაცია დაიწყო და 50.000 ბრიტანელი მებრძოლი ეგვიპტეში იქნა გადაყვანილი. 27 აპრილს ვერმახტის ჯარები შევიდნენ ათენში.

25 აპრილს გერმანიისა და მის მოკავშირეთა 593 სატრანსპორტო თვითმფრინავმა საჰაერო დესანტი გადასხა კრეტაზე (ოპერაცია **„მერკური“**). პარაშუტისტები მოწინააღმდეგისთვის ადვილ სამიზნეს წარმოადგენდნენ და დესანტმა დიდი დანაკლისი განიცადა. ასევე უშედეგოდ დასრულდა მათი ცდა აეღოთ რომელიმე ახლომდებარე აეროდრომი, რომლითაც დამხმარე ძალები შეძლებდნენ კუნძულზე გადმოსვლას – განსაკუთრებით კი არტილერია და ტანკები. მხოლოდ მას შემდეგ რაც ლუფტვაფემ საჰაერო ჰეგემონია მოიპოვა კრეტაზე და გაძლიერებული საზღვაო დესანტი გადმოსვა, კუნძულზე შესაძლებელი იქნა აეროდრომების აღება. მოკავშირეთა ჯარები (მათ შორის ავსტრალიელები და ახალ ზელანდიელები) ერთი კვირის განმავლობაში იცავდნენ კრეტას, თუმც საბოლოოდ იძულებულნი გახდნენ 17.000 კაციანი კორპუსის ევაკუაცია მოეხდინათ.

პირადი შემადგენლობის დიდი დანაკარგის გამო ჰიტლერი, შემდგომში, ყოველთვის უარს აცხადებდა შესაბამისი სახის საჰაერო სადესანტო ოპერაციებზე.

## რუსეთის კამპანია (1941-1945)

ბალკანეთის ომმა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის თარიღი 4 კვირით უკან გადაწია. მას ადგილი ჰქონდა 1941 წლის 22 ივნისს. ამ დაგვიანებამ და უჩვეულოდ ადრე დამდგარმა ზამთარმა ხელი შეუშალა გერმანელთა გეგმის ოპერატიულ განვითარებას, რომელიც მიზნად ისახავდა ზამთრის დადგომამდე **„არხანგელსკ-ასტრახანის ხაზის“** მიღწევას. ვერმახტის მთავარსარდლობის გამოთვლების თანახმად გეგმის ოპტიმალურად შესრულება შეიძლებოდა თუკი ჯარების ზურგიდან მომარაგება ფსკოვ-კიევ-ყირიმის გავლით შეუფერხებლად იწარმოებოდა. მიუხედავად ამისა ჰიტლერი მოითხოვდა მოსკოვის აღებას და ამით გეგმის ოპტიმალური ვარიანტიდან გადახვევას.

სსრკ-ზე თავდასასხმელად ვერმახტს მზად ჰყავდა 3 არმიათა დაჯგუფება. არმიათა ჯგუფ **„ჩრდილოეთს“** (გერმ.: **Die Heeresgruppe Nord**) – მთავარსარდალი გენერალ-ფელდმარშალი ფონ ლეები, უნდა აეღო ბალტიის ქვეყნები და შეტევა გაეგრძელებინა ლენინგრადის მიმართულებით. არმიათა ჯგუფ **„ცენტრს“** (გერმ.: Die Heeresgruppe Mitte) – მთავარსარდალი გენერალ-ფელდმარშალი ფონ ბოკი, უნდა შეეტია დედაქალაქ მოსკოვისათვის და შესაბამისად ყველაზე ძლიერად იყო აღჭურვილი. არმიათა ჯგუფ **„სამხრეთს“** (გერმ.: **Die Heeresgruppe Süd**) – მთავარსარდალი გენერალ-ფელდმარშალი ფონ რუნდშტეტი, უნდა დაეპყრო უკრაინა.

საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად მობილიზირებულ იქნენ გერმანიის სატელიტი ქვეყნების სამხედრო შენაერთებიც. დაგეგმილი იყო შეტევის განხორციელება დაპყრობილი ნორვეგიიდანაც, რომელიც მიზნად ისახავდა მურმანსკის აღებას და იქ მდებარე რკინიგზის ხაზის და პორტის ხელში ჩაგდებას.

1941 წლის 22 ივნისის დილას ვერმახტის 149 დივიზიამ (მათ შორის ყველა გერმანული სატანკო და მოტორიზებული ძალები) გადალახა სსრკ-ის საზღვრები. 2 დივიზია შეტევას აწარმოებდა ფინეთიდან, 8 სტაციონირებული იყო ნორვეგიაში, 1 – დანიაში, 38 დივიზია დასავლეთ ფრონტზე მოქმედებდა, 2 იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში და 7 – ბალკანეთზე.

მიუხედავად ოპერატიული ინფორმაციისა წითელი არმიის საშუალო და დაბალი რანგის სარდლობა გერმანელთა თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა. უამრავი საბჭოთა მებრძოლი სსრკ-ის საზღვრის გასწვრივ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დანებდა მარშით მიმავალ ვერმახტის ჯარებს. ამის ერთადერთი ახსნა **„პრევენციული დარტყმის თეზით“** თუ შეიძლება, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ისტორიკოსთა გარკვეული წრის მიერ გაზიარებული იქნა და რომელიც ჯერ კიდევ მესამე რაიხის იდეოლოგების მიერ გავრცელებულ ინფორმაცია ეყრდნობა. ამ ინფორმაციის მიხედვით საბჭოთა კავშირი თვითონ ემზადებოდა გერმანიაზე თავდასახმელად.

ის ფაქტი, მართლა აპირებდა თუ არა სსრკ გერმანიაზე თავდასხმას და მართლა იყო თუ არა წითელი არმია ასეთი ომისათვის, არ ამსუბუქებს ნაცისტური გერმანიის დანაშაულს ამ თავდასხმაში. სსრკ-ის წინააღმდეგ დაწყებული დაპყრობითი და გამანადგურებელი ხასიათის ომი იყო ჯერ კიდევ წლების წინ ჰიტლერის მიერ ფორმულირებული **„აღმოსავლეთში საარსებო სფეროს“** მოპოვების გეგმის დამასრულებელი ეტაპი.

## ამერიკის ჩაბმა ომში (1941)

ამერიკის შეერთებული შტატები თავიდან ფორმალურ ნეიტრალიტეტს იცავდა მიმდინარე კონფლიქტში. მოსახლეობის უმრავლესობის ანტისაომარი განწყობა ხელს უშლიდა პრზიდენტ რუზველტს პირდაპირ მიეღო მონაწილეობა ომში დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს მხარეზე. თუმცა ფარულად ამერიკა ყოველგვარ შესაძლებელ დახმარებას უწევდა ბრიტანეთს. 1941 წლის 11 მარტის კანონით ამერიკის კონგრესმა ეს დახმარება კანონიერი გახადა. ამის შემდეგ აშშ დიდი რაოდენობით საბრძოლო და სამეურნეო იარაღს აწვდიდა როგორც ბრიტანეთს, ისე საბჭოთა კავშირს.

იაპონიის თავდასხმის შემდეგ აშშ-ს წყნარი ოკეანის ფლოტზე პერლ-ჰარბორში 1941 წლის 7 დეკემბერს, ამერიკა იძულებული გახდა მეორე დღეს, 8 დეკემბერს, ომი გამოეცხადებინა გერმანიისა და იაპონიისათვის. აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მეთაურები შეთანხმდნენ პრიორიტეტი ევროპაზე გადაეტანათ და პირველ რიგში დაემარცხებინათ გერმანია **(„Germany first“).** პირველი შეტაკებს ამერიკისა და გერმანიის ჯარებს შორის ადგილი ჰქონდათ 1942 წლის მიწურულს – ჩრ. აფრიკაში.

## ბრძოლა ჩრდილოეთ აფრიკაში 1940-1943

*მთავარი თემა: „აფრიკის კამპანია“*

იტალიელებმა ჩრდილოეთ აფრიკაში, ისევე როგორც ევროპაში, ბრიტანელთა წინააღმდეგ მთელი რიგი დამარცხებებისა იწვნიეს. 1940 წელს ლიბიაში წამოწყებული იტალიელთა შეტევა ტოტალური მარცხით დამთავრდა. გერმანელმა გენერალმა ერვინ რომელმა 1941 წლის თებერვალში მიიღო ბრძანება მოკავშირე იტალიელები დაეცვა. რომლის ხელქვეით მხოლოდ სუსტი შენაერთები იდგნენ. შეაფასა რა შექმნილი სიტუაცია, ერვინ რომელი მივიდა იმ დასკვნამდე რომ ინგლისელთა შეტევის შემთხვევაში თავისი სუსტი ჯარებით თავდაცვას ვერ შეძლებდა. ამიტომ მან გადაწყვიტა თვითონ შეეტია მოწინააღმდეგისათვის და გამოეყენებინა მოულოდნელობის ეფექტი.

31 მარტს რომელმა შეტევა დაიწყო. მისი შეტევის მთავარი ძალა მიმართული იყო მერსა ბრეგას წინააღმდეგ, რომ შემდეგ კირენაიკასკენ გაჭრილიყო. რომლის ვარაუდი გამართლდა, ოპერაცია წარმატებით განხორციელდა და გერმანელებმა ბენგაზიც კი აიღეს. 10 მარტისათვის **„აფრიკის კორპუსი“** აღმოსავლეთ ლიბიურ პორტციხე-სიმაგრეს ტობრუკს მიადგა, რომელიც მცირე ხნით ადრე იტალიელებმა გაამაგრეს და შემდეგ თითქმის უბრძოლველად დატოვეს. მთელი 1 თვის განმავლობაში რომელის არმია უშედეგო იერიშს იერიშზე აწარმოებდა ტობრუკის წინააღმდეგ. 13 აპრილს რომელმა იერიში შეწყვიტა. ასევე შეწყვეტილ იქნა წინსვლაც, ვინაიდან გერმანული არმიის მომარაგება ზურგიდან შეფერხებებით მიმდინარეობდა. ორივე მებრძოლი მხარე პოზიციურ საომარ სიტუაციაზე გადავიდა.

ნოემბერის დასაწყისში ბრიტანელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს. 26 ნოემბერს ბრიტანელთა მეორე კონტიერიშის შემდეგ ტობრუკის გარნიზონმა მოახერხა ალყის გარღვევა. 7 დეკემბერს **„აფრიკის კორპუსმა“** დაიხია გაზალას თავდაცვით ხაზამდე. თუმცა ეს უკანადახევა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1942 წლის იანვარში რომელმა კვლავ იერიში მიიტანა ტობრუკზე. 1942 წლის 26 მაისს მან დაიწყო ტობრუკზე შეტევა – კოდური სახელი **„ოპერაცია თეზეუსი“.** მძიმე სატანკო ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა და მისმა მოკავშირეებმა შეძლეს 10 ივნისს აეღოთ ბირ ჰახეიმი, ხოლო 20 ივნისს აღებულ იქნა ტობრუკი. ამ წარმატებისათვის რომელს გენერალ-ფელდმარშალის სამხედრო წოდება მიენიჭა.

რომელის შემდგომი მიზანი ეგვიპტეზე შეტევა იყო. გერმანელებს უნდა აეღოთ ალექსანდრია და სუეცის არხი. ამ მიზნებს წინ გადაეღობა ბრიტანელთა სარდალი ბერნარდ მონტგომერი. ელ ალამეინის მახლობლად ბრიტანელებმა თავდაცვის 65 კმ-იანი ხაზი ააგეს და გერმანელთა შეტევა შეაჩერეს. 23 ოქტომბერს მონტგომერიმ კონტშეტევა წამოიწყო. **„აფრიკის გერმანული კორპუსი“** ბრიტებზე რიცხობრივად მცირე იყო და იძულებული გახდა უკან დაეხია. გერმანელთა სიტუაცია სრულიად უიმედო შეიქმნა მას შემდეგ რაც 8 ნოემბერს ამერიკელები გადმოსხდნენ კასაბლანკაში და ალჟირში **(„ოპერაცია ტორჩი“)** და გერმანელთა ზურგში მეორე ფრონტი გახსნენ. 13 ნოემბერს ქალაქი ტობრუკი ბრიტანელებმა აიღეს.

1943 წელს რომელს უკანდახევის მეტი სხვა გზა არ ჰქონდა. 23 იანვარს ბრიტებმა აიღეს ტრიპოლი. მარტ-აპრილში გერმანიისა და მის მოკავშირეთა ჯარები ალყაში აღმოჩდნენ **(„ტუნისის კამპანია“).** გერმანელთა შეუპოვარი ბრძოლა მხოლოდ მარეთის ხაზზე გრძელდებოდა. 13 მაისს **„აფრიკის კორპუსი“** იძულებული გახდა კაპიტულაცია გამოეცხადებინა.

**ბაკურ მორგოშია,**
**პარიზი.**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# აფხაზეთში დაბრუნება მხოლოდ სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი!

ერთიან სამართლებრივ სივრცეში აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებთან დიალოგით, მხოლოდ მათთან შეთანხმებული მოქმედებებითაა შესაძლებელი. სხვა მიდგომა კონტრპროდუქტიულია და დაუშვებელი. ხალხთა შერიგების გზა ერთადერთი სწორი გზაა, ამიტომ მხარეებს შორის საქმიანი ურთიერთობა და დიალოგი აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს ხელისუფლების ძალისხმევის პარალელურად.

სახალხო დიპლომატიის აქტიურად წარსამართავად საჭიროა აფხაზურ მხარესთან, მის ლიდერებთან კონტაქტების დამყარება, დიალოგის წარმართვა და მუშაობა, აფხაზური და ქართული მხარეების წარმომადგენელთა უწყვეტი შეხვედრებისა და დიალოგისთვის სათანადო ნიადაგის შემზადება. გასაგებია, რომ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც მიღწეული იქნება შეთანხმება რუსეთთან და მისგან საქართველოსადმი ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბების შემთხვევაში. აფხაზებსა და ქართველებს შორის აქტიური დიალოგისა და შერიგების პროცესის ფართოდ გასაშლელად, მისთვის სასურველი ნიადაგის, ხელსაყრელი ვითარების შესამზადებლად და ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ქვეყნის ლიდერის პირადი წარმომადგენლის ან საგანგებო დავალებათა დესპანის სტატუსის შემოღება სათანადო უფლებებითა და პასუხისმგებლობით. ეს ადამიანი დღენიადაგ უნდა საქმიანობდეს მხარეებს შორის ლოიალური ურთიერთობის ატმოსფეროს ჩამოსაყალიბებლად. აქ ძალზე მნიშვნელოვანია ასეთი დესპანის პირადი თვისებები. მას უნდა ჰქონდეს ცხოვრებისეული გამოცდილება და ავტორიტეტი მოპირისპირეთა შორის. სასურველია, თუ ის გამორჩეული იქნება ინტელექტით, ტაქტითა და დიპლომატიის უნარით. ის უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ნოდარ დუმბაძის მსგავსად, შეეძლება **„ფრთხილად შეეხოს აფხაზთა გულების სიმებს“**, რაც მეტად მნიშვნელოვანია, დიალოგის წარმატებით წარმართვისთვის. აქ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა საჭიროა ასეთი ლირიკული გადახვევაო, მაგრამ, გამოცდილებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევ ამაზე საუბარს.

ერთხელ, აფხაზურ მხარესთან სამთავრობო დონის შეხვედრისას, ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთმა ლიდერმა (კონფლიქტის დარეგულირების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე რეზო ადამიამ) ბანკეტზე შეზარხოშებულმა მიმართა აფხაზებს ყველას გასაგონად: **„რა, აფხაზო მეგობრებო, ხომ ხართ ცუდად! უარესად იქნებით, თუ გონს არ მოეგებით და ჭკუას არ მოუხმობთ!“** ხოლო ჩვენი მეორე წარმომადგენელი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ცანავა უხეშად მიუჯდა მოლაპარაკების მაგიდას, ფეხი ფეხზე გადაიდო და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე თქვა: „Ну, что, абхазские друзья, будем мириться, или будем воевать?!“ აფხაზეთის დელეგაციის წევრები ადგნენ და უსიტყვოდ გავიდნენ ოთახიდან. იმავე საღამოს, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღების წინ, აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სერგეი ბაღაფშმა გამიხმო განზე და მეუბნება: „Ты видишь, мой дорогой Напо, что происходит?! Вот, как к нам обращаются, как с нами разговаривают! Они нас за людей не считают! О каком примирении и о каком доверии может идти речь!? Нет, нет! С этим все покончено! Хватит!“. ჩემს სიტყვებს აქ ფასი არ ჰქონდა, მან ჩემი მოსმენაც არ მოისურვა და ასე დავშორდით ერთმანეთს.

ასეთი შემთხვევების შემდეგ რომელ შერიგებაზე შეიძლებოდა საუბარი?! ეს ხდებოდა სტამბულში ქართულ-აფხაზური მხარეების შეხვედრისას. ჩვენი მხარის ასეთი ამპარტავანი და ქედმაღლური გამოხდომებისა და საქციელის გამო, ვერც ათენში მივიღეთ გაეროს მიერ შემოთავაზებული რეზოლუცია კონფლიქტის ზონაში სწრაფი რეაგირების ოთხმხრივი მოქმედი ჯგუფების შექმნის შესახებ და ვერც სტამბოლში. ეს ხდებოდა 1998-1999 წლებში. იმავე 1999 წლის ბოლოს სწორედ ასეთი საგანგებო დავალებათა დესპანის რანგში ვეწვიე სოხუმს აღნიშნული რეზოლუციით, რომლის შვიდი პუნქტი იმხანად არ იქნა მხარდაჭერილი მხარეების მიერ, და ახლა ბატონ ანრი ჯერგენიასთან, ვლადისლავ არძინბას მთავარ მრჩეველთან, სულ ნახევარი საათი დაგვჭირდა იმისათვის, რომ გამოგვენახა კონსენსუსი. მან დოკუმენტის ჩემეული ვარიანტი შეათანხმა ვლადისლავ არძინბასთან და ერთი კვირის თავზე ამ დოკუმენტს მხარეებმა ხელი მოაწერეს თბილისში.

პიროვნულ თვისებებთან ერთად ზოგჯერ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმასაც, რაზე და როგორ ისაუბრებს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებთან ასეთი საგანგებო დავალებათა დესპანი თუ ელჩი. რასაკვირველია, დიალოგის მთავარი და ძირითადი თემა იყო და რჩება დევნილების დაბრუნება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ა. შ., მაგრამ არის თემები და საკითხები ამ ძირითადი და გლობალური პრობლემის შიგნით, რომლებიც საუბრის მიღმა რჩება ხოლმე, არადა, მათი გამოყენება, მოშველიება ძალზე მომგებიანი და მნიშვნელოვანია, ზოგჯერ გადამწყვეტიც კი.

აფხაზური მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთან, ბატონ კონსტანტინე ოზგანთან, ედუარდ შევარდნაძესთან შეთანხმებით, ჩემი არაერთხელ შეხვედრისას (ადლერში, ბომბორაში და ა. შ.), როდესაც ვიხილავდით ომის შეწყვეტისა და ღირსეულად გამოსვლის საკითხს, ჩამოვარდა საუბარი აფხაზეთის ორ ნაწილად გაყოფაზე. იმხანად ისინი უყოყმანოდ თმობდნენ გალისა და ნაწილობრივ ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიებს ღალიძგამდე – ძველი სამურზაყანოს ტერიტორიას, იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე აღიარებდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ კონსტანტინე ოზგანის მოსაზრება არ იყო. ასეთი თვალსაზრისი არაოფიციალურ საუბრებში ბევრჯერ გამოუთქვამთ აფხაზური მხარის წარმომადგენლებს, მათ შორის, დეპუტატებსაც. მაგრამ ახლა ეს საუბარი ოფიციალურ სახეს იძენდა და საკითხი იხილებოდა ჩვენ მიერ. ჩემი პოზიცია, რა თქმა უნდა, უარყოფითი იყო, თუმცა, რადგან საუბარი ჩამოვარდა აფხაზეთის დანაწევრებაზე, შევახსენე ჩემს ოპონენტს, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლისას აფხაზეთს არ ეკავა ის ტერიტორია, რომელიც აქვს დღეს. იმჟამინდელ აფხაზეთს გაცილებით მცირე ტერიტორია ჰქონდა, რადგან, არა მხოლოდ **„სამურზაყანო“**, არამედ ძველი საბედიანო, სადაც განისვენებს საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე, დალის (კოდორის) ხეობად წოდებული ტერიტორია, სამეგრელოს პროტექტორატით, გაცილებით ადრე შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. მოკლედ, დაწვრილებით მოვახსენე ბატონ ოზგანს, რომ აფხაზეთი, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის (ქვემო სვანეთითა და ტყვარჩელით) რაიონების ტერიტორიების გარეშე შევიდა რუსეთის შემადგენლობაში შორეულ 1810 წელს. აფხაზებს უპირველეს არგუმენტად მოჰყავდათ რუსეთთან მათი შეერთება საქართველოსგან დამოუკიდებლად, ჩვენი საუბრის შემდეგ კი ბატონი ოზგანი გაცილებით კომპრომისული აღმოჩნდა და დიალოგმა მიიღო მშვიდი, კონსტრუქციული ხასიათი. საუბარი უკვე დაიწყო გუმისთის იქით (სოხუმის გამოკლებით) მდებარე ტერიტორიების გამოყოფასა და ამ ტერიტორიებში აფხაზეთის დამოუკიდებლად გამოცხადებაზე. ამ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწყობის ორი კომპრომისული ვარიანტი, რომლებზეც კონფიდენციალურად მოვახსენე ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, მაგრამ მან ეს ინფორმაცია, სამწუხაროდ, უკომენტაროდ დატოვა – როგორც იტყვიან, ერთ ყურში შეუშვა, მეორედან გამოუშვა. არადა, ჩვენ მიერ ოზგანთან ერთად შემუშავებული პროექტები აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობისა, მათ შორის, ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, მეტად საინტერესო და ყურადსაღები იყო.

რადგან ეს პროექტები თავის დროზე არ იქნა მიღებული, აღნიშნულის შესახებ არსად მითქვამს. ინფანტილურ სააკაშვილთან ამ საკითხზე საუბარი კი, რაღა თქმა უნდა, უაზრობა იყო!

გადავწყვიტე, აფხაზეთის პრობლემების მოგვარების ჩემეული ხედვა, სხვა მოსაზრებებთან ერთად, გამეზიარებინა ბატონი ბიძინა ივანიშვილისთვის, მაგრამ, დაპირების მიუხედავად, უკვე მეორე წელია, აუდიენციას ვერაფრით მივაღწიე ჩემი დიდი მცდელობის მიუხედავად.

ასეთია ჩემი მიდგომა და გამოცდილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში. შეიძლება აქ ბევრი რამ საკამათო და მიუღებელი იყოს ურა-პატრიოტებისთვის, მაგრამ მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ არსებულ პრობლემებს მოაგვარებს მხოლოდ დაშვებული შეცდომების აღიარება, მათი გონივრული ანალიზი და პერსპექტივის ახლებურად დანახვა.

სადი აზროვნება და გონივრული კომპრომისები პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზაა!

**ნაპო მესხია**

## 2014 წლის იანვრიდან აგვისტომდე რუსეთიდან საქართველოში 488 მილიონი დოლარი გადმორიცხეს, აშშ-დან კი 52 მლნ დოლარი. სულ საქართველოში ამ პერიოდში 965 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რომლის 50 %-იც რუსეთიდან გამოიგზავნა

2014 წლის იანვარ-აგვისტოში უცხოეთიდან ქართულ კომერციულ ბანკებში ფულადი გზავნილების ელექტრონული სისტემებით 964.4 მლნ დოლარი გადმოირიცხა. აღნიშნული მონაცემი 30.1 მლნ დოლარით ანუ 3.2%-ით მეტია, 2013 წლის იანვარ-აგვისტოსთან შედარებით.

აგვისტოში საქართველოში 130.1 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რაც 6.8 მლნ დოლარით მეტია 2014 წლის ივლისთან შედარებით და 1.1 მლნ დოლარით მეტია 2013 წლის აგვისტოსთან შედარებით.

2014 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში რუსეთიდან 487.4 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რაც ფულადი გზავნილების სისტემებით მიღებული საერთო მოცულობის 50.3 %-ს შეადგენს, აშშ-დან საქართველოში 51.8 მლნ დოლარი გადმოირიცხა (5.4%), საბერძნეთიდან – 138.8 მლნ დოლარი (14.6%), იტალიიდან – 81.8 მლნ დოლარი (8.5%).



# ამბები სამეგრელოდან

## მარტვილში ლელობურთის ტრადიცია აღსდგა

ზაფხულის მიწურულს, სოფელ ნახუნავოს სტადიონზე ეროვნული სპორტის შენარჩუნების, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა პირველი ჩემპიონატი ლელობურთში. შეჯიბრებას, უამრავი ადამიანი ესწრებოდა. ეს უძველესი ტრადიციული შეჯიბრება ტრადიციულად იმართება ყოველწლიურად. ნახუნაოს ლელობურთის ჩემპიონატი ჩატარდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით.

## სოფელ ტალერში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალერში საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოები **„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“** ფარგლებში ხორციელდება. საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 29.452 ლარი. გარდა ამისა, სოფელ ტალერში **„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“** ფარგლებში რამდენიმე უბანში მიმდინარეობს გზების, ბოგირების და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები. წელს პროგრამის ფარგლებში სოფელ ტალერისთვის გამოიყო 55.371 ლარი. პრიორიტეტები სოფლის საერთო კრებაზე თავად მოსახლეობამ შეარჩია.

## მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლები სასმელი წყლით უზრუნველყოფილია

გვალვების გამო მარტვილის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელს სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა შეექმნა. მოსახლეობამ დახმარებისთვის მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით უკვე რამდენიმე დღეა მოსახლეობის წყლით მომარაგებას მარტვილის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ბრიგადები უზრუნველყოფენ. **„მოსახლეობა წყლით სისტემატურად მომარაგდება მანამ, სანამ აღნიშნული პრობლემა არ მოგვარდება“** – განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ.

## პროტოკოლხური ნამოსახლარები ხობისა და ზუგდიდის ტერიტორიაზე

ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მომიჯნავე ტერიტორიებზე ქართულ-გერმანული ექსპედიცია (სოხუმის უნივერსიტეტი-გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტი) ოთხი წელია აწარმოებს დაზვერვით და არქეოლოგიურ სამუშაოებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე კვლევის პერიოდში დაფიქსირებულ იქნა მრავალი ძველკოლხური ნამოსახლარი, რომლებსაც **„დიხაგუძუბებს“** უწოდებენ. ხოლო სოფელ დღვაბის მიმდებარედ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ **„ტაბაკონის”** დიხაგუძუბაზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაფიქსირდა პროტოკოლხური ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის კულტურული ფენები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პროტოკოლხურ ფენაში აღმოჩენილ იქნა იმ დროინდელი ხის ნაგებობათა ნაშთები.

17 სექტემბერს მასმედიისა და ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს სოხუმის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სანებართვო კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ვახტანგ ჯაფარიძემ არქეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობა და შედეგები გააცნეს. ყურადღება იქნა გამახვილებული არქეოლოგიური მასალების შენახვისა და დაცვის საკითხებზე. აღნიშნეს, რომ „ტაბაკონის“ ნამოსახლარის მასალები, პასპორტიზაციის გავლის შემდეგ გადაეცემა ზუგდიდის დადიანთა მუზეუმს.

აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე კილომეტრის რადიუსში ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, უამრავი ძველკოლხური ნამოსახლარი ფიქსირდება, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამეურნეო სამუშაოების დროს ნაპოვნი არქეოლოგიური მასალები მოსახლეობის ხელშია და საჭიროებენ შეკრებასა და სამუზეუმო ექსპონატად ქცევას. პროფესორ ვახტანგ ჯაფარიძის აზრით ამ ტერიტორიაზე უკვე აღმოჩენილი მრავალი ნიმუში, საჭიროა განთავსდეს ხობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომლის შემდგომი რეაბილიტაციის საჭიროებაზე მეცნიერმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება.

# ფუტკარაძემ საშინლად შეურაცხყო საქართველოს საპატრიარქო

წინაპართაგან გამიგონია პატრიარქს სატანებისგან შვიდი ანგელოზი იცავსო. უფალო, კიდევ უფრო გაუმრავლე ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს დამცველები, რათა ტარიელ ფუტკარაძისთანა ბოროტებმა არ აცდუნონ იგი. ამგვარი შიშის გრძნობა მაშინ დამეუფლა, როცა წავიკითხე ფუტკარაძის მიერ ინკოგნიტო მეგობრისადმი მიწერილი წერილი, სადაც ის დაუფარავად წერს, რომ საპატრიარქო მზად არის იქადაგოს სიყალბე, რათა სიცრუის დამკვიდრებას შეუწყოს ხელი.

მოვიყვან ფუტკარაძის წერილის შინაარსს: **„საქმე იმაშია ჩემო... რომ ჩვენ არ უნდა შევცვალოთ პოზიცია, ყველამ მშვენივრად იცის, რომ მეგრული და სვანურიც ენებია და ჩვენი თეორიის საპირისპიროდ ამის დამტკიცება თუ მოახერხეს, ჩათვალე, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცევა. არც ერთი ნაბიჯი უკან არ უნდა დავიხიოთ და ვეცადოთ, რომ მივაღწიოთ მეგრულის დიალექტად საერთაშორისო აღიარებას. სვანური არ არის იმდენად საშიში, როგორც მეგრულია. ამიტომ, მცდარია თუ არა ჩვენი პოზიცია ახლა უკან დახევა ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება. საპატრიარქო სრულად იზიარებს ჩვენს აზრს და მხარდაჭერას გვპირდება, რაც ჩვენი თეორიის აღიარების გარანტიაა. საპატრიარქოსთან დაპირისპირებას ერიდებიან ეს ახლად აღმოცენებული კუთხისტები, თორემ აქამდე გადაგვივლიდნენ. აქ გემშვიდობები ჩემო მეგობარო, ღვთის მადლი გფარავდეს! ტარიელი."**

როგორ უნდა დაიფაროს კაცი ღვთის მადლმა, თუკი ის სიყალბეს შეგნებულად ჩადის? – ალბათ ეს მხოლოდ ფუტკარაძისნაირმა **„მორწმუნემ"** იცის.

თავხედობასაც ზღვარი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ყოველგვარი სამანი მოშლილია. ფუტკარაძემ, ამ ვაიენათმეცნიერმა, ნებსით თუ უნებლიეთ საშინლად შეურაცხყო საქართველოს საპატრიარქო. მისი საჭეთმპყრობელი ქრისტეს ათი მცნებიდან ერთ-ერთი მთავარი მცნების **(„არ იცრუო")** დამრღვევად ამხილა და მერე იქვე წერს: კუთხისტები საპატრიარქოსთან დაპირისპირებას ერიდებიან, თორემ, აქამდე გადაგვივლიდნენო.

კაცს, თუნდაც პატრიარქს, თუ ის სიყალბეს უჭერს მხარს და არ იცავს ღვთის მცნებას, არავინ მოერიდება.

ფუტკარაძეს ღმერთი რომ არ სწამს, მისსავე წერილიდან ჩანს, მაგრამ პატრიარქიც ასეთად რომ წარმოგვიდგინა, ეს უკვე მეტისმეტია.

ფუტკარაძის ჯგუფის წევრებს სურთ მეგრული ენის დამცველები რუსეთის აგენტებად წარმოგვიდგინონ. გვაინტერესებს, რომელ ეპოქაში იცავდა რუსეთი მეგრულ ენას, მაშინ, როცა აშორდია ციმბირში გაასახლეს თუ ისაკ ჟვანია და **„მაფალუს"** წევრები კრემლის ბრძანებით დახვრიტეს?..

საქართველოს ერთიანობის დასაშლელად რუსეთს მეგრელთა წაქეზება არ სჭირდება, ამას შესანიშნავად გააკეთებენ თანამდებობის მაძიებელნი, ქართული გვარებით შენიღბული არაქართველები, **„გადემოკრატებული"** ყოფილი საბჭოთა კავშირის უშიშროებაში შეთავსებით და ფარულად ნამსახურები ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ასევე მრავალი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების აგენტები...

მეგრელები როცა იცავენ კოლხურ ენას, არავის აგენტები არ არიან, ისინი საკუთარ მეობას იცავენ. რაც შეეხება ფუტკარაძეს და მის გუნდს, ნათლად ჩანს, რომ სომხური ინტერესების ერთგული გამტარებლები არიან საქართველოში. მეგრული ენის და საერთოდ კოლხური ისტორიის წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე მეტად სომხებს სჭირდებათ. მათ ხომ საქართველოს გამაკულტურებლად მოაქვთ თავი. დიდი ძალისხმევისა და ყოველნაირი საშუალებებით ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ სომხებმა შექმნეს ქართული ანბანი, მათ გვაზიარეს ქრისტიანულ რელიგიას, აგვიშენეს ეკლესიები, ქალაქები, გვითარგმნეს ბიბლია; გვიმტკიცებენ რომ ქართველთა მეფეები სომხური წარმომავლობისანი იყვნენ; გვედავებიან 365 ეკლესიას თავისი საეკლესიო მამულებით. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მეგრელები კოლხთა შთამომავალნი კი არა ქართველობადავიწყებული ქართველები არიან, რომ კოლხეთი მითია და არა სინამდვილე, რომ მეგრული ენა, ენა კი არ არის, არამედ ქართველობადავიწყებულ ქართველთა დამახინჯებული კილოკავია.

იქნებ გვიპასუხოს ფუტკარაძემ: თუ კოლხეთი და იბერია მითია, თუ მათი ენა არ არსებობს და მოგონილია, მაშინ რას წარმოადგენს საქართველო, ან რითი უპირისპირდება იგი ჩვენს ტერიტორიაზე **„დიდი არმენიის"** აღდგენის მცდელობას?

ივანე ჯავახიშვილი წერდა: **„საქართველოს ისტორია არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებით და ლეგენდებით".**

ფუტკარაძესთან კამათი არ ღირს. ის შეგნებულად მიდის იმის წინააღმდეგ რაც ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ამ ვაიენათმეცნიერის (ფუტკარაძის) ყოველგვარი მცდელობა წარმოაჩინოს შავი თეთრად, აგრესიულად განწყობილი სომხების წისქვილზე ასხამს წყალს. საფიქრებელია, რომ ის შეგნებულად ემსახურება მათ და შეცდომაში შეჰყავს თავის ირგვლივ შემოკრებილი ჯგუფის ზოგიერთი წევრი.

სიცრუეზე დაფუძნებული ქვეყანა ვერ იარსებებს. ეს უნდა იცოდეს ერმაც და ბერმაც. სამეგრელო ნამდვილად არის თანამედროვე საქართველოს ხერხემალი. ნუ დავეხმარებით მტერს ამ ხერხემლის გადამტვრევაში.

**გიორგი სიჭინავა**

# ეროვნული კომიტეტის საპროტესტო განცხადება

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი, მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ გაზეთ **„ასავალ-დასავალის"** ჟურნალისტის ზაზა დავითაიას მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო, რომელიც საბჭოთა პერიოდში უკრაინის სუკში გამოზრდილი სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის, ზონდერბრიგადებმა ე.წ. **„თავისუფალი ზონის"** სინამდვილეში წითელი ზონის წევრებმა განახორციელეს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზ. დავითაიამ არაერთხელ განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ მზადდებოდა ფიზიკური ანგარიშსწორების გეგმა, მაგრამ სამართალდამცავმა ორგანოებმა არავითარი ღონე არ იხმარეს მისი უსაფრთხოების დასაცავად, რაც თავისთავად საგანგაშოს ხდის საქართველოს თითოეული მოქალაქის ხელშეუხებლობას და იგი დაუცველი რჩება ბოროტმოქმედთა პირისპირ.

კომიტეტს ასევე მიაჩნია, რომ თავდასხმა ამ პიროვნებაზე არა მხოლოდ მის წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ იგი გამიზნული იყო დამოუკიდებელ გაზეთ **„ასავალ-დასავალის"** წინააღმდეგ. ანტიეროვნული ძალები ყველა ღონეს ხმარობენ ეროვნული ცნობიერების მატარებელი ადამიანებისა და პრესის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეროვნულ კომიტეტი კატეგორიულად მოითხოვს დაუყოვნებლივ გამოძიებულ იქნას სისხლის სამართლის ეს საქმე და ბოროტმოქმედი თავდამსხმელები პასუხისგებაში იქნან მიცემული, მითუმეტეს, რომ აღნიშნული თავდასხმა პოლიტიკური ანგარიშსწორებით არის მოტივირებული. რადგანაც დამნაშავე რეჟიმები კვლავ დაუსჯელნი რჩებიან, ბუნებრივია ასეთი სახის გამოვლინებები ქრონიკულ ხასიათს მიიღებს, რაც ძალზედ სახიფათო იქნება ქართული საზოგადოებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

**გიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი),**
**კომიტეტის მთავარი კოორდინატორი,**
**სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;**

**ბესო(ბესარიონ) მიქავა,**
**იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;**

**გიორგი თევზაძე,**
**ადამიანის უფლებადამცველი;**

**ზურაბ ქობალია,**
**ჟურნალისტი;**

# მხოლოდ აღშფოთება არას გვარგებს!

**"მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის, ჩემო თერგო,**
**ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი..."**
**ილია**

ქართველებს ერთი რამ დაგვიტოვეს და ჯერჯერობით არ აუკრძალავთ – აღშფოთების უნარი.

ჩვენ დიდი ხანია აღშფოთებულები ვართ სომეხ მეცნიერებზე, რომლებიც არამც თუ ტერიტორიებს გვედავებიან, არამედ დღეს ყოველივე ქართულს სომხურად ნათლავენ!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან წინაპართა სისხლით გაჟღენთილი მიწები ხიზნებმა წაგვართვეს!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან მამულს ჩინელებზე, ინდოელებზე, არაბებზე, ხატაელებზე ჰყიდიან!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან ვიღაც ტაკიმასხარა საქართველოს სულიერი მამის დაპატიმრებას მოითხოვს!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან ეშმაკთან წილნაყარნი ქართველთა გაპიდარასტებისათვის თავდაუზოგავად იბრძვიან!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან პარლამენტმა ქართველი ერი სოდომ-გომორის ცოდვისათვის გასწირა!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან ზოგიერთ ეპისკოპოსს კაბინეტში მაცხოვრის ხატის მაგიერ მიშას პორტრეტი უკიდია!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან ქართული კულტურა, მეცნიერება, ქართული სპორტი სულს ღაფავს!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან ბიბლიოთეკებიდან ძვირფასი, უნიკალური წიგნები მოიპარეს!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან მუზეუმებიდან ეროვნულ საგანძურს იპარავენ და უცხოეთში ჰყიდიან!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან ზოგიერთი ცხელთავიანი რუს ერს ღორებს ეძახის!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან საქართველოში სატანისტური სექტები აბობოქრდნენ!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან გენმოდიფიცირებული პროდუქტით ვიკვებებით და წელიწადში თვრამეტი ათასი ადამიანი კიბოთი ავადდება ერთ მუჭა ერში!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საქართველოში ქართველები ეროვნულ უმცირესობად ვიქცევით!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან ეროვნული ნიჰილიზმი ჩვენ სულებს ღრღნის და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის პატრიოტიზმი დრომოჭმულ ცნებად იქცა!

ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რადგან ენას, მამულს, სარწმუნოებას დიდი საფრთხე დაემუქრა!

დავრჩით აღშფოთების ამარა 1991 წლის 22 დეკემბრიდან დღემდე...

როდემდე, ღმერთო?

აღშფოთებას აუცილებლად ქმედება უნდა მოჰყვეს, არადა იგი გულის ფხანად გადაიქცევა. ფხანა კი, ოთარაანთ ქვრივის სიტყვებით, ქეცმა იცის.

მარტო აღშფოთებით ვერაფერს გავხდებით. ქმედება, ილიასეული თერგისებური მოძრაობა და ბრძოლაა საჭირო!

მაგონდება ცნობილი სიმღერის სიტყვები: **"საბედისწერო ომში გვიწვევს, დღეს აღშფოთება გონების!"**

იქნებ, აღშფოთებამ ჩვენც გაგვიწვიოს, გამოგვაღვიძოს და სამშობლოს შიშველი ხელი გავუწოდოთ?

ვიყოთ მზად!

**თენგიზ კუბლაშვილი**

## პოეზიის კუთხე

### მარგალი კოჩი ვორექ

მარგალი კოჩი ვორექ,
მარგალო ერჩქინელი.
დარინალო დიხა მაფუ
გორილი დო მერჩქინელი.
ჩქინი ჯვეშებს ვუმარდუქი
მარგალობა დომტესინი,
ბრელი ზისხერ დაბესიდო
ნინა ვამდინუესინი.
ვართი რჯულსუ უღალატეს,
კუნთხუ ვეგმითირესინი.
ჯვეშო კოლხეთს უძახუდეს,
ამდღარ დღაშა ქომორთენი.
ტერქი ბრელი მისოფესი,
აანდაშა ბჭყვიდესენი,
ჯა დო ქუას ვეთალენდეს,
დიხას ასწორენდესენი.
ბრელი ჭირსი გოურძით დო
ამდღარ დღაშა ქიმოფრთითი,
მარგალ, მარგალურს იჩიებ,
მუში ამბე არიკითი.

**ავერიკო თორია**

### ვა მიჩქ, დუდ სო მიკვოტახა

ამდღა ზუგდიდს გილვოქანცა,
შურ დო გურით შულადირი,
მითინს ვაუჩქ, მუ ელამიძ
გურიშ ტომბას ჩუალირო...
ვა მიჩქ, დუდ სო მიკვოტახა,
გილვობარჯა სოდგა – სოდგა,
ომარგალე ვა მი ორდას ნ
დუს ქირქეშა გეგნიპოთა!..

**რამაზ კუპრა**

### ჩქიმი წისქვილი ჩქიმი წისქვილი მესოფუნსი,

ჩქიმი სქიბუ მიგრიალუ,
თეში კარსი ირი დღასი
თელ ქიანა გიტრიალუ.
სქანი წკუმა ვორექინი
მა მუთუნი ვამოზარუ,
სქანი ჩიებას ურჩქილექი,
ბთარგმნუნქი დო ლერსო
ბჭარუ.
მარა თე სქანი ჩიება
ირკოსი ვაგაგინე,
სქანი სოფინდო ხინკოლიშა
ჩქიმიშ მეტი მის გარზინე.
სქანცალ ყალა გერსი ვარა,
ეცალ ოღალ მის აღინე.
სი შეილებუ გინატუე
კოჩი არძო შქირენული,
თენეფიში ხვამაქიე
ძალა მუთი ქიმერჩუნი.
შქირენულიშ მარსხებელო
ჩქიმი წისქვილიე მირეფუნი.
სი მუ სასწაული რექი,
სი მიდეღი ჩქიმი გური,
მიდგაქ სი მოიგონუნი
ჩხონაფილი თიში შური.
სქანი ხანდასი ვორწყექინი,
სი მა მუჭო ვაგოცქუა,
სქანი ნაჩიებინასი
ირიართო ლერსო ფთქუა.
იხინკოლი ჩქიმი რაში,
ჩქიმი სქურიში ნარდი ქუა,
გაჭირებულ თე ქიანას
კოჩი შქირენული ვადიტუა.

**გენო ასათიანი,**
**ზუგდიდი**

# ხელები შორს ჟურნალისტ ზაზა დავითაიასგან!

მასონური ამერიკის, მასონური დასავლეთის მიერ ხელდასმული საქართველოს ე.წ. მარიონეტ ხელისუფლებას ვაფრთხილებთ, გააუქმეთ მ. სააკოვის **“თავისუფალი ზონა”,** რომელსაც აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და მათი სპეცსამსახურები. მკაცრად დაისაჯონ ზაზა დავითაიაზე თავდამსხმელები და მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. გააუქმეთ ყველა ხალხისთვის საძულველი ტელევიზია და არასამთავრობო, რომლებსაც აფინანსებს მასონური ამერიკა და ევროპა. მკაცრად ვაფრთხილებთ, გამოიწვიონ ავღანეთში, ერაყში შეყვანილი ჯარისკაცები. მსოფლიო კეთილი ნების ადამიანები ქართველებს პასუხს მოგვთხოვენ ქართველი ჯარისკაცების გამო, რომლებიც იბრძვიან მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ავღანელი, ერაყელი ხალხის სისხლში გაქვთ ხელი გასვრილი. სააკაშვილის ბანდა და მასონ ივანიშვილის დემონები ამას აკეთებენ საქართველოს სახელით, სინამდვილეში მასონური ამერიკისა და დასავლეთის ბინძურ დაკვეთას ასრულებენ გასამრჯელოს საფასურად, რასაც უამრავი უდანაშაულო ახალგაზრდის, ქალისა და ბავშვის, მოხუცის სიცოცხლე შეეწირა. საქართველო ვერასოდეს ჩამოირეცხავს ამ დანაშაულს მსოფლიოს წინაშე. მასონურ ამერიკას, ევროპას საქართველოში ჰყავს დასაყრდენი. 20.000-მა ქართველმა მოღალატემ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარა ტრენინგი. ეს ადამიანები მზად არიან, მასონების ნებისმიერი დავალება შეასრულონ. ყველა სამშობლოს მოღალატეს ვაფრთხილებთ, მოახლოვებულია სამშობლოში ჩვენი დაბრუნება. რას აპირებთ სამშობლოს, ერის მოღალატეებო? მიწაში ჩაძრომას თუ ჰაერში აფრენას?

22 წლის პრაქტიკამ გვაჩვენა, მასონურ ამერიკას, დასავლეთს საქართველოს ტერიტორია სჭირდება ნატოს ბაზებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განსათავსებლად, რუსეთის სამხრეთით დივერსიების მოსაწყობად, კასპიის ზღვაზე და მის ენერგო რესურსებზე გასასვლელ კორიდორად. ჩვენი სამშობლო საფრთხეშია. ნებისმიერ მასშტაბურ დესტაბილიზაციას სისხლისმღვრელი კონფლიქტის გამოწვევა შეუძლია. ჭეშმარიტო თანამემამულენო, სირიის გამარჯვება მსოფლიოს გამარჯვებაა. სირია იქნება გასაღები ან მშვიდობის დამყარების, ან მსოფლიო ომის დასაწყისის. მსოფლიოს პროგრესული ძალების ძალისხმევით, ღმერთის დახმარებით, ჩვენ გავიმარჯვებთ. ჩვენ სირიაში 134 ქვეყნის 50.000-ზე მეტი მებრძოლი, გმირ სირიელ ხალხთან ერთად სეპარატისტებს, გაეროს მგლებს ვებრძვით, რომლებმაც დაბომბეს საბავშვო ბაღები, სასწავლებლები, ინსტიტუტები, საავადმყოფოები, სახლები. ჩვენ შეუბრალებელი სისასტიკით ამოვჟლიტეთ გაეროს მგლები. მასონურმა ამერიკამ და დასავლეთმა ტირანებად მოგვნათლეს. ხოლო როცა მასონების მიერ ხელდასმული უკრაინის ე.წ. მარიონეტულმა ხელისუფლებამ აღმოსავლეთ უკრაინაში ბარბაროსულად დახოცა მშვიდობიანი მოსახლეობა, ის თურმე ქვეყნის ერთიანობას იცავს. მოგმართავთ ჭეშმარიტ ქართველებს, მასონების – ამერიკისა და ევროპის გაფეტიშებამ საქართველოში რუსეთთან უკიდურესად დაგვიძაბა ურთიერთობა, რამაც ძალიან დაგვაზარალა და რუსეთთან დაგვაპირისპირა. მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს, რუსეთი არის ძლიერი სახელმწიფო, რუსეთს აქვს დიდი ბერკეტები, რუსეთს ჰყავს ძალიან ჭკვიანი და დიპლომატი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, რომელსაც ანგარიშს უწევს მთელი პროგრესული კაცობრიობა. ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სერიოზული ნაბიჯები უნდა გადავდგათ და დავარეგულიროთ რუსეთთან ურთიერთობა. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირებას წინ უნდა უძღოდეს ჩვენი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ამის გაკეთება დიპლომატიური ნაბიჯებით არის შესაძლებელი. ჩვენ გვსურს, ვაშენოთ სამართლიანობისა და დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყანა. ჩვენს ერთობასა და ურთიერთ მხარდაჭერას ვერ შეარყევს მასონური ამერიკისა და ევროპის ინტრიგები. მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ჩვენთან არს. ღმერთი არს ჩვენთან!

საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 3.031 მებრძოლის სახელით,

**გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური, ლაშა გამსახურდია, გერონტი გუგუნავა, მართა სავანელი, სალომე წითური, გურამ ამაღლობელი, დიანა სააკაშვილი, ზაზა ჟორდანია, სანდრო მარიამიძე, ლევან ზაალიშვილი, ბერდია არაბული, გეგა ყაზბეგი, ლელა ჭინჭარაული,**

**სირია, დამასკო**

# “ცხედარი არ ჩამოუსვენებიათ და არც აქვთ იმედი” – რას შეწირა თავი სირიაში 18 წლის პანკისელმა ბიჭმა



სირიაში შეტაკების დროს 18 წლის ბესო კუშტანაშვილი დაიღუპა. ბესო პანკისის ხეობაში, სოფელ ომალოში ცხოვრობდა. გავრცელებული ინფორმაციით, პანკისის ხეობიდან სირიაში საბრძოლველად დაახლოებით 50-მდე ახალგაზრდაა წასული, მათ შორის 16-18 წლის მოზარდები. ბესო კუშტანაშვილი სირიაში პანკისელ მებრძოლებს შორის უკვე მე-6 დაღუპულია...

დაღუპულის ოჯახის ახლობლის თქმით, მან არ იცის, როგორ აღმოჩნდა ბესო სირიაში, თუმცა აქვს ინფორმაცია, რომ მათი ხეობიდან ბევრია იქ წასული და დაღუპულებიც არიან. სავარაუდოდ, უმეტესობა სირიაში თურქეთიდან მოხვდა.

– ბესო დედასა და დასთან ერთად თურქეთში სამუშაოდ იყო წასული, იქიდან კი სირიაში გადასულა... ამას წინათ შევხვდი ბესოს დედას, თურქეთში მეგულებოდა და გამიკვირდა, – აქ ხარ? როდის დაბრუნდი-მეთქი? – აქ ვარ, იქ არყის ქარხანაში ვმუშაობდი და ისეთი მძიმე სამუშაო მქონდა, მთელი დღე ფეხზე ვიდექიო. ჯანმრთელობა არ მივარგა და ვერ გავძელი, ცუდად გავხდი. შვილები იქ დარჩნენო. ბავშვები დავტოვე, რაღაც ორი კაპიკი რომ იშოვონ, მაგრამ სანამ გაძლებენ, არ ვიციო...

**– ანუ ბესო დედასაც თურქეთში ეგულებოდა?**

– დიახ, იქ ეგონა... მოტეხილი მეჩვენა, ეტყობა, მძიმე სამუშაოსგან... ოჯახში უჭირდათ, როგორც დანარჩენებს, მათაც. ამიტომ წავიდნენ თურქეთში, თორემ ხალისის გამო ვინ წავიდოდა იმ ჯოჯოხეთში. იქ რას აკეთებდა, რისთვის იბრძოდა, რა ჩააგონეს, არ ვიცი, მაგრამ ძალიან პატიოსანი, წესიერი და გულიანი ბიჭი იყო. რამდენჯერმე მძიმე ტვირთი რომ მომქონდა, მომეშველა, – სახლამდე მიგატანინებო...

**– მამა ჰყავს ბესოს?**

– კი, 50-წლამდე იქნება. პატიოსანი, მშრომელი და ბეჩავი კაცია. სულ წვალებით გაზარდეს შვილები. გამზრდელმა ბებიამ ვერ გადაიტანა შვილიშვილის სიკვდილი და გადაყვა. როდესაც ეს ამბავი მოუტანეს ოჯახს, ბებია რამდენიმე დღე გაშტერებული იჯდა თურმე და თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა. მერე კი, მესამე დღეს, გული გაუსკდა და მოკვდა... და ვერ ჩამოვიდა, ეტყობა, საბუთების გამო ვერ ჩამოდის. რაც ყველაზე უარესია, ცხედარი არ ჩამოუსვენებიათ და არც აქვთ იმედი, ამბობენ – იქ დაასაფლავესო...

**ლ. პაპასკირი**

# ცოტნე გამსახურდია დედას ოჯახის განადგურებაში ადანაშაულებს – “როდესაც ეს გავაცნობიერე, თავის მოკვლა მინდოდა...”

**“მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ მან ყველაფერი გააკეთა საკუთარი შეუგნებლობით, უგნურებით, პატივმოყვარეობითა და სიჯიუტით, – ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად – ჩვენი ოჯახის გასანადგურებლად”,– ამას ცოტნე გამსახურდია საკუთარ დედაზე, მანანა არჩვაძეზე წერს. საკმაოდ ვრცელ წერილში ცოტნე გამსახურდია იმ სირთულეებს აღწერს, რომელსაც, მისი თქმით, მანანა არჩვაძე გამუდმებით უქმნიდა.**

ცოტნე გამსახურდია წერს, რომ ამ საკითხზე დამატებით განმარტებებს ჟურნალისტებთან აღარ გააკეთებს, და რომ ეს პირველი და უკანასკნელი კომენტარია ამ საკითხზე.

“21 წლის ასაკიდან მარტო ვცხოვრობ. მივეჩვიე, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა მქონდეს და მარტო ვარ ამქვეყნად, თუმც ძალიან მძიმე იყო ოდესღაც ჩემთვის ამის გაცნობიერება. ჩვენ სულ სხვა სტერეოტიპებსა და შეხედულებებზე ვიზრდებით, წარმოდგენაც კი არ შემეძლო მშობლების, მეგობრების, ნათესავების თუ საყვარელი ადამიანების გარეშე ცხოვრებაზე. როდესაც ეს გავაცნობიერე, თავის მოკვლა მინდოდა...

ადრე ბროდსკის ლექსი მაქვს ნათარგმნი, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება:

Но пока мне рот не забили глиной,
Раздаваться из него будет лишь благодарность...

ვცდილობდი ყოველთვის, ბოროტება გულში არ ჩამედო და არ მეცხოვრა სიძულვილით, თუნდაც პრაგმატული მოსაზრებით, რადგან ასეთ ყოფას ცხოვრებასაც ვერ დაუძახებ...

შუბი ხალთაში არ იმალებაო და დღეს იძულებული ვარ ამ უსიამოვნო თემაზე პირველად და უკანასკნელად ხმამაღლა ვილაპარაკო, რათა საზოგადოებას ადეკვატური წარმოდგენა ჰქონდეს იმაზე, რაც ჩემს გარშემო ხდება და გამსახურდიების ოჯახის სახელს უკავშირდება.

კაცმა რომ თქვას, ზვიად, უფრო სწორედ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახი აღარ არსებობს. განსაკუთრებული როლი ამაში სწორედ ჩემს ბიოლოგიურ დედას, მანანა არჩვაძეს ეკუთვნის. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ მან ყველაფერი გააკეთა საკუთარი შეუგნებლობით, უგნურებით, პატივმოყვარეობითა და სიჯიუტით, – ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად – ჩვენი ოჯახის გასანადგურებლად. პირადად მე ჯერ კიდევ პატიმრობის თითქმის დასაწყისშივე ავუკრძალე მას ჩემი სახელის ხსენება რიგ მიზეზთა გამო. მათ შორის, მან ცოცხალმკვდარი მოშიმშილე შეგნებულად ფსიქიურად დაავადებულად გამომაცხადა, რადგან გავბედე და მას საყვედური ვუთხარი, რითაც საშუალება მისცა **სად**-ის ჯალათებს ჩემს წინააღმდეგ საშინელი მეთოდები გამოეყენებინათ – აქაოდა, ხომ ამბობდით გიჟიაო და რეალურ ქმედებებზე გადავიდნენ. ასევე, 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც მოსკოვში იქაური სპეცსამსახურების დაკრულზე ცეკვაზე უარი ვთქვი და იქ აღარ დამედგომებოდა, მას დახმარება ვთხოვე. საპასუხოდ – რამოდენიმე წლის ასაკის შვილიშვილების (ჩემი შვილების) წყევლა-კრულვა მივიღე... ასეთი ეპიზოდი, ვინ მოსთვლის რამდენი იყო... დაახლოებით 10 წლის ასაკიდან სიცრუის, ბოროტების, სისასტიკის და სიძულვილის გარდა თითქმის არაფერი მინახავს მისგან... მახსოვს, როდესაც საქართველოში ჩამოვედი 21 წლის ასაკში, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მან ყველაფერი გააკეთა, რათა ხელი შეეშალა ჩემთვის აქ გასაჩერებლად: ჩემი კონკურენტიაო, აცხადებდა.

სწორედ მისი დამსახურებაა ისიც, რომ ჩემი უმცროსი ძმა, გიორგი, შევარდნაძის პოლიციაში, უფრო სწორედ, მღებრიშვილის **ომონ**-ში აღმოჩნდა. 18 წლის ბიჭი, მან, სიყვარულის გულისთვის, ქუჩაში გააგდო, რითაც ოსტატურად ისარგებლა გარსშემოხვეულმა თარგამაძე-ალავიძის აგენტურამ...

როდესაც ციხიდან გამოვედი და ცოტა ხანში შევეხმიანე საკუთარი ტანსაცმლის და ნივთების წამოსაღებად, მან პოლიციაში დარეკა და ციხიდან ორიოდე კვირის გამოსულ კაცს ამ საკითხზე განმარტებების მიცემა მომიწია...

მან ფაქტობრივად გამძარცვა და დავრჩი ერთი ხელი ტანსაცმლის ამარა...

დღეს მანანა არჩვაძე უკვე მერამდენედ სასამართლოში მიჩივის, ყველანაირი ხერხით ცდილობს მამაჩემის დანატოვარი თუ ჩემს მიერ შეძენილი ქონების მითვისებას და, ამავე დროს, აქტიურად საუბრობს **“ოჯახის სახელით”**. გიორგი გამსახურდიას მან უკვე გადააფორმებინა საკუთარ სახელზე მისი წილი **“კოლხურ კოშკში”.** მაბრალებს ყოველნაირ სიყალბესა და სიბინძურეს, შეაქვს განცხადებები პოლიციაში, სასამართლოში და ასე შემდეგ. გარდა ამისა, აქვე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მის მიერ ოჯახისათვის სახელმწიფოსგან მიღებული სოლიდური თანხებიდან არცერთი თეთრი არ მიმიღია და არც მქონია ამის სურვილი! მკურნალობის ხარჯებსაც საკუთარი სახსრებით ვაფინანსებ, გარდა ინტერფერონის პროგრამისა, სადაც ჯანდაცვის სამინისტრო რეალურად დამეხმარა.

ძალიან გამიგრძელდა და ძალიან მძიმე იყო ჩემთვის ამ ყველაფრის დაწერა... თუმც ეს მხოლოდ მცირე ნაწილია რეალობისა. ვიცი, ვიღაცას ეწყინება, ვიღაცას – პირიქით. ჩემი მიზანი კი ამჟამად მხოლოდ ერთია: ადეკვატური წარმოდგენა ჰქონდეს საზოგადოებას და ამ ადამიანის ქმედებები თუ სიტყვები არ ასოცირდებოდეს ჩვენს ოჯახთან. დიახ, გამსახურდიების ოჯახი აღარ არსებობს! ამაში ალბათ ჩემი წვლილიც არის: სამწუხაროდ, ოციოდე წლის ბიჭს არ მეყო ცოდნა, ძალა და გამოცდილება, თუ საერთოდ შემეძლო პროცესების სხვანაირად წარმართვა...

საბედნიეროდ, დღეს შემიძლია ამ ყველაფერთან გამკლავება, თუმც ეს ყველაფერი არცთუ ადვილი იყო თუნდაც წელიწადნახევრის წინ, როცა კარის გაღების ძალაც კი არ მქონდა...

**p.s.** ***ჟურნალისტების საყურადღებოდ, რომელნიც უკვე შემეხმიანენ: ეს გახლავთ ჩემი პირველი და უკანასკნელი კომენტარი ამ საკითხზე”, – წერს ცოტნე გამსახურდია.***

# შოუ "ხმის" ფინალისტი გელა გურალია: მე მაგდებდნენ მოსკოვიდან – "ჩაალაგე ჩემოდანი და წადიო!"



*რუსეთის "პირველ არხზე" წარმატებით მიმდინარეობს პროექტ "ხმის" მესამე სეზონი. ამასთან, ორი წინა სეზონის მონაწილეები თავდაუზოგავად უტევენ მუსიკალურ ოლიმპს – ტელეშოუში მონაწილეობის მიღების შემდეგ მათი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. თუ რა ცვლილებები მოხდა შოუში მონაწილე "ხმატკბილი" გელა გურალიას ცხოვრებაში, ამაზე თავად შოუს მონაწილე მოგვითხრობს, რომელმაც თავისი გულშიჩამწვდომი ხმით ჟიურის წევრებიც კი აატირა.*

## ჩემი ცხოვრება ლამაზ სიზმარს ჰგავს!

თავისი ცხოვრების პერიპეტიებს, შოუ-კონკურს **"ხმაში"** მონაწილეობამდე, გელა გურალია საკმაოდ ნაღვლიანად იხსენებს. 19 წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა, 5 წლის იყო, როცა, მშობლიურ საქართველოში, პირველად გამოვიდა სცენაზე – ჯერ ანსამბლში მღეროდა, შემდეგ კი საეკლესიო გუნდში. კარიერის გასაკეთებლად მოსკოვში გამგზავრება გადაწყვიტა. ხელშემწყობი თანაშემწეები და სპონსორები არ ჰყავდა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იყო უცხო გარემოში.

**– მოსკოვში 12 წელი ვიცხოვრე, მაგრამ შოუბიზნესის კარები ჩემთვის "საიმედოდ" იყო ჩარაზული, – მოგვითხრობს გელა, – იყვნენ ადამიანები (მათ შორის საკმაოდ სახელგანთქმულებიც, რომელთა ვინაობას გარკვეული მოსაზრებებით არ ვაკონკრეტებ), რომლებიც პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მეუბნებოდნენ: "ჩაალაგე ჩემოდანი და წადი, აქ შენ არავის არ სჭირდებიო!"** ზოგჯერ სასოწარკვეთა მეუფლებოდა და ერთ არც თუ მშვენიერ დღეს მართლაც გადავწყვიტე, რომ სამუდამოდ დავბრუნებულიყავი შინ. მაგრამ ერთხელ შემთხვევით წავაწყდი განცხადებას, რომელიც კასტინგზე იწვევდა მომღერლებს შოუ-კონკურს **"ხმის"** მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად. გადავწყვიტე კიდევ ერთხელ მეცადა ბედი. გავაგზავნე ანკეტა, ბილეთის ფული ახლობლებისაგან ვისესხე და მოსკოვში გავემგზავრე...

**– და შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც კინოში ხდება-ხოლმე?**

– თითქმის, – ამბობს გელა ღიმილით, – ახლა მე უამრავი თაყვანისმცემელი მყავს. მთელი ზაფხული გასტროლებზე ვიმყოფებოდი. ხალხით გადაჭედილი დარბაზები! ყვავილების ზღვა! ადამიანები მწერენ წერილებს, მიძღვნიან ლექსებს, მეფერებიან... ახლახან ალბომი ჩავწერე, სულ მალე – 18 ნოემბერს კი შედგება ჩემი გამოსვლა კრემლის საკონცერტო დარბაზში. ადრე ჩემი შესაძლებლობებისა მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრებს ეჯერათ, ახლა ათასობით ადამიანს სჯერა. რაც შეეხება პროექტ **"ხმას"** და **"პირველ არხს"**, მათი დიდი მადლიერი ვარ, რადგან სწორედ მათ მომცეს გამარჯვების დიდი შანსი. ჩემს თავს გადამხდარი ამბები მართლაც შეიძლება შევადაროთ ლამაზ ზღაპარს, რომლის მთავარი გმირიც მე გახლავართ (იცინის). ახლახან შევხვდი ერთერთ იმ **"მრჩეველს"**, რომელმაც ადრე მითხრა, რომ შოუბიზნესში ჩემი ადგილი არ იყო და შინ დავბრუნებულიყავი. სახე ამარიდა, მეც უბრად გავშორდი, თითქოს ვერ შევამჩნიე...

## "შეყვარებული ვიყავი, მაგრამ არ გამიმართლა"

**– ზღაპარში პრინცები პრინცესებს პოულობენ. შენ როგორ გაქვს საქმე ამ მხრივ?**

– მე ახლა ქარივით თავისუფალი ვარ. შეყვარებული ვიყავი, მაგრამ არ გამიმართლა. როგორი გოგონები მომწონს? მიჭირს დაზუსტება. არ მაქვს გაიდეალეული რომელიმე ტიპაჟი. თუ ვინმე გამოჩნდება ჩემს ცხოვრებაში, გული მიგრძნობს.

**– მეგობრობთ ტელეშოუს კოლეგებთან სერგეი ვოლჩკოვსა და ნარგიზა ზაქიროვასთან?**

– დიახ, მაგრამ იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს – ყველანი საქმით ვართ დაკავებული. ხშირად ვესაუბრებით ერთმანეთს ტელეფონით, დღესასწაულებს ვულოცავთ.

**– ტელეშოუს პირველი სეზონის გამარჯვებულ დინა გარიპოვას მშობლიურ თათარსტანში ბინა გადასცეს საჩუქრად. თქვენი წარმატება თუ აღნიშნეს საქართველოში?**

– **"ხმის"** ფინალის დღეს ჩემს პატივსაცემად დიდი ფოიერვერკი მოაწყვეს. ბინა არ მომცეს, მაგრამ არც მჭირდება – თავად მივაღწევ ყველაფერს. ახლა მთელი ჩემი გულისყური მუსიკისაკენ მაქვს მიმართული. არ მინდა, ვინმე მკარნახობდეს, რა ვიმღერო და როგორ ვიმღერო. არის ხალხი, რომელთაც მე გარკვეულ საკითხებს ვუთანხმებ, მაგრამ შემოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს თავად ვწყვეტ.

**– როგორ ატარებ თავისუფალ დროს?**

– ახლა თავისუფალი დრო არ გამაჩნია – მუშაობაში ვარ ჩაფლული, რაც მხოლოდ მახარებს. მახსოვს, მოსკოვში პირველად რომ ჩამოვედი, არბატზე აღმოვჩნდი. მივუყვებოდი ქუჩებს და ვფიქრობდი. ახლაც არბატზე დავდივარ და ვფიქრობ, თუ რა კარგია, როცა ადამიანი ოცნებებს აიხდენ! მიხარია, რომ გასაჭირის ჟამს სულით არ დავეცი. ვუსურვებ თქვენი გაზეთი მკითხველებს, რომ მხნედ იყვნენ და არასოდეს დანებდნენ ცხოვრების სიძნელეებს!

# ალასანიას ავანტიურა?!

ამერიკული გამოცემა Foreign Policy იუწყება, რომ თბილისმა აშშ-ს **"ისლამური სახელმწიფოს"** წინააღმდეგ ოპერაციის ფარგლებში სირიელი ამბოხებულების საქართველოს ტერიტორიაზე გაწვრთნა შესთავაზა. გამოცემა ამ ინფორმაციას აშშ-ის ინკოგნიტო მაღალჩინოსანზე დაყრდნობით ავრცელებს და დასტურად საქართველოს ელჩი შეერთებულ შტატებში არჩილ გეგეშიძე მოჰყავს. Foreign Policy-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოც გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა. არჩილ გეგეშიძის განცხადებით კი, ჟურნალისტმა მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასწორად გაიგო. შეთავაზება უარყო საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმაც. თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამერიკელების მისამართით თბილისის მხრიდან გარკვეული შეთავაზება მართლაც იყო და ამას ადასტურებს ისიც, რომ ანალოგიური ინფორმაცია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაავრცელეს **"როიტერმა"** და **"ნიუ-იორკ თაიმსმა"**.

**ბადრი ნაჭყებია, ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი:**

– შესაძლოა, ვიღაცას ჰგონია, რომ სირიელი ამბოხებულების გარკვეულ ნაწილს გამოიყენებს **"ისლამური სახელმწიფოს"** წინააღმდეგ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს – ისინი ასევე ებრძვიან სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს. ასადს კი სერიოზული მხარდაჭერა აქვს რუსეთის მხრიდან. რაც შეეხება სირიის ოპოზიციას – ის გაყოფილია ორ ნაწილად: რადიკალურ და შედარებით პოზიტიურ ოპოზიციად, რომელიც მისაღებია დასავლეთისთვის. რადიკალურ ოპოზიციას წარმოადგენს **"ისლამური სახელმწიფო"**, რომლის მებრძოლები (ძირითადად სუნიტები) საშინელებას სჩადიან სირიასა და ერაყში, დაიპყრეს უზარმაზარი ტერიტორიები და მიადგნენ თურქეთის საზღვარს. საქართველო უნდა იყოს ძალიან ფრთხილად – **"ისლამური სახელმწიფო"** მძლავრი ტერორისტული ორგანიზაციაა, მისი წევრები არიან არა მარტო ჩვენი მეზობლები ჩრდილო კავკასიიდან, არამედ ჩვენი თანამემამულეებიც პანკისის ხეობიდან.

**– თუ თბილისსა და ვაშინგტონს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მეამბოხეების გაწვრთნაზე, ეს ინფორმაცია მკაცრად გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო. თუმცა ფაქტია, ინფორმაციამ პრესაში გაჟონა...**

– თუ იყო მსგავსი შეთავაზება, ამ საიდუმლო ინფორმაციის პრესაში გაჟონვას შესაძლოა, ტერორისტებმაც შეუწყვეს ხელი. **"ისლამურ სახელმწიფოს"** უზარმაზარი ბიუჯეტი და დიდი აგენტურული ქსელი აქვს. რაც ნაკლები ქვეყანა ჩაერთვება ანტიტერორისტულ ოპერაციაში, მით უკეთესია მათთვის... ფრთხილად უნდა ვიყოთ და ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ – შესაძლოა, ჩვენი მოქალაქეებიც გახდნენ ტერორისტების მსხვერპლნი, საქართველო კი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდეს. შესაძლოა, საქართველომ ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობა ლოგისტიკის კუთხით (აეროდრომების გადაცემა) მიიღოს, დაეხმაროს სირიელ თუ ერაყელ დევნილებს და ა.შ. თუმცა ჩვენთან რაღაც ფორმირებების გაწვრთნა არასწორი იქნება – მით უმეტეს, სირიის დღევანდელ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად. ამ ფორმირებების სამიზნე ხომ ასადის ხელისუფლებაც გახდება?! ჩვენ არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ამან შეიძლება სერიოზული პრობლემები შეგვიქმნას რუსეთთან ურთიერთობაში. აქვე შეგახსენებთ, რომ ჰაფეზ ასადს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ უღიარებია... აქვე ვიტყვი ერთსაც – მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ თუ გაირკვა, რომ თავდაცვის სამინისტრო და ირაკლი ალასანია მთავრობის ხელმძღვანელობისგან ფარულად აწარმოებდა მოლაპარაკებას ვაშინგტონთან მეამბოხეების გაწვრთნაზე, ეს დიდი ავანტიურა და კატეგორიულად მიუღებელია.

ტერორიზმი არის ისეთი საკითხი, სადაც სერიოზულ გადაწყვეტილებებს ქვეყნის პირველი პირები უნდა იღებდნენ, მათი შეთანხმების გარეშე სერიოზული ნაბიჯის გადადგმა დანაშაულია.

**მამუკა არეშიძე, სტრატეგიული კვლევის კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი:**

– დღეს სირიაში ბაშარ ასადის წინააღმდეგ 14-მდე დაჯგუფება იბრძვის, აქედან 13 ისლამისტურია. ამიტომ საინტერესოა, რომელი მეამბოხეების მომზადებაზეა საუბარი?! როგორც ჩანს, ამ თემაზე საუბრები ნამდვილად იყო – ასეთი სერიოზული გამოცემები ტყუილებს არ წერენ. ამერიკულ პრესაში ორი ვერსია ვრცელდება:

1. ამერიკელებმა სთხოვეს ქართულ მხარეს საწვრთნელი ცენტრის შექმნა;

2. ინიციატივა ქართული მხარისგან მოდიოდა. ამიტომ გასარკვევია, ვინ ვის შესთავაზა. ისე, ამერიკასთან თუ ვინმე აწარმოებდა მოლაპარაკებას, ეს ალბათ თავდაცვის სამინისტრო იყო და იმედია, მთავრობის ხელმძღვანელობა საქმის კურსში გახლდათ. მივიჩნევ, რომ საქართველოს, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით ასეთ რთულ რეგიონში მდებარეობს, უფლება არ აქვს, რაღაც მეამბოხეების გაწვრთნის ფორმით ჩაერთოს მსოფლიო დაპირისპირებაში.

მაშინ, როდესაც ტერორისტებისა და ისლამისტების სამიზნეა ჩრდილო კავკასია და ჩვენ აქ მეამბოხეების გაწვრთნას დავიწყებთ (რა მიზნებით, არ აქვს მნიშვნელობა), ხომ არ გამოვა ისე, რომ ჩვენ შეუგნებლად ტერორისტებს ვეხმარებით?!

ისედაც ბევრს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენს დასავლეთის მოკავშირეობას გაესვას ხაზი და ნამეტანს ნუ ვიზამთ. არ დაგვემართოს ისე, საქონელი დაკლეს და ქათამი ზედ დააკლესო. თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ასადთან დამოკიდებულებას, ამ ფაქტს მოსკოვი ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებს.

# ამბები სამეგრელოდან

## მარტვილში ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

მარტვილის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის **„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“** 621 000 ლარი გამოიყო. 1500-ადგილიანი საფეხბურთო სტადიონი ფუნქციონირებას ოქტომბრის ბოლოს დაიწყებს. მშენებარე სტადიონი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა დაათვალიერა. სამუშაოებს შპს **„ტოტალი“** ასრულებს.

## მინისტრის საჩუქარი მარტვილელ სპორტსმენებს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა მარტვილის საფეხბურთო სკოლის სპორტსმენებს მხარდაჭერის მიზნით საჩუქრად გამოუგზავნა სხვადასხვა სპორტული ინვენტარი ,რომელიც მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ გადასცა სპორტსმენებს.

## გამგებელმა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ განხორციელებული სამუშაოები დაათვალიერა

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის მოადგილემ ვარაზ გაბედავამ სოფელ პირველ ხორგაში **„ენერგო-პრო ჯორჯიას“** მიერ განხორციელებული სამუშაოები დაათვალიერა. სამუშაოები ითვალისწინებდა უხვი ნალექის შედეგად ჩამორეცხილ მდინარის სანაპიროზე დაზიანებული ელექტრო ბოძებისა და 10 კილოვატიანი ელექტრო გადამცემი ხაზის აღდგენას, რომლის შედეგად 55 ოჯახი ელექტროენერგიის გარეშე იყო დარჩენილი. გამგებლისა და **„ენერგო-პრო ჯორიას“** წარმომადგენლების ერთობლივი ძალისხმევით, დაზიანებულ ხაზს შეეცვალა მიმართულება, გამოიცვალა ბოძები. დღეიდან პირველი ხორგის მოსახლეობას ელექტრო ენერგია აღუდგა და უწყვეტად მიეწოდებათ.

## ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ დაიწყო

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს კულტურის სახლში ინტელექტუალური თამაში **„რა? სად? როდის?“** ჩატარდა. ზონალურ შეჯიბრში ძველი ხიბულის, ახალი ხიბულის, საჯიჯაოს და ბიის გუნდები მონაწილეობდნენ.

ინტელექტუალურ შეჯიბრს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება ახორციელებდა. ღონისძიების მიზანი იყო მუნიციპალიტეტში ინტელექტუალური დონის ამაღლება, წიგნიერების და ცოდნის წახალისება, ინტელექტუალური განვითარების პროპაგანდა, ინტელექტუალური თამაშით დაინტერესებული პირების თვითრეალიზაციის ხელის შეწყობა და გამარჯვებულის გამოვლენა.

ინტელექტუალთა გუნდებს ჟიური აფასებდა. საჯიჯაოს ზონის გამარჯვებული გახდა ახალი ხიბულის გუნდი. ინტელექტუალური თამაშები ჩატარდა შემდეგ ზონებში: ხობის ზონა: ქ. ხობი, ნოჯიხევი, გურიფული, ახალსოფელი – 8 ოქტომბერს, ხობის კულტურის სახლში. პირველი მაისის ზონა: თორსა-ღლვაბა, ხეთა, პირველი მაისი, ხამისკური – 10 ოქტომბერს, პირველი მაისის სასოფლო კლუბში. პირველი ხორგის ზონა: პირველი ხორგა, შუა ხორგა, საგვიჩიო, ყულევი, ქარიატა – 13 ოქტომბერს პირველი ხორგის სასოფლო კლუბში. ქვემო ქვალონის ზონა: ზემო ქვალონი, ქვემო ქვალონი, ჭალადიდი, პატარა ფოთი, შავღელე – 15 ოქტომბერს, ქვემო ქვალონის სასოფლო კლუბში. ფინალური ტური გაიმართა 18 ოქტომბერს, ქ. ხობში, კულტურის სახლის დიდ დარბაზში.

სპეციალურად გაზეთ "ილორისათვის"

# დრო არის ზართა დარისხებისა

*ნუ ვღუპავთ მომავალს!*



## ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ქალბატონ თამარ სანიკიძეს და ყველას, ვისაც განათლებასა და მეცნიერებაზე სიტყვა ეთქმის

ქალბატონებო და ბატონებო!

წარმოგიდგენთ მსოფლიოს უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგების ანალიზს, რომელიც ადასტურებს, რომ ვითარება საქართველოში ფრიად საგანგაშოა.

როგორც მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლებამ დიდი ხმაურითა და უზარმაზარი სახსრების ხარჯვით წარმართა განათლების სისტემის რეფორმა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო დონეზე უნდა გაეყვანა.

ამ მოჩვენებითი, ეგრეთ წოდებული **„ყველაზე წარმატებული"** რეფორმით მიღებული შედეგები კი ცხადყოფენ, რომ ამ პროცესმა არამცთუ ევროპულ დონეზე ვერ გაგვიყვანა, მნიშვნელოვნად ჩამოგვარჩინა აფრიკისა და აზიის ქვეყნებსაც (ალჟირს, ირანს, თურქეთს, ინდოეთს და ა.შ.).

სამწუხაროდ, საქართველოს ოთხი საუკეთესო უნივერსიტეტი თავისი რეიტინგით სირიის, ერაყის, ავღანეთის და ბანგლადეშის უნივერსიტეტებს უტოლდება, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩება და 10.000 უნივერსიტეტის სიებშიც კი ვერ ხვდება. ეს იმას ნიშნავს, რომ შედეგი უბედურების ზონას უტოლდება.

ჩვენ ვატყუებთ ჩვენს მოსახლეობას და ვღუპავთ მომავალ თაობას. ეს უმძიმესი ვითარება გამოწვეულია იმით, რომ, განათლების სისტემის შეფასებისათვის ყოფილმა ხელისუფლებამ მოჩვენებითი, ფორმალური პარამეტრები შეარჩია და არა რეალური საბოლოო შედეგი. მკაცრად შეიზღუდა უნივერსიტეტების თავისუფლება, დაინერგა საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც არ ითვალისწინებენ საკურსო პროექტებს და სამუშაოებს, სახელმწიფო გამოცდებს, სადიპლომო ნაშრომების დაცვას, ანუ ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია შედეგის კონტროლთან.

რეფორმა დაიწყო და დამთავრდა ერთიანი მისაღები გამოცდებით. ქართული განათლების სისტემა ჩაიკეტა და მონოპოლიზებულია სამინისტროს ახალგაზრდა, გამოუცდელი ინსტრუქტორების მიერ. საქართველოში შექმნილი ეს მდგომარეობა გამორიცხავს კონკურენციას სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან სამინისტროს მხრიდან ზედმეტი ადმინისტრირების გამო. საგრძნობლად დაბალი რეიტინგი აქვთ იმ უნივერსიტეტებსაც, რომლებიც დაფუძნდნენ უცხოური უნივერსიტეტების თანამონაწილეობით.

ჭეშმარიტად საგანგაშოა თუნდაც ის ფაქტი, რომ ავღანეთის ამერიკული უნივერსიტეტიც კი გაცილებით უსწრებს ჩვენს ერთობლივ უნივერსიტეტებს, ალბათ იმიტომ, რომ ავღანეთის განათლების ინსტრუქტორები ამ დონეზე ვერ ბედავენ თავიანთი სასწავლებლის შევიწროებას.

აშკარაა, განათლების სისტემაში საჭიროა გადაუდებელი ღონისძიებები.

განათლება უნდა გახდეს თავისუფალი, ღია და კონკურენტული. ქართულ უნივერსიტეტებს უნდა შეეძლოთ გაუწიონ კონკურენცია ცივილიზებული ქვეყნების უნივერსიტეტებს ერთობლივი, ქართულ – უცხოური სასწავლებლებლის სახით. მათი მუშაობა კი უნდა შეფასდეს არა პროცესის მკაცრი გარე კონტროლით, არამედ საბოლოო შედეგით. მე ვფიქრობ, ამ მიზნით, აუცილებელი და გადაუდებელია შემდეგი ცვლილებები:

1. რეალურად მიეცეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ბოლონიის კონვენციით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის, უფლება, თვითონ შეარჩიონ და დანერგონ საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც ქართული, ასევე უცხოური უნივერსიტეტების პროგრამების განხორციელების გზით.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებათა შეფასების ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვროს შედეგის მაჩვენებელი პარამეტრები: სტუდენტთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგები (საზოგადოებრივი აზრი სასწავლებლის შესახებ), დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ხვედრითი წილი, იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომელთა მიერ განვლილ საგანმანათლებლო პროგრამას აღიარებენ მოწინავე უნივერსიტეტები; იმ კურსდამთავრებულთა ხვედრითი წილი, რომელთაც, ქართული დიპლომის პარალელურად, მიიღეს უფრო რეიტინგული უცხოური უნივერსიტეტების დიპლომები, გაიარეს პრაქტიკები და საკვალიფიკაციო კურსები საზღვარგარეთ.
3. მისაღები პროცესისას, სასწავლებლებმა საჯაროდ გამოაქვეყნონ საგანმანათლებლო პროგრამა და საერთაშორისო რეიტინგი იმ უმაღლესი სასწავლებლისა, რომლის დიპლომსაც იგი გასცემს.

გულდასმით დააკვირდით ქართული უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგს მსოფლიოს უნივერსიტეტებთან შედარებით და თავად დარწმუნდებით ზემოთქმულის აუცილებლობაში. არსებობს მსოფლიოს უნივერსიტეტების რამდენიმე რეიტინგი. ეს რეიტინგები შედგენილია ათზე მეტი საგულდაგულოდ შერჩეული პარამეტრის შეჯამების საფუძველზე. მათ შერჩევაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები, პროფესორები, განათლებისა და მეცნიერების ლიდერები, ბიზნესმენები და ხელისუფლების წარმომადგენლები.

საგულისხმოა, რომ რეიტინგების უდიდეს უმრავლესობაში (იხილეთ რეიტინგები, რომლებიც წარმოდგენილია მისამართებზე **www.timeshighereducation.co.uk/world-university-rankings/2013-14/world-ranking, www. topuniversities. com/where-to-study/europe/russia/guide, www.shanghairanking.com/Search.jsp www.leidenranking.com/products)** ქართული უნივერსიტეტები არასდროს ფიგურირებენ. სავარაუდოდ, ეს გამოწვეულია იმით, რომ არც ერთი ქართული უნივერსიტეტი საუკეთესო უნივერსიტეტების ათასეულშიც ვერ ხვდება.

შედარებისათვის მსოფლიოს საუკეთესო 1000 უნივერსიტეტის ჩამონათვალში ფიგურირებენ რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის, ბულგარეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტები. ეს იმას ნიშნავს, რომ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროპულმა ნაწილმა განათლების სფეროში, მნიშვნელოვნად გაასწრო საქართველოს.

იმის მიუხედავად, რომ, ქვეყანაში, 10 წლის განმავლობაში, დიდი ხმაურით მიდიოდა განათლების სისტემის რეფორმა, რეალურად არანაირი წინსვლა ჩვენს უახლოეს მეზობლებთან (ყაზახებთან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან) შედარებით ჩვენ არ განგვიცდია. პირიქით, გარკვეულად ჩამოვრჩით კიდეც. 2012 წლის მონაცემებით სომხური უნივერსიტეტები იკავებდნენ ადგილს 3000 უნივერსიტეტს შორის, ხოლო ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო – ილიას უნივერსიტეტი 5000 უნივერსიტეტის მიღმა იყო. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებზე გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვთ ყაზახეთის უნივერსიტეტებს და პრაქტიკულად უტოლდებიან ყირგიზეთს, უზბეკეთს და ტაჯიკეთს.

2014 წლისათვის მონაცემები შეიცვალა და ილიას უნივერსიტეტმა და ჯავახიშვილის უნივერსიტეტმა თითქმის 2500 ერთეულით ზემოთ აიწიეს, თუმცა ჩვენი საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგი პრაქტიკულად მაინც არ შეცვლილა. თუ გადავხედავთ ქვემოთ მოყვანილ 2014 წლის მონაცემებს (**www.webometrics.info**), დავინახავთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტები, თავისი რეიტინგით, არ განსხვავდებიან ერაყის, სირიის, ბანგლადეშის, ავღანეთის, აფრიკის და ლათინური ამერიკის კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების უნივერსიტეტებისაგან. ანუ ჩვენ ვუტოლდებით ქვეყნებს, რომლებიც კატასტროფის ზონაში იმყოფებიან.

ჩვენი აზიელი მეზობლებიდან, განათლების სისტემით, შედარებით წინ არიან თურქეთი, ირანი და ისრაელი. მსოფლიოს 1000 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ 12 თურქული, 10 ირანული, 7 ებრაული და 4 ინდური უნივერსიტეტი

მსოფლიოს 200 საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის ჩამონათვალში არიან თელ-ავივისა და იერუსალიმის, აგრეთვე, სტამბულის (**bogazici-university**) და მოსკოვის, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტები.

გთავაზობთ მონაცემებს მსოფლიოს უნივერსიტეტების შესახებ (**"Webometrics Ranking of World Universities** ), რომლებიც ასახულია მისამართზე **www.webometrics.info.**

საუკეთესო ქართული უნივერსიტეტები, რომელთა რეიტინგები უტოლდება ერაყის, სირიის, ბანგლადეშის და ავღანეთის, ასევე ლათინური ამერიკის და აფრიკის განვითარებადი ქვეყნების საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგებს, არის ილიას უნივერსიტეტი(2201-ე ადგილზე), ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2547-ე ადგილზე), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (5574-ე ადგილზე), თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი ( 6427-ე ადგილზე).

**გთავაზობთ იმ ქართული უნივერსიტეტების ჩამონათვალს, რომელთა რეიტინგი ჩამორჩება ერაყის, სირიის, ბანგლადეშის და ავღანეთის ასევე ლათინური ამერიკის და აფრიკის განვითარებადი ქვეყნების უნივერსიტეტების რეიტინგებს. შავი ზღვის უნივერსიტეტი (7213-ე ადგილზე),კავკასიის უნივერსიტეტი (10506-ე ადგილზე), ბათუმის უნივერსიტეტი (10569-ე ადგილზე), საქართველოს უნივერსიტეტი (10987-ე ადგილზე), თავისუფალი უნივერსიტეტი (11029-ე ადგილზე), თელავის უნივერსიტეტი (11463-ე ადგილზე), გორის უნივერსიტეტი (12234-ე ადგილზე), ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (12848-ე ადგილზე).**

ეს მონაცემები განსაკუთრებით საგანგაშოა, თუ შევადარებთ პოსტსაბჭოთა ევროპული ქვეყნების საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგებს. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი (122-ე ადგილზე), ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი) (347-ე ადგილზე),სოფიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (842-ე ადგილზე), ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (673-ე ადგილზე), ბელორუსიის ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტი (1937-ე ადგილზე), კიევის შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (885-ე ადგილზე), უკრაინის ტექნიკური უნივერსიტეტი (1271-ე ადგილზე), ხარკოვის ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტი (1318-ე ადგილზე).

ჩვენი მეზობელი ქვეყნების საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგებია: სტამბულის უნივერსიტეტი – 190-ე ადგილზე), თეირანის უნივერსიტეტი (398-ე ადგილზე), ბომბეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (551-ე ადგილზე), ბეირუთის უნივერსიტეტი (ლიბანი) (915-ე ადგილზე), ყაზახეთის გუმილევის სახელობის ევრაზიული უნივერსიტეტი (1455-ე ადგილზე), ბრაკის უნივერსიტეტი (ბანგლადეში) (2507-ე ადგილზე), ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2591-ე ადგილზე), ბაღდადის უნივერსიტეტი (ერაყი) (2924-ე ადგილზე), დამასკოს უნივერსიტეტი (4545-ე ადგილზე), **hazar niversity** (აზერბაიჯანი) (5836-ე ადგილზე), ავღანეთის ამერიკული უნივერსიტეტი (5856-ე ადგილზე).

ლათინური ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგი ასე გამოიყურება: 47 უნივერსიტეტი შედის მსოფლიოს 1000 უნივერსიტეტის ჩამონათვალში. 150-მდე უნივერსიტეტი რეიტინგით სჯობია ჩვენს საუკეთესო უნივერსიტეტს. ამ ქვეყნების მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს კი აქვთ შემდეგი რეიტინგები: სან პაულოს უნივერსიტეტი (ბრაზილია) – 29-ე ადგილზე), მეხიკოს ნაციონალური უნივერსიტეტი – 58-ე ადგილზე),ჩილეს უნივერსიტეტი – 208-ე ადგილზე), ბუენოს აირესის უნივერსიტეტი (არგენტინა) – 325-ე ადგილზე), კოლუმბიის ნაციონალურუ უნივერსიტეტი – 399-ე ადგილზე), პუერტო რიკოს უნივერსიტეტი – 806-ე ადგილზე), ვენესუელას ლოს ანდეს მარიდას უნივერსიტეტი – 1002-ე ადგილზე). აღსანიშნავია, რომ სწორედ ზოგიერთთა მიერ სასაცილოდ აგდებული ამ ქვეყნის კიდევ 4 უნივერსიტეტი წინ უსწრებს ჩვენს ყველაზე წარმატებულ უმაღლეს სასწავლებელს.

აზიის უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგი ასეთია: 249 სასწავლებელი 1000 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალში შედის. 700-მდე უნივერსიტეტს კი აქვს გაცილებით უკეთესი რეიტინგი, ვიდრე საქართველოს საუკეთესო უნივერსიტეტს.

აფრიკის უმაღლესი სასწავლებლებიც გვჯაბნიან: 30-მდე უნივერსიტეტს აქვს გაცილებით უკეთესი რეიტინგი ვიდრე საქართველოს საუკეთესო უნივერსიტეტს. განსაკუთრებით კარგი უნივერსიტეტები აქვთ სამხრეთ აფრიკას, ეგვიპტეს, ნაირობს, კენიას და ეთიოპიას. მათი საუკეთესო უნივერსიტეტები 1000 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალშია.

ზიმბაბვეს, სუდანის, ტანზანიის, სენეგალის, ნიგერიის, მოზამბიკის, ბენინის, ბურკინა ფასოს, ბოტსვანას საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგები უტოლდება ჩვენი საუკეთესო უნივერსიტეტის რეიტინგს. შესაბამისად, ჩვენი დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან აფრიკის განვითარებადი ქვეყნების ამ უნივერსიტეტებსაც კი.

* * *

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ცნობილი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც ჯერ კიდევ შემორჩა მეცნიერული და პედაგოგიური პოტენციალის ნაწილი, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი კერძო სასწავლებელი უკეთ არის აღჭურვილი და გარემონტებული, რეიტინგით მაინც გაცილებით უფრო მაღლა დგანან. სამწუხაროდ ეს პროცესი მილევადია და მოსალოდნელია ტრადიციული სამეცნიერო სკოლების თანდათანობითი დაქვეითება და გაქრობაც კი. ამის შედეგად შესაძლოა მომავალში სურათის მთლიანი ცვლილება. ამიტომ, მიმაჩნია, რომ, ტრადიციული უნივერსიტეტების გადარჩენის გზა რეალური რეფორმაა და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ **„პოტიომკინის სოფელი"** – მხოლოდ ლამაზი აუდიტორიები, სადაც ჭეშმარიტი მოძღვრის ხმა არ ისმის, არ ნიშნავს ქვეყნის გადარჩენის გზას.

ცხადზე უცხადესია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენმა დიდმა სახელმწიფო სასწავლებლებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს საერთაშორისო რეიტინგი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამიტომ, გთხოვთ თითოეულ თქვენგანს, რომ თავი მოვიყაროთ საფიხვნოზე, რათა შევიმუშაოთ ჩვენი რეკომენდაციები, რომ უმაღლეს დონეზე განსახილველად შევთავაზოთ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ქართულ საგანმანათლებლო სივრცის გადაუდებელი ცვლილებები.

**ამირან აფციაური,**
**პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისიდან**

# საქინფორმის ექსკლუზივი: ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრისა და გორჩაკოვის ფონდის ორგანიზებით მოსკოვში ქართველი ჟურნალისტების პრეს-ტური გაიმართა – ინტერვიუ რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს წევრთან, ლეონიდ დრაჩევსკისთან



22-27 სექტემბერს, რუსეთის დედაქალაქს პრეს-ტურის ფარგლებში ქართველი ჟურნალისტები სტუმრობდნენ, მათ შორის **„საქინფორმის“** კორესპონდენტი, ნატალია წერეთელი. ღონისძიების ორგანიზატორი იყო **„ი.მ. გორჩაკოვის სახელობის საჯარო დიპლომატიის მხარდამჭერი ფონდი“** და **„ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი“.**

პროექტის ფარგლებში ქართველმა ჟურნალისტებმა შეხვედრები გამართეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან, ექს საგარეო საქმეთა მინისტრთან და ექს პრემიერ-მინისტრთან ევგენი პრიმაკოვთან, ტელეჟურნალისტთან და ტელეწამყვანთან ვლადიმერ პოზნერთან, რუსეთის საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოს **„რუსეთი დღეს“** გენერალურ დირექტორთან დიმიტრი კისელიოვთან, **„რუსეთში ქართველთა კავშირის“** პრეზიდენტთან მიხეილ ხუბუტიასთან და მედიის წარმომადგენლებთან.

გარდა ამისა, ჟურნალისტებს ჰქონდათ საშუალება დასწრებოდნენ რუსეთის პატრიარქი კირილის პრესკონფერენციას, რომელიც მართლმადიდებელი მედიის VI საერთაშორისო ფესტივალის **„რწმენა და სიტყვა“** ფარგლებში გაიმართა. პროექტის ფარგლებში ჟურნალისტებმა რუს ექპერტებთან ერთად ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს, როგორიც არის **„ინტეგრაციული პროექტების კონკურენცია პოსტ-საბჭოთა სივრცეში“.** შეხვედრას ესწრებოდნენ: რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საგარეო პოლიტიკის კათედრის დოცენტი სერგეი მარკედონოვი, პოლიტოლოგი, კავკასიისმცოდნე – ანდრეი ეპიფანცევი, ჟურნალ **„ექსპერტი“**-ს კორესპონდენტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აშშ-ს და კანადის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი გევორგ მირზაიანი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კავკასიის პრობლემებისა და რეგინული უსაფრთხოების ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი ნიკოლაი სილაევი, ექსპერტი ნიკიტა მენდკოვიჩი და **„რუსეთი დღეს“** სააგენტოს ჰუმანიტარული პროექტების ცენტრის ხელმძღვანელი ვლადიმირ ლეპეხინი.

ექსპერტებმა განსახილველ თემასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვები წარმოადგინეს, ხოლო შეხვედრის მეორე ნაწილი დისკუსიის ფორმატში გაგრძელდა და რამდენიმე საათს გასტანა.

პრეს-ტურის ბოლო დღეს სტუმრებისთვის ორგანიზებული იყო ექსკურსია **„სერგიევ პასად“**-ში, სადაც თავმოყრილია რამდენიმე ტაძარი, სიწმინდეები და ისტორიული შენობები.

როგორც პრეს-ტურის ორგანიზატორები აცხადებენ, პროექტი წარმატებული იყო და რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირების საქმეში საკუთარ პოზიტიურ წვლილს შეიტანს.

**„საქინფორმის“** კორესპონდენტი რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს წევრს და გორჩაკოვის ფონდის აღმასრულებელ დირექტორს, ბატონ ლეონიდ დრაჩევსკის ესაუბრა:

**– როგორც გამოცდილ დიპლომატს, მინდა გკითხოთ, როგორ ფიქრობთ როგორ არის შესაძლებელი ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესება დღეს არსებული ე.წ. „წითელი ხაზების“ არსებობის გათვალისწინებით?**

– მიმაჩნია, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობებში ბევრად უკეთესი ვითარებაა, ვიდრე იყო. ადრე ეს ურთიერთობები იყო არაბუნებრივი, დღეს კი დიალოგის სურვილი არსებობს. როდესაც ჩვენ ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი შევქმენით, საკუთარი წვლილიც შევიტანეთ ამ ურთიერთობების გაუმჯობესებაში. ჯერჯერობით ცენტრის დამსახურებები ძალიან ცოტაა, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ მივეცით ერთგვარი ბიძგი, რომ ეს ურთიერთობები სწორი მიმართულებით განვითარდეს და ვაჩვენებთ გზას, რომელსაც უნდა გავუყვეთ – შეხვედრების გზა, გულახდილი საუბრების გზა, ერთმანეთის მოსმენის და გაგების გზა. ვფიქრობ, ჩვენ ამ მიმართულებით მუშაობას გავაგრძელებთ.

**– როგორ აფასებთ ღარიბაშვილის მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კუთხით და იცნობთ თუ არა პირადად ბიძინა ივანიშვილს?**

– არა, ბატონ ივანიშვილს არ ვიცნობ. ის რომ საქართველოში, თბილისში პოლიტიკური ატმოსფერო შეიცვალა ეს საგრძნობი გახდა. საგრძნობია ურთიერთობების სირთულეც, მაგრამ თუ ვისაუბრებთ, პრობლემების გადაჭრის გზებსაც მოვნახავთ. მოხარული ვარ რომ დღეს მოსკოვს ქართველი ჟურნალისტები სტუმრობენ, რომლებიც აქ იმისათვის ჩამოვიდნენ, რომ მოისმინონ სხვადასხვა მოსაზრებები და პოზიციები. ჩვენ, ჩვენი მხრიდან ვეცადეთ, რომ მათ ჰქონოდათ საშუალება ენახათ და მოესმინათ რუსეთში არსებული მოსაზრებების ფართო სფექტრი.

**– რა მოლოდინები იყო პრეს-ტურთან დაკავშირებით და რატომ არის განსაკუთრებულად საინტერესო მსგავსი პროექტები?**

– ყველანაირი პროექტებია საჭირო – მათ ყველას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პრეს-ტურს თავისი უპირატესობა გააჩნია – ეს არის ის, რომ იგი მაშინათვე ხვდება საინფორმაციო საშუალებებში. ის, რასაც საკუთარი თვალით ნახულობენ და ისმენენ იმ ადამიანების გონებაში ილექება, რომლებიც ამ საკითხზე წერას და საუბარს აპირებენ. ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ ჟურნალისტების, არამედ ყველა სფეროს წარმომადგენლების შეხვედრები და საუბრები ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია – ეს იქნება ოფიციალური შეხვედრები თუ არაოფიციალური საუბრები.

**– როგორია ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის სამომავლო გეგმები?**

– პირველ რიგში ეს გეგმები ეხება ცენტრის ყოველდღიურ, აქტიურ მუშაობას. ამ ყოველდღიურ საქმიანობას ვხედავთ იმაში, რომ დავიწყოთ რუსული ენის სწავლების უფასო კურსები თბილისში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობის ფართო ფენისათვის და იმ ადამიანებისათვის, ვინც ფინანსურად უზრუნველყოფილი არ არის. გარდა ამისა, ცენტრის ორგანიზებით გაიმართება სხვადასხვა სახის განხილვები, რომლებშიც ჩართულები იქნებიან ექსპერტები და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები. იქნება საპასუხო ვიზიტები როგორც რუსეთში ისე საქართველოში. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დღეს, რადგან ძალიან დიდი დროის განმავლობაში ორ ერს შორის კონტაქტები შეიძლება არა გაწყვეტილი, მაგრამ ძალიან შეზღუდული იყო. ცენტრს არ გააჩნია ძალიან რთულად განსახორციელებელი იდეები, ვფიქრობ, ჩვენი ძალიან უბრალო მოქმედებების შედეგად შევძლებთ შედეგის მიღებას.

# როგორ აღმოჩნდა “ჩაკრულო” კოსმოსში – დღემდე უცნობი საიდუმლო



**“საბჭოთა მაღალჩინოსნებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ პროექტში მოხვედრილიყო პოპულარული რუსული სიმღერა, “მოსკოვის საღამოები” (“პოდმოსკოვნიე ვეჩერა”). მიუხედავად მათი მცდელობისა, ქალბატონმა ენმა და მისმა მეგობრებმა ეს სიმღერა არ მიიჩნიეს იმ დონის შედევრად, რომ ზემოთ აღნიშნულ პროექტში ჩაედოთ. მათ რჩევისთვის მიმართეს ლეგენდარულ ამერიკელ ფოლკლორისტს ბატონ ალან ლომაქსს, რომელმაც მაშინვე გადადო სიმღერა გვერდით და მათ მოასმენინა ქართული ”ჩაკრულო...”**
– რეჟისორი რამაზ ბლუაშვილი დღემდე უცნობ მოვლენაზე საუბრობს...

– არა მგონია იყოს საქართველოში ქართველი, რომელმაც **“ჩაკრულოს”** და კოსმოსის ისტორია არ იცოდეს. ხშირად მოხვდებით სუფრასთან, სადაც **“ჩაკრულოს”** სადღეგრძელოს მოისმენთ, რომელმაც გალაქტიკა გაარღვია. ყველა ქართველი ძალიან ამაყია ამ ფაქტით, სამწუხაროდ, იმის შესახებ თუ რეალურად როგორ მოხვდა **”ჩაკრულო”** კოსმოსში, ძალიან ცოტამ თუ იცის.. მამა ანსამბლ ერისიონის დირექტორია, უკვე 38 წელია ამ ანსამბლში მოღვაწეობს და შესაბამისად, მთელი ცხოვრება გამუდმებით მესმოდა **“ჩაკრულოს”** ეს საოცარი ამბავი. ყველამ იცოდა, რომ კოსმოსში გაიგზავნა ეს გენიალური სიმღერა. ამასთან ერთად რამოდენიმე ვერსია არსებობდა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ და რომელი ანსამბლი ასრულებდა სიმღერას. იყო სხვადასხვა ვერსიები, ზოგი ამბობდა ანსამბლი **“რუსთავიო”,** ლეგენდარული ჰამლეტ გონაშვილიო და კიდევ სხვა. მაგრამ არ მახსოვს ოდესმე გამეგოს კითხვა, თუ როგორ მოხვდა 1977 წლის 20 აგვისტოს, კოსმოსურ ხომალდ **Voyager-2** -ზე ქართული **“ჩაკრულო”.**

**– როგორ მოხვდა?**

– მოკლედ გეტყვით იმ ისტორიული პროექტის შესახებ, რომლის ნაწილიც გახდა ჩვენი ეს უნიკალური სიმღერა. 70-იანი წლების მიწურულს, ლეგენდარულ ამერიკელ მეცნიერს და ტელეწამყვანს კარლ საგანს გაუჩნდა იდეა, **NASA**-სთან ერთად განეხორციელებინა პროექტი. დედამიწიდან უნდა გაეშვათ რაკეტა, რომელზეც დატანილი იქნებოდა ძალიან დიდი ინფორმაცია დედამიწის და მისი მობინადრეების შესახებ. შეიქმნა ეგრეთწოდებული **“ოქროს დისკი”** და ამ დისკზე დატანილ იქნა დიდძალი ინფორმაცია. მათემატიკური ფორმულების, ადამიანების და ცხოველების ფოტოების, ბუნების სხვადასხვა მოვლენების, მაგალითად ჭექა-ქუხილის ხმებთან ერთად, ოქროს დისკზე დაიტანეს 27 მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც ძალიან დიდი რუდუნებით შეირჩა. დღეს უკვე **Voyager-2** დედამიწას თითქმის 16 მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული და აგრძელებს გზას უსასრულობისაკენ.

ჩემმა კვლევამ, გამოჩენილი ქართველ-ამერიკელი ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, არა ერთხელ მიმიყვანა **NASA**-ში. ერთ ერთი ასეთი ვიზიტის დროს ვიკითხე **Voyager-2**-ის შესახებ. ძალიან მაინტერესებდა, თუ როგორ მოხვდა საბჭოთა კავშირის დროს ქართული **“ჩაკრულო”** ამ ისტორიულ პროექტში. **NASA**-ში მომცეს ქალბატონ ენნ დრუიენის ელექტრონული ფოსტის მისამართ და მითხრეს, რომ ეს იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც კომპეტენტური პასუხის გაცემა შეეძლო ჩემს კითხვაზე. რა თქმა უნდა დაუყოვნებლივ დავუკავშირდი ქალბატონ დრუიენს და მისგან 2 დღეში საოცარი პასუხი მივიღე. მისი თქმით, საბჭოთა მაღალჩინოსნებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ პროექტში მოხვედრილიყო პოპულარული რუსული სიმღერა, **“მოსკოვის საღამოები”** (**“პოდმოსკოვნიე ვეჩერა”**). მიუხედავად მათი მცდელობისა, ქალბატონმა ენმა და მისმა მეგობრებმა ეს სიმღერა არ მიიჩნიეს იმ დონის შედევრად, რომ ზემოთ აღნიშნულ პროექტში ჩაედოთ. მათ რჩევისთვის მიმართეს ლეგენდარულ ამერიკელ ფოლკლორისტს ბატონ ალან ლომაქსს, რომელმაც მაშინვე გადადო სიმღერა გვერდით და მათ მოასმენინა ქართული **”ჩაკრულო”.** ქალბატონი ენი იხსნებს იმ ემოციას, რომელიც იმ წუთში განიცადა და მისი თქმით, პირველივე მოსმენისთანავე **“ჩაკრულოს”** გარანტირებული ქონდა ადგილი პროექტში.

აი, ასე, ქართველების ჩაურევლად, ქართული **“ჩაკრულო”** მოხვდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროექტში. სიმღერას ასრულებდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (დღეს **“ერისიონი”**) ბატონი ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით და სოლისტები იყვნენ აწ განსვენებული ილია ზაქაიძე და ბატონი როსტომ საგინაშვილი, რომელიც დღესაც იგივე წარმატებით ასრულებს **“ჩაკრულოს”.**

**მ. გაბრიჭიძე**

# პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

**ისტორიკოსი** – ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქალდ-მეგრელები პალესტინა-იერუსალიმში,...სადაც პირველებმა დაიწყეს ქრისტიანობის გავრცელება...მის პირველ გამავრცელებელ მეგრელებს – იბერებს სასტიკად დევნიდნენ ისრაელი კეისრები... იერუსალიმის კეისარმა ქრისტიანობის გავრცელებისთვის 309 წ. 23 აპრილს თავი მოკვეთა იერუსალიმელ გიორგის (წმ. გიორგის ). ეს საშინელი სურათი აღწერილი აქვს სომეხ მეისტორიეს – ინჯიჯიან ლუკას ნაშრომში **„წმინდანების ცხროვრება".** უმძიმესი რეპრესიების გამო, იერუსალიმელმა ქრისტიანებმა... თავი შეაფარა მდ. ბურანუნის (ევფრატის) სათავესთან მთებს... ააშენეს ციხე-სიმაგრე რომელსაც **„ჯიბერი," „ჯებერი"** დაარქვეს... მეგრ. სიტყვაა (მტკიცე,მაგარი)... (კლ.შელია „კ. ჩ. ს. კ." გვ. 260).

**ფილოსოფოსი** – შუმერ-ეგვიპტიდან მოყოლებული, შესასწავლია კოლხიზმები უძველეს თეოლოგიურ ლიტერატურებში.

Философ – начиная Шумер-Египет надо изучить Колхизмы в др. теологической литературе.

**ავტორი** – გარდა ამისა, ქართ. მეგრ. ჯოჯო-ხე-თი და სამ-ოთხ-ე ტერმინებიც სრულიად გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონენი არიან: ჯოჯო ეშმაკია,მეგრულად, ხოლო ხე და თი სიტყვათა შესახებ უკვე ვიცით. მ. ე. ჯოჯო + ხე + თი უდრის ეშმაკის საცხოვრის ადგილს.

სამ-ოთხე კი სამ + ოთხ-ე ნაწილებისაგან შედგება: სამ ექვივალენტური შურ-ი „სულიდანაა", ხოლო ოთხე — ონთხე-დან (ზედმიწ. = სა-სუნე-ს). ამ უკანასკნელს, სუფევის მნიშვნელობაც გააჩნია, მაგ: ჩხურუქ ქუდანთხ უდრის სიცივე დაეცა (დადგა) ანუ სიცივის სუფევაა. ე. ი. შურ + ონთხე >//სამ-ოთხე უდრის სულის სასუფეველს. მისი პარალელია – ო-შურ-ეთი «სულისთვის განკუთვნილი ადგილი».

მეგრ. ხვამა „ლოცვა„ ყოველგვარი კვლევის გარეშე აშკარაა,რომ მეგრულივე ხომა „ხმა–დან„ ამოდის. ხოლო ქართ. ლოცვა, მაშასადამე, მეგრ. ლორსუადანაა. მეგრ ნინას ულორსუანც = გამორჩევით, მჭერმეტყველურად მეტყველებს. უჯინ სი, ხოლო ნინასულორსუანც = უყურე შენ, მაინც მაგრად მეტყველებს (იხტიბარს არ იტეხს): ლორსუა > ლოცუა > ლოცვა. აი, საიდანაა ლოცვა.

**ისტორიკოსი** – „...საკმეველი ძვ. ქართ. გამოითქმოდა როგორც „საკუმეველი." ძნელი არაა მის ძირში დავინახოთ „კუმ" ფორმა. ხოლოკუმა მეგრულად ნიშნავს კვამლს. აქედან ცხადი ხდება. რომ საკმეველი იყო მართლაც კვამლის დასაყენებელი და აშკარაა მისი კოლხური წარმომავლობა"... (ნ. კვაშილავა. ხაზგასმა ე. ი.)

**ფილოსოფოსი** – თავგაწირვა მიღებულია თავი+გაწირვა-საგან: თავი გასაგებია მაგრამ არავინ უწყის სიდანაა გაწირვა. იმისთვის „ვინც მეგრული ენა იცის ეს ისეთივეა გქონდეს სიტყვა დაჭრილი და დაჭრულ ფორმას კი ჩაჰკირკიტებდე – ეგ საიდან არიო: დღესაც ცოცხალ მეგრ. სიტყვა წურ-უა//წირუა დაჭრას აღნიშნავს მ. ე. დუდიშ გო-წირუა//თავ-გაწირვა იქნება თავის დაჭრა, თავის მოკვდინება რაღაც მაღალი იდეალებისთვის: იგი კულტმსახურების უმაღლესი ფორმის – სისხლიანი მსხვერპლშეწირვის ეპოქებში პოულობს სათავეს, როცა ად-ნი თავს ისახიჩრებდა ან თავს წირავდა თავის კერპს. მისი გადმონაშთებია,როცა ახლობელის დაღუპვისას ქალები სახეს იკაწრავენ. აქედან გამომდინარე, ფრაზაში – წირვას გამოუყვანს, პირვანდელი მნიშვნელობა ანდერძის აგება კი არაა,არამედ სწორედ ის,რომელიც გადატანითად მიაჩნიათ: **"სიცოხლეს გამოასალმებს, ბოლოს მოუღებს'.'**

მ. ე. თვით საეკლესიო მთავარი ქრისტ. მღვდელმსახურების გამომხატველი სიტყვა – წირ-ვა-ც, რა თქმა უნდა, აქედანვეა, ოღონდ რიტუალი თუ ღვთისმსახურების სხვა ატრიბუტიკაა შეცვლილი.

**ისტორიკოსი** – შუმერთა-კოლხურობას, გარკვეული კუთხით,თავისებური საყრდენი შეუყენეს მეცნიერ-მკვლევართა სხვადასხვა პლეადებმა,ესენია: ჰუმბოლტი,მარი,ბლაიხშტაინერი,ჯავახიშვილი წერეთელი,ჯანაშია ოპერეტი, კრემერი, ძიძიგური, გელოვანი, ალფენიძე, ქაფიანიძე, შელია, გულორდავა, სოფია და სხვები.

...რაც შეეხება „მანას"იგი ქართულად ასე იქნება: მა=მე და ნა=დედა. ე. ი. მე დედა ვარო. სახელი „მადონა"კი ასე წარმოგვიდგება: მა=მე, დო + ნა „დედა."რაც მე და დედას ნიშნავს... გილგამეშის ეპოსში მოცემული სახელები – ხუმბაბა, ენქიდუ, უთუ, არურუ, მაშუსმთა და თვით გილგამეშიც ლაზ-მეგრულად იხსნება... ლაზ—მეგრულად ამოიხსნება სხვა ტ-იც: ნამუ, აფსუ,მუმუ,თიამათი,ნინხურსანგა,დილმუნი, გიბილი,„მარდუქი,კალდუნიაში..."ნ.გულორდავა ჟურნ. ეგრისი1-2.

კოლხურია ანუ პროტოშუმერულია შუმერთა ღმერთების სახელები: უთუ,ნანა, ინანა,მარდუქი,ენქიდუ„ შა. შამაში და ა.შ. იგივე ითქმის ეგვიპტურ თოთი, ჰოროსი, რა ამონ-რა, და ოსირისის შესახებ.

**ავტორი** – რაკი ევროპულ — დემეტრე, გოდ, გად, გოთ, სლ. ბოგ, ირ. ბაგ. და ა.შ. ღმერთ-ის აღმნიშვნელ ტ-თა შესახებ უკვე ვიცით,მით უფრო. გერმანული შუქის ღმერთი ვალ-ი, მეგრ. ვალ-ი>//ქართ. ელვ-ა ერთიანობაში უნდა განიხილებოდეს; ასევე შეუძლებელია,გერმ. ვოდან,სკანდინავიურ ოდინ-ს და მეგრ. ოდი//ოდა//ოდო//ოდო-ია-ს საერთო წარმომავლობა არ აერთიანებდეთ: ამაზე მიუთითებენ მეგრ. სიღერები – „ოდა"და „ოდოია", ეთნონიმი ოდი-შელი, ანთროპონიმი – ოდი-შელიძე, ოდი-შარია და ა. შ.

**ენათმეცნიერი** – ამ უკანასკნელთ აერთიანებთ,მხოლოდდამხოლოდ,შემთხვევითი ბგერითი მსგავსება, განასხვავებთ კი მთავარი – იპოსტასი: ვოდანი და ოდინი ომის ღმერთები არიან.

**ფილოსოფოსი** – ბგერითი მსგავსების გარდა მათ აერთიანებთ ფაქტი იმისა,რომ ღმერთები არიან. ისტორიულად დადასტურებულია:ღმერთები იპოსტასს იცვლიან. იქნებ კოლხ. ოდომ შეიცვალა დანიშნულება ან,პირიქით,– ვოდანმა?

**ავტორი** – ოდო მიღებულია მეგრ. ორდო-დან, რაც მეგრ. დილა გახლავთ. თავად, ეს უკანასკნელი, მიღებულია ოდრო-დან,რადგან,ოდესღაც,დრო გახლდათ მზე ღმერთის სახელი, ამოზრდილი, ისევე როგორც სხვა მრავალთაგანნი (ო-რა, დო-რა და ა. შ.) რა მზე ღმერთის სახელისაგან.

**ენათმეცნიერი** – დრო...,დორა... მზე ღმერთის სახელი???...

**ავტორი** – დიახ, ერთ პერიოდში, დრო მზე ღმერთის სახელი იყო. იგი ერთ, მეგრ. აფხაზურ ვარიანტში არსებულ,სიმღერაშია შემორჩენილი: ო, რა , დრო, ო, ო, ო...ასე იწყება ეს სიმღერა, აფხაზურ ვარიანტში: ეს მისამღერები კოლხურია,ისევე როგორც მრავალი სხვა – რა//რე//რი //რო და ა. შ. შეძახილიანნი. ყველა ეს შეძახილები მზე ღმერთის სახელ რა-ს ვარიანტები გახლავთ, იმდაგვარადვე, ეს როგორც წმ. გიორგის სახელებთან (გეგე, ჯეგე გერგე და ა. შ ) გვაქვს საქმე.

რა მზე ღმერთის დერივატები გვხვდებიან ქართვ. გვარ-სახელებში,სიმღერებში – აფხ. – ვა-რა-დო, სვ. შა-მა-რე-რა, მეგრ. სი-ვო-რა-ი-და,კახ.ო-რო-ვე-ლა და ა.შ. (იხ. გაზ. „მახარია" 4).

დილ შეძახილიანი ქართვ. სიმღერები ივ. ჯავახიშვილმა ცისკრის ვარსკლავისადმი მიძღვნილად ჩათვალა... აქ მთავარი გახლავთ ის, რომ დილ მნიშვნელობის მქონეა და არა უაზრო მისამღერი. თუმცა იგი არა ცისკრის ვარსკლავის, არამედ მზე ღმერთის სახელ ო-რა >(დ-ორა )> დილ ცვლილების შედეგია. დ ფონეტიკურ დანართად უხშირესია, ამიტომ, ამგვარად წარმოიქმნენ: ო-რა >დ-ო-რა; ო-რა > დრო; ო-რა >დ-ო-რა > ო-რ-დ-ო მეგრ.„დილა", სომხ.> ო-რ-დ ძირი ვალ-ორდ-აინიდან «დილაადრიანი» და მეგრ. ო-რა >ორ-დო»დილა» \\სლ. უ-ტ-რო „დილა".

**ენათმეცნიერი** – რუს?.. სომხ.?... – языковед – руск?... арм?...

**ავტორი** – კოლხეთიდან რა მზე ღმერთის სახელი სომხეთამდე კი არა შუმერეგვიპტემდე გავრცელდა. ამიტომ, ა-რა-რატი ანუ ო-რა + რა-თი (ზედმიწ. ო, რა, «მიმართვა მზე ღმერთისადმი» და რა + თი «ღმერთის ადგილი») არამარტო ამ მთის სახელის კოლხურობას ამტკიცებს,არამედ იმ დროზე მიუთითებს, როცა არარატის სანახებში კოლხები ცხოვრობდნენ და რომ, იმ დროს, ორა და რა სახელები მზე ღმერთისა თანაბრად ფუნქციონირებდა. გარდა ამისა, უფლება გვაქვს ვიფიქროთ: ჰიდრონიმები: ა-რა-(ქს)-ი, არე-სი < არე//ორესი ეტიმ. ორა-სთვის განკუთვნილს აღნიშნავს, ხოლო არაქსის შენაკადი – არფა < რა-ფა უდრის რა ღმერთისთვის განკუთვნილ მცენარეულ ადგილს.

ზემოთქმულთან კონტექსტში, და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ადგილს სადაც ქ. ტროა გაშენდა ვილუ-შა ერქვა, უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ: ტროა კოლხების ქალაქი იყო და მისი სახელი ო-რა > მეგრ. ორ-დ-ო »დილა» \\ სლ. უ-ტ-რო „დილა"- ს მსგავსად, მზე ღმერთის სახელ ო-რა-დან მომდინარეობს: ო-რა>დ-ო-რა > ტორა\\ტროა.

**ენათმეცნიერი** – ავტორის სურვილია ყველა ღმერთის სახელი კოლხურად მიითვალოს, მაგრამ აქ მხოლოდ დამთხვევებია.

Языковед – у автора большое желание все имена Бога представить как колхский, но, возможно что тут дело имеем только со случайными совпадениями.

**ავტორი** – არა მარტო ავტორისეული „დამთხვევები"მიუთითებენ: მხოლოდ უპირველესი და ჩვილი ცივილიზაცათა საწყისები, პირველი რწმენითი გამონათებები და, შემდეგ, პირველი მოძღვრება ღმერთზე — თეოლოგია ანუ რელიგია კი არაა კოლხთა პირმშო, არამედ, რაც უმთავრესია: პირველი ადამიანურიააზროვნება-ამეტყველებაც კოლხურია: ანთროპოგენეზი დაიწყო იმ ქართველურმა (კოლხურმა) კლანმა რომლის გვირგვინიც დღეს კაცობრიობაა.

**ენათმეცნიერი** – თქვენ სამი ცნობილი ინსტიტუტის ცხრა დოქტორი გეწინააღმდეგებათ... მხოლოდ ვსვამ კითხვას: ხომ არაა ზემოთქმული, ყოველგვარ აკადემიურობას მოკლებული, თავზეხელაღებული სითამამე?..

**ფილოსოფოსი** – ახალი მეცნიერული ჭეშმარიტება ის მარცვალია, რომელზეც მთელი მსოფლიო მეცნიერება ზედ რომ დაემხოს,გადმოაპირქვავებს და ამობიბინდება...

**ისტორიკოსი** – „...საქართველო არა მარტო ევროპული,არამედ მსოფლიო ცივილიზაციის საწყისია. ამას ადასტურებს მრავალი ისტორიული წყარო, ანტიკური ბერძნული ცივილიზაციის მასალები, მრავალი უცხოელი მეცნიერი („კ.ს.კ." კლ.შელია გვ.179)"...

**ბიოლოგი** – უკვე ჩასახული პრიმიტიული მეტყველების და ასევე საწყისი პრიმიტიული ცივილიზაციების მუდმივად შენარჩუნება-განვითარება გაადვილა ზღვითა და მთებით ჩაკეტილ კოლხეთში დასაბამისმიერი კოლხური კლანის ჩარჩენამ.

**ისტორიკოსი** – „...რატომ ამტკიცებენ ძვ. ბერძენი სწავლულები და რატომ მიაჩნიათ კავკასია კოლხეთის ტერიტორიად (ჰეროდოტე) და რატომ ამბობენ კოლხებს, უძველესი დროიდან,დამწერლობა ჰქონდათო? ამასვე ადასტურებს ცნობილ ქართვ. მეცნიერთა ერთი ნაწილი (აკ. ურუშაძე, რ. გორდეზიანი და სხვები); ასევე... გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, ესპანელი, ვატიკანელი, ამერიკელი მეცნიერები"...დ. ნ. გვ.174.

**ბიოლოგი** – ამერიკელმა მეცნიერებმა, გენეტიკის სპეციალისტებმა (ხელმძღვანელი პროფ. ბრაინ საიქსი), ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე, აღმოაჩინეს, რომ თანამედროვე ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წამოსულნი...კავკასია მსოფლიოში ადამიანთა მოდგმის გავრცელების მთავარი კერა ყოფილა, რომ თანამედროვე ევროპული რასა, მუტაციის გზით, კავკასიაში ჩამოყალიბებულა და შემდეგ გავრცელებულა მთელ ევროპაში და ამერიკაშიც..." დ.ნ. გვ. 184-185.

**ავტორი** – როგორც ვხედავთ, ერთის მხრივ,ძველ სწავლულებს კავკასია კოლხეთად მიაჩნიათ – მათია ფრთიანი ფრაზა: „კავკასია კაცობრიობის შუბლია". მეორეს მხრივ, თანამედროვე გენეტიკის სპეციალისტებს კაცობრიობა კავკასიის ანუ კოლხეთის მემკვიდრედ არათუ დაუგულვებიათ, არამედ, ისევე როგორც დიდი ხნის წინათ ქართველურ-ბასკური ნათესაობა, უტყუარი გენეტიკური ანალიზებით დაუდგენიათ,. ამიტომ, პასუხი თქვენს კითხვაზე, ბ-ნო ენათმეცნიერო, თქვენსავე **„ურყევ მეცნიერული ობიექტიურობისთვის" ანუ „აკადემიურობისთვის"** მიგვინდვია...

საბოლოო დასკვნა:

ვინაიდან:

1) **ენათმეცნიერი** – ბგერითი ტრანსფორმაციები ბაზირებულია არა თავისუფალ ფორმალურ ოპერაციბზე, არამედ ემპირიულ მონაცემებზე;

2) **ისტორიკოსი და არქეოლოგი** – ამემპირიულ მონაცემთა ისტორიულობა მეცნიერებაში დადასტურებულია;

3) **მათემატიკოსი** – სიტყვათა სისტემებში ბგერათა ჭარბი განაწილება – ჭარბი ხდომილობები ალბათობის თეორიის კანონებით დადგენილია, ხოლო მიზეზი მითითებულია და პირდაპირი აუსკულტაციით, აუდიოინსტრუმენტალური თუ ფონოგრაფიული კვლევით დადგენადია;

4) **ფიზიოლოგი, ბიოლოგი და ანთროპოლოგი** – აღმოჩენილია მეტყველების ბიოგენეზური კანონი და მისივე (მეტყველების) ჩასახვის მონოგენომური სინდრომი;

5) **ფილოსოფოსი** – ავტორისეულ მსჯელობებში აზროვნების კანონთა და ლოგიკურ დებულებათა სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია;

6) **ავტორი** – ყველა კითხვა დასმულია, ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულია;

ამიტომ, ყველამ ერთად, უნდა გამოვიტანოთ საბოლოო დანასკვი: „გეორგიული თეორია" ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ, ენათმეცნიერულ, ფსიქოლოგიურ და ა. შ. ასპექტებში სწორია,და მ. ე. მთლიანობაში ამდაგვარად უნდა იქნას აღიარებული.

ამიტომ, ყველამ ერთად, უნდა გამოვიტანოთ საბოლოო დანასკვი: „გეორგიული თეორია" ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ, ენათმეცნიერულ, ფსიქოლოგიურ და ა. შ. ასპექტებში სწორია,და მ. ე. მთლიანობაში ამდაგვარად უნდა იქნას აღიარებული.

პ. ს. კავკასია-ინდოევრპულ ხალხთა გენეტიკურ ნათესაობას და მსოფლიო აზროვნება-მეტყველების მონოგენეზისურ წარმომავლობის დადგენას აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა გათითოკაცებულ კაცობრიობის ერთიანობისკენ მიმართულ,ახალ ზოგადკაცობრიულ,დარწმუნებულად და გაცნობიერებულად დაძმურ სიყვარულზე დაფუძნებულ – ახალი აზროვნების დამკვიდრების საქმეში.

ჯერ არს,პოლიტიკოსებმა ეს სიახლეები ხელთ იღონ, ჯეროვნად შეაფასონ და მიმართონ სიყვარულით გაცისკროვნებულ, კაცობრიობის ერთიანობისაკენ.

**ისტორიკოსი** – ხორნაბუჯის მსგავსი ქალაქი იყო კახეთში – ხორ-ან-თა,რომელსაც მე-XI საუკუნემდე ჰერ-ეთ-ს ეძახდნენ.

**ავტორი** – ცხადია, ამ სიტყვის ჰ ხ ბგერის ჩავარდნით: ჰერ<ხერ არის წარმოქმნილი. ანუ სახელ ჰერ-ეთ-ის წინარეა ხერ-ეთ-ი (ხერ//ხორ),თუმცა კი წყაროებში არ ჩანს.

**იგივე** – დასახლების შინაარსის ამოსავლიანობა გააჩნიათ ტოპონიმებს – ხერ-ია (ლენტეხი). თავად ლენტეხ-ის ეტიმოლოგია ასეთია: ლეტა" ტალახი"+ ხი უდრის ტალახიანი მიწა;

ხერ//ხორ ამოსავლიანობა გააჩნიათ, აგრეთვე ტოპონიმებს ხერ-თვისი (ხელვაჩაური), ხერ-კი (კახეტი) და ა.შ.

**ფიზიოლოგი** – ბატონებო,ეს სახელები არა თუ კახთა, არამედ **„ყოველთა ქართველთა"** კოლხურობას ღაღადებენ.

**ავტორი** – ოდნავცვლილ ხორ-ძირიდან არიანტოპონიმები: ქ. ხონ-ი (შდრ. ხონ-უა „მეგრ. ხვნა"); ხონ-ე; ხორ-ჩანა (ს. ტყიბული)=ხორ+ჩანა „ცენება"=ოჯახის სამოსახლო მცენარეულობა; ხორ-ბალ-ო (ახმეტა); ხორ-ნა ლებია „ხორნა ლობიოს" (ლობიოს სახეობაა)=ნასახლარის ლობიო; ხორ-ო ატამა ხორო ატამი=„სახლ-კარის ატამი"; ხორ-ბალ-ი=„სახლ-კარის ბალი" ანუ ამოსავალი მნიშვნელობა სიტყვისა ხორბალ-ი, ხორ ძირით გამოხატული – სამოსახლო ადგილის, ხოლო ბალით – ხილკენკროვან-მარცვლეულთა მნიშვნელობის ქონებაა, რომელიც ამჟამად, როგორც ვხედავთ, დავიწროებულია. ბალ//ბულ<ბ-ყულის შესახებ (იხ. „გ.თ" გვ103-108).

**ბიოლოგი** – ბოლო მაგალითები: ადამიანის საცხოვრისისა და საკვებ მცენარეთა მნიშვნელობებით განპირობებული პირველქმნადობები, უცილობლად, იმ უძველეს პერიოდზე მიანიშნებენ, როცა პირველყოფილი თემი სახლდება ბუნებრივად მცნებარე საკვებ მცენარეთა ტერიტორიაზე, ან, პირიქით, თვითონ იწყებს საცხოვრისთან მათ კულტივირებას.

**ფიზიოლოგი** – «ნებისმიერი განათლებული» მიხვდება: ერთიც ხდებოდა და მეორეც. ანუ ამგვარი სახელების შემქმნელებმა ორივე, აქვე თქმული, პროცესი გამოიარეს. ამგვარი უნიკალური ფაქტები მიწათმოქმედებაში, ჯიუტად, კოლხურ პრიორიტეტზე მიანიშნებენ...

**ედემი იზორია**

# სამეტყველო ბგერების წარმოშობისა და მეგრულ (იბერიულ) ენაში მათგან მნიშვნელობების მიღების შესახებ

თუ სიმაღლეზე ჩამოკიდებული ბაწრის ქვედა ბოლოში ჰორიზონტალურად დავამაგრებთ ხის ნაჭერს და სწრაფად დავახტებით, ბაწრის მყისიერი დაჭიმვის გამო, გავიგონებთ ბგერათა კომპლექსს **ბ,** ,. როგორც კ/ფ „ტარზანშია“, ქარაფის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასაადგილებლად და საფრთხისგან თავდასაღწევად, პირველყოფილ ადამიანს, უეჭველად, ექნებოდა გამოყენებული მსგავსი საშუალებები. ასეთ შემთხვევაში ის ხშირად გაიგონებდა **ბ,** , ბგერათა კომპლექსს და ასე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიღებულმა პრაქტიკამ უბიძგა ადამიანს ორ წერტილს (თუ საგანს) შორის განხორციელებული კავშირისათვის ეწოდებინა **ბ,** და გამოეგონებინა სხვადასხვა სიმაღლის ტემბრის მქონე (რასაც სხვადასხვა სიმსხოსა და სხვადასხვა ძალით დაჭიმული სიმები იძლევა) სიმებიანი ინსტრუმენტი, რომლის სიმები გამოსცემენ ბგერათა კომპლექსს **ბ,** ,.

მაშასადამე, **ბ,** [ , ] **ბგერათა კომპლექსი მიიღება ორ საგანს შორის მყისიერი კავშირის, ბმის განხორციელების მომენტში, ან განხორციელებული (უმოკლესი) ბმის, კავშირის შეშფოთების მომენტში. სწორედ, ამიტომ მიიღო ბ(//ბ,) ბგერამ ბმის, კავშირის მნიშვნელობა.** და ყველაფერს ამას ადასტურებს ბ ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის სახელწოდება ბან(ბ[, ] ან [ც, ] (ჰკიდია ცაში) და მისი გრაფიკული მოხაზულობა Ⴁ).

**გ(//გ,).** ბგერა-სიტყვა **მ,** (შემდგომ ასე ვუწოდებთ თანხმოვან ბგერებს, რამეთუ ისინი, ცალკე აღებულნი, არ არსებობენ ირაციონალური , ბგერის თანხლების გარეშე) მე-3 პირის ზმნაა და ირთავს რა ზმნისწინებს, წარმოგვიდგება რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებად.

1. **გეიო-გ,** (ამო-აგო[კედელი]); 2. **გეში-გ,** (ამო-იგო[კედელი]); 3. **გეშუ-გ,** (ამო-უგო); 4. **გინა-გ,** (მი-აგო[მადლი]); 5. **გინი-გ,** (გადა-იხადა); **გინუ-გ,** (გადა-უხადა); 7. **მი-გ,** (მო-იგო [საქმე, ორთაბრძოლა და სხვ.]); 8. **წა-გ,** (წა-აგო); 9. **მო-უ-გ,** (მო-უგო); 10. **გე-გ,** (გა-იგო); 11. **გა-უ-გ,** (გა-უგო [ჩანაფიქრი, აზრი]); 12. **ქალა-გ,** (ჩა-აგო [ხმალი ქარქაშში]); 13. **ქიგიო-გ,** (ჩამო-აცვა [თოხს, ნაჯახს[ტარი]); 14. **ქიგია-გ,//ქიგია-რჩქვან,** (და-ეჩვია); 15. **ქდა-გ,** (და-აგო[ზედ]); 16. **გ,** (გავს).

ბგერა-სიტყვის გ(//გ,) და, საერთოდ, თანხმოვანი ბგერა-სიტყვების მრავალ მნიშვნელობას, ალბათ, საფუძვლად უდევს ამ მნიშვნელობების სხვადასხვა გზით, სხვადასხვა წყაროებიდან (სხვადასხვა ფიზიკური რეალობებიდან) წარმოშობა. გ,-გ,, გ,-გ,, გ,-გ, იძახის გუგული და, სწორედ, ამის გამო დაერქვა მას ეს სახელი; გ,-გ,-გ,... ბგერებს გამოსცემს საკვების ძებნისას ტყის ქათამი და ამიტომაც მას მეგრულად **გ,** ჰქვია. შესაძლოა, ამ ფრინველზე იკონურობით (მიმსგავსებით) მიიღო **გ,** ბგერათა კომპლექსმა მოგებაწაგების მნიშვნელობა, რადგან საკვების პოვნისთანავე წყვეტს იგი ასეთი ბგერების გაღებას, ხოლო თუ ვერ იპოვის საკვებს, ამ ბგერების გაღება უქმად გარჯაა, ანუ წაგებაა; გ,-გ,, გ,-გ,, გ,-გ,... ბგერები გვესმის ადამიანის გულისგან და ამიტომაც მიიღო ეს სახელწოდება (გ,+რე გ,რე გურე გური) გული; გ,-გ,-გ,... და ა.შ. ბგერებს გავიგონებთ ყორე ქვით ან აგურით კედლის აგება-ამოყვანისას და, უეჭველია, ბგერა-სიტყვამ **გ,** , სწორედ, ამიტომ მიიღო **აგო**-ს (აშენა-ს) მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ ჰქვია **გ,** ბგერის აღმნიშვნელ ასონიშანს **გან** (გ[, ] ან[ც]) (აგო ცაში) და ამიტომაც აქვს ასეთი გრაფიკული მოხაზულობა (იხ. ჩვენი „ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“, 2004, გვ. 61).

აღსანიშნავია, რომ ბგერა-სიტყვა **გ,** ირთავს რა მეგრულში არსებულ ყველა ზმნისწინს და უამრავ სუფიქსს, გვაძლევს სალექსიკონო მასალის გარკვეულ მარაგს, რაც მ. და ც. ძაძამიებს ჯერჯერობით აღრიცხული არა აქვთ.

**დ(//დ,).** ბგერა-სიტყვა, იგივე, ძირისეული ფორმა **დ(//დ,)** (ქართ. **დო**) მე-3 პირის ზმნაა, ირთავს ე.წ. მეგრულ ენაში არსებულ ყველა ზმნისწინს და მრავალ სუფიქსს და იძლევა მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას, მაგრამ მსგავსად ბგერა-სიტყვისა გ(//გ,), ბგერა-სიტყვა **დ(//დ,)** სხვადასხვა მნიშვნელობებს კი არ იძენს ძირში, არამედ ყველგან ფიგურირებს ერთიდაიგივე მნიშვნელობით **დო,** ზოგადი ფორმით **დება.** მაგ. **დ, , ნც//დუანც//დვანც** (ინო-დვა-ნც). ინო-დუ-ალა, ინო-დუ-ალაფა და ა.შ.

ბგერა-სიტყვა დ(//დ,) ხმაბაძვითია და გავიგონებთ, როცა სწორ (ბრტყელ) ზედაპირზე მშვიდად დავდებთ რაიმე საგანს. ალბათ, აქედან მიიღო წყლის ჭურჭელმა სახელწოდება **დოქი** ( დოკი დო+კი). ბგერა-სიტყვის **დ(//დ,)** გამომცემი სხვა რეალობა ბუნებაში ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ალბათ, ამიტომ აქვს ერთადერთი მნიშვნელობა **დო**.

**ვ(//ვ,).** ბგერა-სიტყვა **ვ(//ვ,),** როგორც სხვა ძუძუმწოვარა ცხოველებისათვის არის დამახასიათებელი სპეციფიკური, წუხილის გამომხატველი ხმიანობა, ასევე დამახასიათებელია ადამიანისათვის დასაბამიდან და წარმოადგენს წუხილის, უსიამოვნების გამომხატველი, ემფაზიით გაღებული ბუნებრივად თანდაყოლილი შორისდებულის ვ, , , , ,ვ,-ვ, ვ, მშვიდად გამოთქმულ ფორმას (**ვ, , , , ,ვ,-ვ, ვ,** დღემდე ასე შეიცხადებენ მეგრელი ქალები სამწუხარო შეტყობინებაზე. **ვოვა-ვავა, ვოვა-ვავა** ასე მოთქვამენ კაცები უბედური შემთხვევისას, რაც **ვ, ვ,**-ს გახმოვანებული ფორმაა).

ამიტომ მიიღო ბგერა-სიტყვამ **ვ(//ვ,)** უარყოფითის, უარის გამოხატვის ფუნქცია [ვ,+რე ვ,რე ვარე ვარ (არა]).

**ზ(//ზ,).** ბგერა-სიტყვა ზ(//ზ,) იხმარება შემდეგი მნიშვნელობებით: 1. **ზილა** [ცომი, დუღაბი და ა.შ.]; 2. **ანთია**. მაგ., **დაჩხ, რი ზ,** (ცეცხლი ანთია); 3. **ზავა**. მაგ., **გიორგიქ წაჩხუბებული ბოშეფი გაა-ზ,** (გიორგიმ წაჩხუბებული ბიჭები გაა-ზავა).

ბგერა-სიტყვა **ზ,** მე-3 პირის ზმნაა, ირთავს ყველა ზმნისწინს და უამრავ სუფიქსს, რის შედეგად იძლევა მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას.

**ზილას** მნიშვნელობით **ზ,** ბგერათა კომპლექსი მიღებულია ხმაბაძვით, კერძოდ, თიხისგან პლასტიური მასის დამზადების დროს ფეხით ან სხვა საშუალებებით ზელვისას გაღებული ხმიანობაზე ხმაბაძვით. ორი დანარჩენი მნიშვნელობის **ზ,**-თი სახელდების საფუძველი გაურკვეველი რჩება.

**თ(//თ,).** ბგერა-სიტყვა თ,-თ,-თ,... გვესმის მყუდრო გარემოში თოვლის ფიფქის თავზე და მხრებზე დაცემისას და, ბუნებრივია, ამ ბგერებზე ხმაბაძვით ეწოდა გაყინული წყლის წვეთების დედამიწაზე მოვლენას **თ,**. ამ მოვლენის უფრო ნათელსაყოფად დასტურ სიტყვის **რე**-ს დამატებამ და შეზრდამ მოგვცა სიტყვა **თოვლი** ( თოული თოულე თოურე თ, ,რე). **თოვლი** სიქათქათის, სისპეტაკის და სიწმინდის ეტალონია ფიზიკურ სამყაროში. ამიტომ **თ,** ბგერათა კომპლექსი გამოყენებულიქნა **უზენაესი ნათელის** და, საერთოდ, **ნათელის** აღსანიშნავადაც. მაგრამ მთლად ნათელი არ არის რის საფუძველზე მიიღო თ, ბგერათა კომპლექსმა **თავი**-ს, **სრული**-ს მნიშვნელობა. ე.წ. მეგრულში იტყვიან: **გეთ,** (გა-თავ-და, გა-სრულ-და), **გაა-თ,** (გაა-თავ-ა, გაა-სრულ-ა). ასევე, მ-თავ-არზე, ლიდერზე იტყვიან: **თარი** ( თარე თ,რე), რაც ნიშნავს: ნათელი [გონების] არის.

**თ,** ბგერათა კომპლექსით აღნიშნული მოვლენა გათავებული, გასრულებული მოვლენაა: ერთიდაიგივე ფიფქი მეორედ აღარ ჩამოვარდება. ვფიქრობთ, ამიტომ გამოიყენა ჩვენმა უძველესმა წინაპარმა **თ,** ბგერათა კომპლექსი გასრულებული მოვლენის – თოვლის მოსვლის მსგავსად, თავის, მთავარის, სრულყოფილის აღსანიშნავადაც.

ბგერა-სიტყვა **თ,** (თოვა) მე-3 პირის ზმნაა და ირთავს რა ე.წ. მეგრულ ენაში არსებულ ყველა ზმნისწინს და რამდენიმე სუფიქსს (ნც, ,ნდ, ,ალა და ა.შ.) გვაძლევს მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებს, რაც ზემოხსენებულ ავტორებს გათვალისწინებული არა აქვთ.

**კ(//კ,).** ბგერა-სიტყვა კ, სამი მნიშვნელობით იხმარება: 1. **კ,** (რკო); 2. კ, , (აწრთო//კვერა). მაგ., **ჭკად, ქ, არგუნი ჯგირო გაგმო-კვერ,** (მჭედელმა ნაჯახი კარგად გამო-აწრთო//გამო-კვერა). სიტყვა **კვერა, კვერვა// წრთობა** სწორედ აქედანაა მიღებული (კ, , + რე კ, ,რე კუერე კუერა კვერა). უფრო სწორად, ბგერათა კომპლექსი **კ,** ,-ა წრთობა, ხოლო დასტურ – სიტყვა **რე** დამატებულია ამ პროცესის უკეთ დადასტურებისათვის. ე.ი. **კ,** , ბგერათა კომპლექსმა წრთობის (კვერვის) მნიშვნელობა იმიტომ მიიღო, რომ წრთობის დროს აუცილებელია ხშირი გახურება და დარტყმები, ხოლო მკვრივი, მტკიცე საგნების ურთიერთ დარტყმის დროს გავიგონებთ ბგერათა კომპლექსს კ, ,-კ, , -კ, , და ა.შ. აღსანიშნავია, რომ საგანი, თუ მასალა, რომლის სახელწოდებაში შედის ბგერა **კ,** შეუძლებელია, იგი მტკიცე და განსაკუთრებული წინააღმდეგობის უნარის მქონე არ იყოს; 3. კ, , (იკავა). მაგ., **გოჩაქ, ოხორე დიხა მი-კ,** , (გოჩამ სამოსახლო მიწა მოიკავა). აქ ბგერა – სიტყვა **კ,** , მე-3 პირის ზმნაა და ირთავს რა ზმნისწინებსა და სუფიქსებს, გვაძლევს მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას, რაც გათვალისწინებული არა აქვთ ზემოხსენებულ ავტორებს. მაგ., **მი-კ,** , (მო-იკავა), **დი-კ,** , (და-იკავა), **ინი-კ,** , (ქვევით, სიღრმეში მოიკავა) და ა.შ. ასევე, მო-კეება, მო-კეებაფა, დო-კეებაფა და ა.შ.

**ლ(//ლ)**. ბგერა-სიტყვა **ლ,** ე.წ. მეგრულ ენაში იხმარება შემდეგი მნიშვნელობით: 1. **ლ,**(ვლო). მაგ., **დავითიქ, , თი აკანი ჯგირო გი-ლ,** [დავითმა ის მხარე (ტერიტორია) კარგად (გამოწვლილვით, ჩხრეკვით, ძიებით) მო-ვლო); 2. **ლ,** (ვარდება). მაგ., **ე, ასე გო-ლ,** (ე, ახლა გა-ვარდება), ან კიდევ, **მონჭა სხული მუშით გ, თო-ლ,** (მწიფე მსხალი თავისით ჩამო-ვარდება). სიტყვა **ლ,** ირთავს რა ე.წ. მეგრულ ენაში არსებულ ზმნისწინებს და რიგ სუფიქსებს, ქმნის მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას, რაც ზემოხსენებულ ავტორებს გათვალისწინებული არა აქვთ.

წვრილკენჭებიან ფსკერზე გარკვეული სიჩქარით გამდინარე წყალი გამოსცემს ბგერებს. ლ,-ლ,-ლ, და ა.შ. ალბათ, ამ რეალობაზე ხმაბაძვით იქნა მიღებული სიტყვა **ლივლივი**. მაგრამ გაურკვეველია, რის საფუძველზე მიიღო ბგერა-სიტყვამ ლ (//ლ,) **ვარდება**-ს მნიშვნელობა.

**მ(//მ,).** ბგერა-სიტყვა **მ(//მ,)** ბაგისმიერი ბგერაა და , ბგერის გახმოვანების შემდეგ იძლევა სიტყვებს **მა(მე), მი//მინ** (ვინ) და მუ(რა). აღსანიშნავია, რომ მ ბგერის გამოთქმა იწყება, ჯერ კიდევ, ბაგეებმოკუმულ მდგომარეობაში, ე.ი. ჩვენი შინაგანიდან მოდის მ ბგერა, ანუ ექსკურსია მიმდინარეობს პირმოკუმულ მდგომარეობაში, ხოლო როგორც კი ბაგეები დასცილდება ერთმანეთს, გაიჟღერებს, უკვე, , ბგერა. ენის ადგმის პროცესში ჩვილისგან ხშირად გავიგონებთ **მ** ბგერას. ეს ღვთისგან ბოძებული თანდაყოლილი თვისებაა და მასზე ხმაბაძვით იქნა, ალბათ, მიღებული მ ბგერა.

**ნ(//ნ,).** ბგერა-სიტყვა **ნ,** იხმარება ორი მნიშვნელობით:

1. **ნ,**(ვნო). მაგ. **ბაღანაქ, ბრელი თოფური ჭკუმუ დო ე-ნ,** (ბავშვმა ბევრი თაფლი ჭამა და ა-ვნო). აქ ენ, მე-3 პირის ზმნაა [მე-ნ, , გე-ნ, , ე-ნ, (მა-ვნო, გა-ვნო, ა-ვნო)]; როგორც ვხდავთ, ბგერა-სიტყვა ნ, იუღლება, მაგრამ ერთ-ერთი იშვიათობაა, რომ აფიქსაციას ძნელად ექვემდებარება; 2. **ნ,** (წყალი). მრავალ უძველეს სიტყვაში ბგერა **ნ,** წყლის მნიშვნელობითაა შესული, რომელთა ეტიმოლოგია სათანადო ადგილასაა განხილული. ასეთი სიტყვებია: **მალნა-რე** (მდინარე), **ნირსი** (ნისლი), **მუნაფა** (ღრუბელი), ნამი, ნ, ში (ნავი), მწვანე, ნაძვი და ა.შ. უწყლოდ სიცოცხლე გამორიცხულია. ამიტომაა წყალი წყარო სიცოცხლისა, სიცოცხლის სიმბოლო. ამიტომ ფიგურირებს **ნ,** ბგერა სიცოცხლის წყაროს მნიშვნელობით სიტყვებში მძინარე, მცინარე, ნანა (დედა), ნინა (ენა), ნორმა და სხვა.

**წყალობას** დღეს ე.წ. მეგრულ ენაზე შეესატყვისება **ჭყოლოფა.** უძველეს, ზემოხსენებული სიტყვების ფორმირების ხანაში, სიტყვის **წყალობა** შესატყვის ფორმად, შესაძლოა, არსებულიყო სიტყვა, **ნა[ც]ოფა,** სიტყვის **წყალობს** შესატყვისად კი **ნ,ნც,,** მსგავსად სიტყვებისა **თ,ნც,** (თოვს), **წ,ნც,** (წოვს) და ა.შ.

რის საფუძველზე უნდა მიეღო ბგერა-სიტყვას (ნ(//ნ,) წყლის მნიშვნელობა? იმისდამიხედვით წყალი, რა რაოდენობით, რა სიჩქარით როგორ კალაპოტში და ა.შ. მოძრაობს გამოსცემს, შესაბამისად, მრავალ სხვადასხვა ბგერებს. ასე, მაგალითად, მდორე დინებისას, ხშირად წყალი, პერიოდულად, ზედაპირზე ერთმანეთისაგან მცირე ინტერვალით დაშორებულ კონუსურ მბრუნავ ღრმულს იკეთებს და ასე გადაადგილდება მოკლე მანძილზე. ამას იწვევს დინების სიჩქარის დაცემის გამო მის ფსკერზე დალექილი და გარკვეული სიგრძის წვრილტოტებშერჩენილი ხის ნაწილი, ან კიდევ, გარკვეული ფორმის ლოდი. ეს ხშირად ხდება ასეთ ადგილებში. ასეთ შემთხვევაში, წყალი პერიოდულად გამოსცემს ბგერებს ნ,-ნ,-ნ, და ა.შ. ალბათ, ამიტომ ჰქვია ასეთ დინებას ე.წ. მეგრულ ენაზე ნერა ( ნერე ნ,რე). ამ ბგერათა კომპლექსზე ხმაბაძვით ეწოდა, ალბათ, წყალს ნ,.

**პ(//პ,).** ბგერა-სიტყვა პ,//ბყ,(მყო) პირველი პირის ზმნაა. აღსანიშნავია, რომ ამ ზმნას მე-2 და მე-3 პირი არა აქვს. მას ვერ ვიტყვით მსგავსად უღლებისა ბყ,-რყ,-ყ, , (მყო-გყო-ჰყო). სიტყვას **მყო** მე-2 და მე-3 პირში შეესაბამება **გყო** და **ჰყო,** მაგრამ ე.წ. მეგრულში ვერ ვიტყვით **სი რპ,** (შენ გყო), ან **თინა პ,** (ის ჰყო). მე-2 და მე-3 პირში სიტყვას **პ,** ჩაენაცვლება სიტყვა ყ, (ჰყო). გასარკვევია, რამ განაპირობა ეს რეალობა. დამეთანხმებით, რომ ეს საინტერესოა. სავარაუდოდ კი, რადგანაც **პიპუ** (ბაგე) – **პიჯი** (პირი), მიღებული ორკეცი **პ,პ,**-ს (ზედა და ქვედა ბაგე) და **პ,რ,** ( პირე პირი)-ს გახმოვანებით, წარმოადგენს, ინდივიდუალურად, ველური ცხოველის ადამიანად **მყო**-ფიერებელ ორგანოს, ხოლო **ყ,** (ჰყო, ქმნა) შესაძლებელია ნებისმიერი ქმნილებისა, ამიტომ შემოიფარგლა, ალბათ, ბგერა-სიტყვა **პ,** პირველი პირის ზმნით.

რაც შეეხება **პ** ბგერის წარმოშობას, წარმოუდგენელია ბავშვი, განსაკუთრებით ბიჭი, რომელსაც შემთხვევით **პ** ბგერა არ წარმოეთქვას, მისი ჟღერადობით არ დაინტერესებულიყოს და შემდეგ მრავალჯერ არ გაემეორებინოს. ალბათ, ამ რეალობაზე ხმაბაძვით წარმოიშვა **პ** ბგერა.

**ჟ(//ჟ,)**. ბგერა-სიტყვა **ჟ,** იხმარება ორი გახმოვანებული ფორმით: 1. **ჟი** (ზევით); 2. **ჟა** (მზე). **ჟალე//ჟალენქ,** (მზეობ); **ჟალენც,** (მზეობს). **ჟალაფა** (მზეობა), **ჟალაფაფი** (მზეობინება) და ა.შ. ირთავს რა მრავალ სუფიქსს და ზმნისწინებს, ვღებულობთ მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას, რაც ზემოხსენებულ ავტორებს გამორჩათ.

ბუნებაში **ჟ** (//ჟჟჟჟ...) ბგერას გამოსცემს ზევით აფრენილი ნეხვის ხოჭო და არა მიწაზე მცოცავი. ალბათ, ამიტომ ჰქვია მას რუსულ ენაზე **ჟუკი**. ვფიქრობთ, მასზე ხმაბაძვით წარმოიშვა ბგერა **ჟ**. ის **ჟ** ბგერას გამოსცემს მხოლოდ **ჟი** (ზევით, სიმაღლეზე) ფრენისას. ალბათ, ამიტომ მიიღო მიწის ზედაპირიდან ამაღლებულმა მდებარეობამ (ადგილმა) სახელწოდება **ჟი** (ზევით) და **ჟა** მზემაც.

**ს(//ს,).** **ს,მა** (შარდვა), **ს,ნც,** (შარდავს). ბგერა-სიტყვა **ს,** (შარდა) მე-3 პირის ზმნაა და ირთავს რა ყველა ზმნისწინებსა და რიგ სუფიქსებს, გვაძლევს მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებს. მაგ., ინა-ს,, მითა-ს,, მიკა-ს, და ა.შ. ან კიდევ, ს,-მა, ს,მ-აფა, ს,მ-აფაფი და ა.შ. ეს აღრიცხული არა აქვთ ზემოხსენებულ ავტორებს. აღსანიშნავია, რომ ბგერა-სიტყვა ს, ასოცირდება განტვირთვასთან, შვებასთან და ხშირად უძველესი შედგენილი სიტყვების შემადგენლობაში ამ მნიშვნელობით არიან შესული.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი,**
**კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის**
**ვიცე-პრეზიდენტი**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ბრემე, ვისი გოლითაც გერმანიამ მუნდიალი 1990 მოიგო, იძულებულია, ტუალეტები ხეხოს



მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ფინალში გამარჯვების გოლის ავტორი ანდრეას ბრემე, რომელმაც მაშინ მთელი გერმანია გააბედნიერა, ბიზნესში ისეთივე წარმატებული ვერ აღმოჩნდა, როგორც ფეხბურთში და დღეს იძულებულია, ტუალეტების დალაგებით მოიპოვოს სარჩო.

ბრემეს ბიზნესში წარუმატებლობის გამო 200 ათასი ევრო ვალად დაედო და როგორც **eutsche Welle** იუწყება, დიდი შანსია, სულაც უსახლკაროდ დარჩეს.

ამას წინათ ბრემეს მხარში წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი, ფრანც ბეკენბაუერი დაუდგა, რომელმაც გერმანიის საფეხბურთო სამყაროს ყოფილი ფეხბურთელის დახმარებისკენ მოუწოდა.

მოწოდებას ჯერ მხოლოდ **"ნიურნბერგისა"** და **"ჰამბურგის"** ყოფილი ნახევარმცველი ოლივერ შტრაუბე გამოეხმაურა.

**"შეგვიძლია ბრემე ჩვენს კომპანიაში დამლაგებლად დავასაქმოთ. ჩვენთან მას შეუძლია დაეუფლოს ტუალეტებისა და აუზების წმენდის ცოდნას და გაიგოს, როგორია შრომა და თან, გაიუმჯობესოს იმიჯი. ეს მას ნამდვილად წაადგება"**, – მიიჩნევს შტრაუბე.

როგორც ჩანს, დიდი ნიჭის გარდა სპორტსმენს იღბალიც უნდა ჰქონდეს, რათა სიბერეს უზრუნველყოფილად შეხვდეს. სწორედ უიღბლობა გახლდათ ის, რომ საშინელ სიღარიბეში დაასრულეს სიცოცხლე ცნობილმა სპორტსმენებმა ლევ იაშინმა, ვიქტორ პანიოუკოვმა, ბორის ივანოვმა, გარინჩამ და სხვებმა.

# "არჩევნების მოგება ისე უნდათ, ხმებისთვის კლუბებს საკუთარი ჯიბიდანაც დააფინანსებენ"

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების, **"სამტრედიას"**, თბილისის **"დინამოსა"** და სიმფეროპოლის **"ტავრიას"** ყოფილი ფეხბურთელი შოთა ჩომახიძე მიიჩნევს, რომ ბოლო წლებში ჩემპიონატის დონე საგრძნობლად დაეცა.

**"უკრაინაში, სიმფეროპოლის "ტავრიაში" თამაშის დროს ცნობილი მწვრთნელი ზაიაევი გვავარჯიშებდა. ის ხშირად გვეძახდა, ბიჭებო, იმუშავეთ, იმუშავეთო! ეს ფრაზა ყურში ისე ცუდად მხვდებოდა, ერთხელ ვერ მოვითმინე და ვუთხარი, პატივცემულო, ეს ფეხბურთია, უნდა ვითამაშოთ, კი არ უნდა ვიმუშაოთ-მეთქი.**

**გაგიჟდა, ეს რა მითხარიო, მაგრამ ვარჯიშის შემდეგ წყენამ გადაუარა, ცალკე დამიბარა და დამელაპარაკა – ვიცი, რომ ქართველები ფეხბურთისგან სიამოვნებასაც იღებთ, მაგრამ უკრაინაში ასე არ ხდება, ჩვენმა მოთამაშეებმა ეგ არ იციან და ამიტომ უნდა იმუშაონო.**

**სამწუხაროდ, გავიდა 10 წელი და საქართველოში დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ ნელ-ნელა მათ დავემსგავსეთ და უფრო უარესებიც გავხდით. მაგრამ უკრაინელები იმდენს და ისე სწრაფად დარბიან, ეს მაინც გესიამოვნება. ჩვენთან კი ვერც დარბიან, აღარც ტემპია და აღარც – დონე.**

**დაახლოებით მსგავსი სიუჟეტით ვითარდება ყველა შეხვედრა: გუნდები ბურთის გაკონტროლებას და შეტევის განვითარებას დიაგონალური თუ გვერდზე გადაცემებით ცდილობენ, მაგრამ ძალიან იშვიათია თამაშის გამწვავებისა და საკუთარ თავზე ინიციატივის აღების მცდელობა. რაც მთავარია, აღარაა ის სისწრაფეები, ტექნიკა, ოსტატობა, ბურთის ფლობა, რომელიც საწყის ჩემპიონატებში გვქონდა. ამის გარეშე თანამედროვე ფეხბურთი წარმოუდგენელია.**

**ვუყურებ თამაშებს და გული მიკვდება. ბოლო დროს, შოთა ბაბუნაშვილის გარდა, ვერ ვნახე ფეხბურთელი, რომელიც თავდამსხმელს კარგი გადაცემებით მოამარაგებს და ერთი-ერთზე გაიყვანს.**

**ვერაფრით ვხვდები, რა ფეხბურთის თამაში დავიწყეთ და სად მივდივართ. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ჩვენი ფეხბურთელები კი არ თამაშობენ, უბრალოდ, დარბიან და მუშაობენ. მაგრამ რა ტემპშიც ეს ხდება, ფეხბურთი არ ჰქვია. რაც მთავარია, ეს არის მხოლოდ ორთაბრძოლები, ფეხბურთი კი დაიკარგა.**

**ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, ტელევიზიით ნაღდ ფეხბურთს მაინც არ უყურებენ?"** – ამბობს შოთა ჩომახიძე.

მისივე თქმით, საკლუბო ფეხბურთში შექმნილი კრიზისის მიზეზი არა უფულობა, არამედ არასწორი მუშაობაა:

**"ახლა ყველა კლუბებში შექმნილ ვითარებას განიხილავს. ყველა ითხოვს ფულს და მდგომარეობის სახელმწიფოს ხარჯზე გაუმჯობესებას, მაგრამ იმას არავინ ამბობს, თავად რომ არასწორად მუშაობენ და განვითარებასა და მომავალზე არ ფიქრობენ. ლიგა 16 გუნდამდე გავზარდეთ და რად გინდა, ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა.**

**ის დროც სანატრელია, გუნდები საკუთარ სტადიონზე რომ თამაშობდნენ. ყველა უმაღლესი ლიგის გუნდებზე ფიქრობს, პირველი, მეორე და ჭაბუკთა ლიგის მონაწილეები კი დაივიწყეს.**

**ეს ძალიან არასწორი გზაა, ფუნდამენტიდან თუ არ დაიწყე, არაფერი გამოვა და სახლი თავზე დაგენგრევა – ასეც ხდება, ევროთასებზე გამოსვლის შედეგები წლიდან წლამდე უარესდება".**

ვეტერანი ფეხბურთელის აზრით, ყველაფრის მიზეზი ბავშვთა ფეხბურთში არსებული არასწორი მიდგომებია:

**"ბავშვების აღზრდაზე ფიქრი ხომ ზედმეტია. ელემენტარულს ვიტყვი: უმაღლესი ლიგის ყველა მონაწილეს ჭაბუკთა ლიგაში მოზარდებისგან დაკომპლექტებული გუნდი ჰყავს. იქ მინიმუმ 20 ბავშვია, მაგრამ შედეგი უფრო აინტერესებთ, ვიდრე ბავშვის გაზრდა.**

**ჩვენთან მწვრთნელები საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილებაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე ბავშვის გაზრდაზე.**

**ერთ ასეთ ამბავს შევესწარი: მეორე ტაიმში 0:0 იყო და მწვრთნელმა მხოლოდ ერთი მოთამაშე შეცვალა. თამაშის შემდეგ დავინტერესდი, ბავშვებში შედეგს გთხოვენ-მეთქი? არაო. მაშინ ყველა რატომ არ ათამაშე-მეთქი და მოგება მინდოდაო.**

**არადა, მწვრთნელის მთავარი ამოცანაა, ერთი კარგი ფეხბურთელი მაინც გაზარდოს და ქულებს არ გამოეკიდოს. ასეთ დროს, შედეგს არ ითხოვ და გარკვეულ გეგმას მიჰყვები. შემდეგ თამაშსაც დავესწარი და იგივე მოხდა.**

**სანამ დამოკიდებულებას არ შევცვლით და ბავშვების მომავალზე არ ვიფიქრებთ, არაფერი გვეშველება. ნორმალურად თაობები ამიტომაც აღარ მოდიან".**

ჩომახიძემ მოსაზრება კლუბების დაფინანსებაზეც გაგვიზიარა:

**"ყიფიანი კლუბებს დაფინანსებას ნამდვილად შეჰპირდა, მაგრამ ყველამ ნახა, ეს 16-გუნდიანი ჩემპიონატი რაც იყო და მიხვდა, ფულის ჩადება არ ღირდა, რადგან წყალში გადაყრილი მილიონები იქნებოდა, პასუხს კი მას მოსთხოვდნენ.**

**ამ ჩემპიონატში ფულის ჩადება მართლაც სერიოზული რისკია. ისიც საინტერესოა, ფედერაცია, თუ გუნდების დასაფინანსებელი ფული ჰქონდა, სახელმწიფოს უარს ელოდა, რეზერვი ახლა გამონახა თუ გულკეთილი ყიფიანის ჯინაზე გახდა?**

**ჩემი აზრით, ბევრად აჯობებდა, უმაღლესში 10 გუნდი ყოფილიყო. ასე ფეხბურთისთვის გამოყოფილი თანხები ზომიერად მოხმარდებოდა უმაღლეს და პირველ ლიგებს, ინფრასტრუქტურას, ბავშვთა ფეხბურთსა და სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების მომზადებას.**

**ეს ჯობია გამუდმებულ ტირილსა და წივილს. სიმართლე გითხრათ, მე ყიფიანის პროგრამა მომეწონა, რადგან რეალური და საქმიანია და შედეგზეა გათვლილი.**

**ახლა 16 გუნდი ამჟამინდელი ფედერაციის წისქვილზე ასხამს წყალს. მათ არჩევნების მოგება ისე უნდათ, ხმების მისაღებად კლუბებს საკუთარი ჯიბიდანაც დააფინანსებენ".**

ჩომახიძე მიიჩნევს, რომ გარიგებულ თამაშებს ხელს არა ერთეული პიროვნებები, არამედ ჩვენს ფეხბურთში არსებული გარემო უწყობს:

**"მთავარია, ფეხბურთში ელემენტარული პირობები შექმნან. მერე არც მსაჯები იკადრებენ უკადრებელს, არც ფეხბურთელები და გუნდებიც ბევრ რამეზე თავს შეიკავებენ.**

**რამდენიმე მაგალითი ვიცი, ბიჭებს ბუცების საყიდელი ფული არ ჰქონდათ და უცხოეთიდან გამოსაწერად უსესხებიათ ან კრედიტი აუღიათ. როდესაც სახლში პურის ფული არ აქვს და ბავშვი მშიერი ჰყავს, რა ქნას, იყაჩაღოს? მერე ასეთ გაჭირვებაში მყოფი ფეხბურთელის შეცდენა არ უნდა გაგვიკვირდეს.**

**როცა ვითარება დალაგდება, მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ როდის დალაგდება, ეს ვინმემ იცის?"**



# გამოვიდა კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერიას" თარგმანის მესამე ტომი




**უკვე გამოვიდა I, II და III ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.**

**ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322**

– მეშვიდე მანქანა მომპარეს გუშინ.
– არაფერი მოიმოქმედე?
– კი. გადავწყვიტე, მერვე აღარ ვიყიდო და იბლაყუნონ აწი ფეხით...

* * *

– ალო, პოლიციაა?
– დიახ, რა გნებავთ?
– ხუთმა კაცმა მცემა, ღამის სამ საათზე, სკოლაში.
– ეგრე მოგიხდება, რა გინდოდა წესიერ ბავშვს, მაგ დროს, სკოლაში?
– დარაჯი ვარ, უფროსო.

* * *

მიხოს სიდედრის გასვენებაში ისეთი ხაშლამა შემოიტანეს, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ათი წუთის განმავლობაში ტაშს უკრავდა.

* * *

ღამით ცოლი ქმარს აღვიძებს.
– რა იყო? – თვალს იფშვნეტს ქმარი.
– ერთი კითხვა მაქვს.
– მკითხე, მერე.
– ასეთი პატარა ხელფასის პატრონს რა გაძინებს?

* * *

– ძვირფასო, როცა მოვკვდები, იტირებ? – ეკითხება ქმარი ცოლს.
– რა თქმა უნდა, საყვარელო, – პასუხობს ცოლი, – ხომ იცი, უბრალო რამეზედაც ვტირი ხოლმე.

**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**




დომენტი ბაგნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, ბაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.




**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6
სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სოხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge